ქეთევან	მესხიშვილი	საქართველო, თბილისი	18.04.2005	შვილი
ამირან	მესხიშვილი	საქართველო, თბილისი	12.08.2009	შვილი

### თქვენი, თქვენი ოჯახის წევრის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება

ქონების მესაკუთრის სახელი, გვარი (თუ ნივთი საერთო საკუთრებაში იმყოფება, მიუთითეთ მფლობელის პროცენტული წილი)	ქონების სახეობა	შეძენის თარიღი	შეძენის ფორმა	გადახდილი საფასურის ოდენობა	ქონების ადგილმდებარეობა, საერთო ფართობი	თუ ნივთი საერთო საკუთრებაში იმყოფება, მიუთითეთ თანამესაკუთრეები (თუ თანამესაკუთრე თქვენი ოჯახის წევრია მიუთითეთ მისი პროცენტული წილი)
დავით მესხიშვილი 33,3%	მინის ნაკვეთი (ვენახი)	2015	ჩუქება	0GEL	საქართველო, გურჯაანის რ-ნი, სოფ. ჩალაუბანი, "ჭერემთან", 75001 კვ.მ	მაია მესხიშვილი ლევან ავალიანი
დავით მესხიშვილი 100%	მინის ნაკვეთი	2015	შეძენილია ამავე მისამართზე რეგისტრირებულ სახლთან ერთად.	0GEL	საქართველო, მცხეთა, ლისი, მუხათწყარო 2-ის ტერიტორია, 600 კვ.მ	
დავით მესხიშვილი 100%	საცხოვრებელი სახლი	2015	ნასყიდობა	48000GEL	საქართველო, მცხეთა, ლისი, მუხათწყარო 2-ის ტერიტორია, 229,8 კვ.მ	

**თქვენი, თქვენი ოჯახის წევრის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონება (ფასიანი ქაღალდების, საბანკო ანგარიშების ან/და შენატანის, ნაღდი ფულადი თანხის გარდა), რომელთაგან თითოეულის ღირებულება აღემატება 10 000 ლარს**

ქონების მესაკუთრის სახელი, გვარი (თუ ნივთი საერთო საკუთრებაში იმყოფება, მიუთითეთ მფლობელის პროცენტული წილი)	ქონების სახეობა	ქონების დეტალები	შეძენის თარიღი	შეძენის ფორმა	გადახდილი საფასურის ოდენობა	თუ ნივთი საერთო საკუთრებაში იმყოფება, მიუთითეთ თანამესაკუთრეები (თუ თანამესაკუთრე თქვენი ოჯახის წევრია მიუთითეთ მისი პროცენტული წილი)
დავით მესხიშვილი 100%	მსუბუქი ავტომანქანა	BMW 328. 2013 წლის გამოშვება	2017	ნასყიდობა	6717 USD	

**თქვენი, თქვენი ოჯახის წევრის საკუთრებაში არსებული ფასიანი ქაღალდები**

მესაკუთრის ვინაობა (სახელი, გვარი)	ფასიანი ქაღალდის ემიტენტი	ფასიანი ქაღალდის სახეობა	ფასიანი ქაღალდის გადახდილი საფასური	შეძენის ფორმა	შეძენის თარიღი	ფასიანი ქაღალდის ნომინალი	ფასიანი ქაღალდების რაოდენობა
დავით მესხიშვილი	სს „ბადიური“	აქცია	20000 USD	ნასყიდობა	1999	1 USD	34860

**საქართველოს ან სხვა ქვეყნის საბანკო ან/და სხვა საკრედიტო დაწესებულებებში არსებული ანგარიში ან/და შენატანი, რომლის განკარგვის უფლება გაქვთ თქვენ, თქვენი ოჯახის წევრს**

ანგარიშის ან/და შენატანის განმკარგავი პირის ვინაობა (სახელი, გვარი)	საბანკო ან/და სხვა საკრედიტო დაწესებულების სახელწოდება	ანგარიშის ან/და შენატანის სახეობა	ანგარიშზე ან/და შენატანზე არსებული ნაშთი
ქეთევან მესხიშვილი	"საქართველოს ბანკი"	უნივერსალური (გოლდი)	354,51 GEL (+)
ქეთევან მესხიშვილი	"საქართველოს ბანკი"	უნივერსალური (სოლო)	74,81 GEL (+)
ქეთევან მესხიშვილი	"საქართველოს ბანკი"	უნივერსალური (სოლო)	0 USD (+)
ქეთევან მესხიშვილი	"საქართველოს ბანკი"	უნივერსალური (სოლო)	0 EUR (+)
ქეთევან მესხიშვილი	"საქართველოს ბანკი"	უნივერსალური (სოლო)	0 GBP (+)
დავით მესხიშვილი	"საქართველოს ბანკი"	უნივერსალური	1665,38 GEL (+)
დავით მესხიშვილი	"საქართველოს ბანკი"	უნივერსალური	0,09 USD (+)
დავით მესხიშვილი	"საქართველოს ბანკი"	უნივერსალური	0 EUR (+)
დავით მესხიშვილი	"საქართველოს ბანკი"	უნივერსალური	0 GBP (+)
დავით მესხიშვილი	"საქართველოს ბანკი"	უნივერსალური	375 GEL (+)
დავით მესხიშვილი	"საქართველოს ბანკი"	მომსახურე	0 GEL (+)
დავით მესხიშვილი	"საქართველოს ბანკი"	მომსახურე	0 USD (+)
ქეთევან მესხიშვილი (შვილი)	"საქართველოს ბანკი"	სტელქარდი	2,44 GEL (+)
ქეთევან მესხიშვილი (შვილი)	"საქართველოს ბანკი"	სტელქარდი	0 USD (+)
ქეთევან მესხიშვილი (შვილი)	"საქართველოს ბანკი"	სტელქარდი	0 EUR (+)
ქეთევან მესხიშვილი (შვილი)	"საქართველოს ბანკი"	სტელქარდი	0 GBP (+)
ამირან მესხიშვილი	"საქართველოს ბანკი"	უნივერსალური (სტელქარდი)	1,57 GEL (+)
ამირან მესხიშვილი	"საქართველოს ბანკი"	უნივერსალური (სტელქარდი)	0 USD (+)
ამირან მესხიშვილი	"საქართველოს ბანკი"	უნივერსალური (სტელქარდი)	0 EUR (+)

**საქართველოს ან სხვა ქვეყნის საბანკო ან/და სხვა საკრედიტო დაწესებულებებში არსებული ანგარიში ან/და შენატანი, რომლის განკარგვის უფლება გაქვთ თქვენ, თქვენი ოჯახის წევრს**

ანგარიშის ან/და შენატანის განმკარგავი პირის ვინაობა (სახელი, გვარი)	საბანკო ან/და სხვა საკრედიტო დაწესებულების სახელწოდება	ანგარიშის ან/და შენატანის სახეობა	ანგარიშზე ან/და შენატანზე არსებული ნაშთი
ამირან მესხიშვილი	"საქართველოს ბანკი"	უნივერსალური (სქელქარდი)	0 GBP (+)
დავით მესხიშვილი	"თი-ბი-სი ბანკი"	სახელფასო	0,9 GEL (+)
დავით მესხიშვილი	"თი-ბი-სი ბანკი"	სახელფასო	0 USD (+)
დავით მესხიშვილი	"თი-ბი-სი ბანკი"	სახელფასო	0 EUR (+)
ქეთევან მესხიშვილი	"თი-ბი-სი ბანკი"	სახელფასო	530,81 GEL (+)
ქეთევან მესხიშვილი	"თი-ბი-სი ბანკი"	სახელფასო	0 USD (+)
ქეთევან მესხიშვილი	"თი-ბი-სი ბანკი"	სახელფასო	0 EUR (+)
ქეთევან მესხიშვილი	"საქართველოს ბანკი"	უნივერსალური ipo +	23643,27 GEL (+)
ქეთევან მესხიშვილი	"საქართველოს ბანკი"	უნივერსალური ipo +	5607,98 USD (+)
ქეთევან მესხიშვილი	"საქართველოს ბანკი"	უნივერსალური ipo +	3102,72 EUR (+)
ქეთევან მესხიშვილი	"საქართველოს ბანკი"	უნივერსალური ipo+	0 GBP (+)
ქეთევან მესხიშვილი	"საქართველოს ბანკი"	მომსახურე ანგარიში	4569,51 GEL (+)
დავით მესხიშვილი	ხალიკ ბანკი	სახელფასო	3455,02 GEL (+)
დავით მესხიშვილი	ხალიკ ბანკი	სახელფასო	0 USD (+)
დავით მესხიშვილი	ხალიკ ბანკი	სახელფასო	0 EUR (+)
დავით მესხიშვილი	"საქართველოს ბანკი"	უნივერსალური	0 USD (+)
დავით მესხიშვილი	"საქართველოს ბანკი"	უნივერსალური	0 EUR (+)
დავით მესხიშვილი	"საქართველოს ბანკი"	უნივერსალური	0 GBP (+)

**თქვენი, თქვენი ოჯახის წევრის საკუთრებაში არსებული ნაღდი ფულადი თანხა, რომლის ოდენობა აღემატება 10 000 ლარს**

ფულადი თანხის მესაკუთრის ვინაობა (სახელი, გვარი)	ფულადი თანხის ოდენობა შესაბამის ვალუტაში	ფულადი თანხის წყარო
ქეთევან მესხიშვილი	2000 GEL	დანაზოგი
ქეთევან მესხიშვილი	1300 USD	დანაზოგი
დავით მესხიშვილი	1400 USD	დანაზოგი
დავით მესხიშვილი	2500 GEL	დანაზოგი

### საქართველოში ან სხვა ქვეყანაში თქვენი, თქვენი ოჯახის წევრის მონაწილეობა სამეწარმეო საქმიანობაში

სამეწარმეო საქმიანობაში მონაწილე პირის ვინაობა (სახელი, გვარი)	საწარმოს სრული საფირმო სახელწოდება, იურიდიული მისამართი	საწარმოს საქმიანობაში მონაწილეობის ფორმა და მონაწილეობის დროის მონაკვეთი, მარეგისტრირებული ორგანო და რეგისტრაციის თარიღი.	საკუთარი წილის ოდენობა (%)	პარტნიორის ვინაობა (სახელი, გვარი/იურიდიული პირი)	საწარმოს საქმიანობით წინა წლის პირველი იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით მიღებული შემოსავალი (ხელზე აღებული თანხა)
დავით მესხიშვილი	სს „ბადიაური“ საქართველო საგარეჯოს რ-ნი სოფ. ბადიაური	აქციონერი, კერძო რეგისტრატორი, 30.12.1999, 30.12.1999 - უვადო	-		0 GEL

**საქართველოში ან სხვა ქვეყანაში თქვენი, თქვენი ოჯახის წევრის მონაწილეობა სამეწარმეო საქმიანობაში (დაკავშირებული სანარმოები)**

ძირითადი სანარმოს საფირმო სახელწოდება და სამართლებრივი ფორმა	არაძირითადი სანარმოს დასახელება და სამართლებრივი ფორმა	არაძირითადი სანარმოს საქმიანობის სახეობა	ძირითადი სანარმოს წილის ოდენობა (%)	არაძირითადი სანარმოს პარტნიორები
--	--	--	-------------------------------------	----------------------------------

მონასკემებს არ შეეხება

**საქართველოში ან სხვა ქვეყანაში, თქვენი, თქვენი ოჯახის წევრის მიერ შესრულებული ნებისმიერი ანაზღაურებადი სამუშაო, სამენარმეო საქმიანობაში მონაწილეობის გარდა**

სამუშაოს შემსრულებელი პირის ვინაობა (სახელი, გვარი)	სამსახური, რომელშიც პირს უკავია თანამდებობა ან ასრულებს სამუშაოს, ასევე რომელშიც წინა წლის პირველი იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით ეკავა თანამდებობა ან ასრულებდა სამუშაოს	თანამდებობის დასახელება ან სამუშაოს შინაარსი	საწყისი თარიღი	საბოლოო თარიღი	სამუშაოს შესრულებით წინა წლის პირველი იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით მიღებული შემოსავალი (ხელშე აღებული თანხა)
ქეთევან მესხიშვილი	თბილისის სააპულაციო სასამართლო	მოსამართლე	01.01.2019	31.12.2019	74324,83 GEL
ქეთევან მესხიშვილი	თავისუფალი უნივერსიტეტი	პროფესორი	01.01.2019	31.12.2019	32702,21 GEL
ქეთევან მესხიშვილი	იუსტიციის უმაღლესი სკოლა	მასწავლებელი	01.01.2019	31.12.2019	3148,79 GEL
დავით მესხიშვილი	კავკასიის უნივერსიტეტის კავკასიის სამართლის სკოლა	ასოცირებული პროფესორი	01.01.2019	31.12.2019	2240,1 GEL
ქეთევან მესხიშვილი	საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო	ექსპერტი	01.01.2019	31.12.2019	5423,87 GEL
დავით მესხიშვილი	სს „საქართველოს ბანკის“ იურიდიული დეპარტამენტი	უფროსი იურისტი	01.01.2019	31.12.2019	40304 GEL
ქეთევან მესხიშვილი	ისტევეტ მენეჯმენტ ინსტიტუტი	ტრენერი	01.01.2019	31.12.2019	6127,74 GEL
ქეთევან მესხიშვილი	irz	ექსპერტი	18.12.2019	18.12.2019	300 EUR
ქეთევან მესხიშვილი	GIZ	სამოქალაქო საპროცესო კოდექსის კომენტარების თანაავტორი	01.01.2019	31.12.2019	3038 GEL
ქეთევან მესხიშვილი	GIZ	წიგნის რედაქტორი	01.01.2019	31.12.2019	2940 GEL
ქეთევან მესხიშვილი	საქართველოს გაეროს	ტრენერი	25.11.2019	25.11.2019	450 GEL

**საქართველოში ან სხვა ქვეყანაში, თქვენი, თქვენი ოჯახის წევრის მიერ შესრულებული ნებისმიერი ანაზღაურებადი სამუშაო, სამეწარმეო საქმიანობაში მონაწილეობის გარდა**

სამუშაოს შესრულებელი პირის ვინაობა (სახელი, გვარი)	სამსახური, რომელშიც პირს უკავია თანამდებობა ან ასრულებს სამუშაოს, ასევე რომელშიც წინა წლის პირველი იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით ეკავა თანამდებობა ან ასრულებდა სამუშაოს	თანამდებობის დასახელება ან სამუშაოს შინაარსი	საწყისი თარიღი	საბოლოო თარიღი	სამუშაოს შესრულებით წინა წლის პირველი იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით მიღებული შემოსავალი (ხელშე აღებული თანხა)
	ასოციაცია				
ქეთევან მესხიშვილი	ააიპ საქართველოს სამართლის ინსტიტუტი	ტრენერი	14.12.2019	14.12.2019	1076,08 GEL
ქეთევან მესხიშვილი	სსიპ-საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია	ტრენერი	01.03.2019	01.03.2019	300 GEL
დავით მესხიშვილი	შპს „გოფრატარა“	დირექტორის მრჩეველი იურიდიულ საკითხებში	17.04.2019	31.12.2019	7807,37 GEL

**საქართველოში ან სხვა ქვეყანაში თქვენი, თქვენი ოჯახის წევრის მიერ წინა წლის პირველი იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით დადებული ან/და მოქმედი ხელშეკრულება (გარდა მიღებული საჩუქრისა), რომლის საგნის ღირებულება აღემატება 10 000 ლარს (მათ შორის წილის მინდობის ხელშეკრულება ღირებულების მიუხედავად)**

ხელშეკრულებაში მონაწილე პირის ვინაობა (სახელი, გვარი)	ხელშეკრულების სახეობა, საგანი და ღირებულება	ხელშეკრულების დადების თარიღი, ძალაში შესვლის თარიღი, მისი მოქმედების ვადა, ორგანო, რომელმაც მოახდინა ხელშეკრულების სახელმწიფო რეგისტრაცია ან დამოწმება	წინა წლის პირველი იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით ხელშეკრულებით მიღებული მატერიალური შედეგი
დავით მესხიშვილი	სესხი, ფიზიკური პირისგან სესხის სახით მიღებული თანხა, 13000, GEL	26.11.2016, 26.11.2016-26.11.2022, არ რეგისტრირდება	3252 GEL (გასადავლი)
ქეთევან მესხიშვილი	სესხი, იპოთეკური სესხის გადაფარვა, 42590, GEL	08.12.2016, 08.12.2016-26.09.2025, საქართველოს ბანკი	3012,95 GEL (გასადავლი)


**თქვენი, თქვენი ოჯახის წევრის მიერ წინა წლის პირველი იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით მიღებული საჩუქარი, რომლის ღირებულება აღემატება 500 ლარს**

საჩუქრის მიმღები	საჩუქრის სახეობა და საბაზრო ღირებულება	გამცემის მიმღებთან კავშირი
------------------	--	----------------------------

მონაცემებს არ შეიცავს

**წინა წლის პირველი იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით თქვენი ან თქვენი ოჯახის წევრის ნებისმიერი შემოსავალი, რომლის ოდენობა თითოეულ შემთხვევაში აღემატება 3 000 ლარს ან გასავალი, რომლის ოდენობა თითოეულ შემთხვევაში აღემატება 5 000 ლარს და არ არის მითითებული დეკლარაციის სხვა ფურცლებზე.**

შემოსავლის/გასავლის მიმღები/გამცემი პირის ვინაობა (სახელი გვარი)	შემოსავლის ან/და გასავლის სახეობა	შემოსავლის ან/და გასავლის ოდენობა (ღირებულება)
დავით მესხიშვილი	ყურძნის რეალიზაციით მიღებული შემოსავალი	შემოსავალი, 24300 GEL



საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო

MINISTRY OF INTERNAL AFFAIRS OF GEORGIA




MIA 5 20 02669195




13/11/2020

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს  
მოსამართლოს საქმიანობის შეფასების  
მართვის დეპარტამენტს

თქვენი ამა წლის 10 ნოემბრის №1171-03 წერილის პასუხად გაცნობებთ, რომ „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ფაილური სისტემებისა და მათში არსებული მონაცემების შენახვის ვადების განსაზღვრის შესახებ“ 2015 წლის 23 იანვრის შს მინისტრის N53 ბრძანების შესაბამისად, შსს საინფორმაციო-ანალიტიკური დეპარტამენტის საინფორმაციო ცენტრში არსებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ერთიან საინფორმაციო ბანკში მოსამართლეების კანდიდატებს:



2017 წლის 11 ნოემბრიდან 2020 წლის 11 ნოემბრის ჩათვლით პერიოდში ერიცხებათ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებული სამართალდარღვევის ფაქტები. (იხ. მიბმული ფაილი).




საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო  
მოსამართლოს საქმიანობის შეფასების  
მართვის დეპარტამენტი  
№ 3050  
17 11 2020



ქ. გ. ბუღაძის ქ.

საინფორმაციო-ანალიტიკური დეპარტამენტი  
დეპარტამენტის დირექტორი  
ლოლა ცოტნე



ქეთევან მესხიშვილი (პ/ნ 01001015828) ირიცხება:

- 09.08.2019წ. გამოვლენილია შსს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის ქ.თბილისის მთავარი სამმართველოს მიერ, ასკ მუხლი - 125 ნაწ. 8, ოქმი №ენ909837, ჯარიმა 10 ლ. (ადმინისტრაციული სამართალდარღვევა ვადაგასულია);



საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

დამოუკიდებელი ინსპექტორი

№ 865-03

“13” 11 2020.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს  
მოსამართლის საქმიანობის შეფასების  
მართვის დეპარტამენტის უფროსს  
ქალბატონ თინათინ აბრალავას

ქალბატონო თინათინ,

თქვენი 2020 წლის 10 ნოემბრის N35-03 წერილის პასუხად გიგზავნით საქართველოს უზენაესის სასამართლოს მოსამართლეობის 37 კანდიდატის მიმართ 2017 წლის 15 მარტიდან - 2020 წლის 11 ნოემბრამდე პერიოდში დისციპლინური დევნის შესახებ ინფორმაციას.

დანართი: 74 ფურცელი.

პატივისცემით,

ზურაბ აზნაურაშვილი  
დამოუკიდებელი ინსპექტორი

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო  
დამოუკიდებელი ინსპექტორი  
№ 40-03  
“13” 11 2020


საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს  
მოსამართლის საქმიანობის შეფასების მართვის დეპარტამენტს

ი ნ ფ ო რ მ ა ც ი ა

მოსამართლე ქეთევან მესხიშვილის მიმართ  
არსებული დისციპლინური საჩივრების შესახებ

2017 წლის 15 მარტიდან - 2020 წლის 11 ნოემბრამდე პერიოდში, მოსამართლე ქეთევან მესხიშვილის მიმართ დისციპლინური დევნა არ დაწყებულა.

ზურაბ აზნაურაშვილი  
დამოუკიდებელი ინსპექტორი





ჩ. ვახიანი

საქართველოს იუსტიციის  
უმაღლესი საბჭო

High Council of Justice of Georgia

№ 44/37-03

„20“ 11 2020 წ.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს  
მოსამართლის საქმიანობის შეფასების მართვის დეპარტამენტის უფროსს  
ქალბატონ თინათინ აბრალავას

ქალბატონო თინათინ,

თქვენი 37-03 წერილის პასუხად გიგზავნით საქართველოს უზენაესი სასამართლოს  
მოსამართლეობის კანდიდატების სასამართლოში წარმართულ დავებში მხარედ  
მონაწილეობის შესახებ, ელექტრონული საქმისწარმოების საძიებო სისტემაში მოძიებულ  
ინფორმაციას.

პატივისცემით,

ირაკლი გოცირიძე

სასამართლო მენეჯმენტის დეპარტამენტის თავმჯდომარე

საქართველოს საერთო სასამართლოებში წარმართულ დავებში საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატ ქეთევან მესხიშვილის მხარედ მონაწილეობის თაობაზე ელექტრონული საქმისწარმოების საძიებო სისტემაში მოძიებულ იქნა შემდეგი ინფორმაცია:

ადმინისტრაციული საქმე - მოპასუხეა ქეთევან მესხიშვილი

დავის საგანი - ზიანის ანაზღაურება.

შედეგი - თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2019 წლის 21 ივნისის განჩინებით მოსარჩელეს სარჩელის წარმოებაში მიღებაზე ეთქვა უარი.

საქმე №3/1692-19



5200025099005

www.ecd.court.ge

## გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა

საქართველოს სახელით  
ხარვეზის შეუვსებლობის გამო სარჩელის  
წარმოებაში მიღებაზე უარის თქმის შესახებ

21 ივნისი, 2019 წელი

ქ. თბილისი

თბილისის საქალაქო სასამართლო ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგია

მოსამართლე - თამარ ხაყოშია

მოსარჩელე - -----ი

მოპასუხეები - საქართველოს ფინანსთა სამინისტრო, საერთო სასამართლოების  
დეპარტამენტი, -----ე, -----ია, ქეთევან მესხიშვილი

დავის საგანი - ზიანის ანაზღაურება

სასამართლომ ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა სარჩელის წარმოებაში მიღების  
საკითხი,

### გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა :

2019 წლის 6 მარტს -----მა სასარჩელო განცხადებით მომართა თბილისის საქალაქო  
სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას საქართველოს ფინანსთა  
სამინისტროს, საერთო სასამართლოების დეპარტამენტის, -----ის, -----იას და  
ქეთევან მესხიშვილის მიმართ და მოითხოვა მიყენებული ზიანის ანაზღაურება  
40954,56 ლარის ოდენობით.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2019 წლის  
11 მარტის განჩინებით -----ის სარჩელზე დადგინდა ხარვეზი. ხარვეზის  
აღმოსაფხვრელად მოსარჩელეს განესაზღვრა 10 (ათი) დღის ვადა, მისთვის განჩინების

ასლის ჩაბარებიდან.

განჩინება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-78-ე მუხლებით დადგენილი წესით ჩაბარდა მოსარჩელის წარმომადგენელს მერაბ ცუხიშვილს 2019 წლის 16 მაისს.

სასამართლოს მიერ მითითებულ ვადაში მოსარჩელეს ხარვეზი არ შეუვსია და არც განცხადებით მოუმართავს სასამართლოსთვის ხარვეზის შესავსებად დაწესებული ვადის გაგრძელების თაობაზე მოთხოვნით.

**სასამართლო საქმეში არსებული მასალების გაცნობის შედეგად მიიჩნევს, რომ -----ის სარჩელი არ უნდა იქნეს მიღებული წარმოებაში შემდეგ გარემოებათა გამო:**

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მეორე ნაწილით, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 59-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, საპროცესო მოქმედება სრულდება კანონით დადგენილ ვადაში. ამავე კოდექსის მე-60 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, საპროცესო მოქმედების შესრულების ვადა განისაზღვრება ზუსტი კალენდარული თარიღით, ხოლო ამავე მუხლის მეორე ნაწილის შესაბამისად დღეებით გამოსათვლელი საპროცესო ვადა იწყება იმ კალენდარული თარიღის დადგომის მომდევნო დღიდან, რომლითაც განსაზღვრულია მისი დასაწყისი, ხოლო სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 61-ე მუხლის მესამე ნაწილის მიხედვით, საპროცესო მოქმედება, რომლის შესასრულებლადაც დადგენილია ვადა, შეიძლება შესრულდეს ვადის უკანასკნელი დღის ოცდაოთხ საათამდე. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად თუ ვადის უკანასკნელი დღე ემთხვევა უქმე და დასვენების დღეს, ვადის დამთავრების დღედ ჩაითვლება მისი მომდევნო პირველი სამუშაო დღე.

**მოცემულ შემთხვევაში ხარვეზის დადგენის შესახებ თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის განჩინებით მოსარჩელისათვის დადგენილ საპროცესო ვადაში მოსარჩელეს ხარვეზი არ შეუვსია.**

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 447-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, თუ მოსამართლე გამოარკვევს, რომ სარჩელი შეტანილია ამ კოდექსის 177-ე მუხლის მე-3 ნაწილში ან/და 178-ე მუხლში (გარდა იმავე მუხლის პირველი ნაწილის „თ“ და „ი“ ქვეპუნქტებისა და მე-3 ნაწილისა, თუ მოსარჩელეს მითითებული აქვს მტკიცებულებათა წარუდგენლობის საპატიო მიზეზი) მითითებული პირობების დარღვევით ან/და არ არის წარდგენილი სარჩელისა და თანდართული დოკუმენტების

იმდენი ასლი, რამდენიც მოპასუხეა, ან/და სარჩელს არ ერთვის სახელმწიფო ბაჟის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი ან/და წარმომადგენლის უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი, სასამართლო გამოიტანს ხარვეზის შესახებ განჩინებას და მოსარჩელეს დაუნიშნავს ვადას მის შესავსებად. თუ მოსარჩელე დანიშნულ ვადაში შეავსებს განჩინებაში მითითებულ ხარვეზს, სასამართლო გამოიტანს განჩინებას სარჩელის წარმოებაში მიღების შესახებ; წინააღმდეგ შემთხვევაში სასამართლო გამოიტანს განჩინებას სარჩელის წარმოებაში მიღებაზე უარის თქმისა და მოსარჩელისათვის მისი დაბრუნების შესახებ, რაზედაც შეიძლება კერძო საჩივრის შეტანა. ასეთი განჩინების გამოტანის შემთხვევაში სახელმწიფო ბაჟი მთლიანად უნდა დაბრუნდეს.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე სასამართლო მიიჩნევს, რომ -----ის სარჩელი ხარვეზის შეუვსებლობის გამო არ უნდა იქნეს მიღებული სასამართლო წარმოებაში. მას არ ერთმევა უფლება, იმ გარემოებების აღმოფხვრის შემთხვევაში, რამაც გამოიწვია სასარჩელო განცხადების წარმოებაში მიღებაზე უარის თქმა, კვლავ მომართოს სასამართლოს საერთო წესების დაცვით.

**სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი, მე-12, მე-13 მუხლებით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 59-ე, 63-ე, 284-ე, 285-ე, 414-ე, 416-ე, 447-ე მუხლებით**

#### **და ა დ გ ი ნ ა:**

1. -----ს უარი ეთქვას მოპასუხეების საქართველოს ფინანსთა სამინისტროს, საერთო სასამართლეობის დეპარტამენტის, -----ის, -----იას და ქეთევან მესხიშვილის მიმართ ზიანის ანაზღაურების შესახებ სარჩელის წარმოებაში მიღებაზე;
2. განემარტოს მოსარჩელეს, რომ იმ გარემოებების აღმოფხვრის შემთხვევაში, რამაც გამოიწვია სასარჩელო განცხადების წარმოებაში მიღებაზე უარის თქმა, მას შეუძლია, კვლავ მომართოს სასამართლოს საერთო წესების დაცვით.
3. განჩინება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატაში (მდებარე: ქ.თბილისი, გრ. რობაქიძის გამზირი №7ა) მხარისათვის განჩინების ასლის გადაცემიდან 12 (თორმეტი) დღის ვადაში კერძო საჩივრის შეტანის გზით, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის (მდებარე: ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ, №6) მეშვეობით.



საქართველოს პროკურატურა  
 საქართველოს გენერალური პროკურატურა  
 Prosecution Service of Georgia  
 Office of the Prosecutor General of Georgia



საქართველოს პროკურატურის განყოფილება  
 ქ. თბილისი, მ. თბილისის ქ. 117

საქართველოს პროკურატურა


№ 13/65607

20 / ნოემბერი / 2020 წ.


საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს  
 მხამართლის საქმიანობის შეფასების მართვის  
 დეპარტამენტის უფროსის  
 ქაღაბაძე თინათინ აბრამიძეს  
 მის ქ. თბილისი, ბოჭორძის ქ. 112

ქაღაბაძე თინათინ,

თქვენი 2020 წლის 10 ნოემბრის 11172/20 განცხადების პასუხად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი სახამართლოს  
 მხამართლის განყოფილების მხარით დამარაზებულია ფაქტობრივად თქვენს თაობაზე გამოტანილი  
 დანაკარგების შესახებ გადმოცემის შემდეგ:




საქართველოს პროკურატურის განყოფილება  
 № 13/65607/20  
 3/30  
 20 11 2020



რაც შეეხება განცხადებაში მოთხოვნილ ხელკაღიარებებს, მათ შესახებ საქართველოს პროკურატურაში მოთხოვნილი ინფორმაცია არ მოთხოვნილია.

ბატონო ბერიძე,

დირექტორი სამართლებრივი უფროსი



სადაც ვთხოვრებ



საქმე № 330210017001824861

თბილისის სააპელაციო სასამართლო

გ ა და წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

საქართველოს სახელით

საქმე №28/6095-18

13 თებერვალი, 2019 წელი

სამოქალაქო საქმეთა პალატა

მოსამართლე - ქეთევან მესხიშვილი

სხდომის მდივანი – ნანა ველიჯანაშვილი

აპელანტი - დ-----, ლ---- კ-----, მ----- თ-----

მოწინააღმდეგე მხარე - შპს „ა-----  
-----“

წარმომადგენელი - ზ-----

გასაჩივრებული გადაწყვეტილება - თბილისის საქალაქო სასამართლოს  
სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2018 წლის 29 ივნისის გადაწყვეტილება

აპელანტის მოთხოვნა - გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი  
გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა

დავის საგანი - ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულება

## აღწერილობითი ნაწილი

1. მოსარჩელე შპს „ა-----“ თბილისის საქალაქო სასამართლოს დ-----ს, ლ---- კ-----სა და მ----- თ----- წინააღმდეგ სარჩელი აღძრა და ვალის აღიარების ხელშეკრულებიდან გამომდინარე, სოლიდარულად 16 522 ლარის გადახდის დაკისრება მოითხოვა.
2. მოპასუხეებმა სარჩელი არ ცნეს.
3. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2018 წლის 29 ივნისის გადაწყვეტილებით მოსარჩელის სასარჩელო მოთხოვნა სრულად დაკმაყოფილდა. დ-----ს, ლ---- კ-----სა და მ----- თ----- შპს „ა-----ს“ მიმართ, სოლიდარულად 16 522 ლარის გადახდის ვალდებულება დაეკისრა.
4. აღნიშნული გადაწყვეტილება დ-----მ, ლ---- კ-----მ და მ----- თ-----მ სააპელაციო წესით გაასაჩივრეს, გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვეს.

## სამოტივაციო ნაწილი

სააპელაციო პალატა დადგენილად მიიჩნევს საქმის გადაწყვეტისათვის მნიშვნელობის მქონე შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებს:

5. 2016 წლის 5 დეკემბერს ერთი მხრივ, დ-----ს, გ----- კ-----სა და მ----- თ-----ს და მეორე მხრივ, შპს „ა-----“ შორის ხელშეკრულება გაფორმდა, რომლის თანახმად, მოპასუხეებმა ვალდებულება აიღეს მოსარჩელისათვის გ----- კ-----ს სამედიცინო მომსახურების საფასური 18522 ლარი, 2016 წლის 15 დეკემბრამდე, გადაეხადათ. დ-----მ, გ----- კ-----მ და მ----- თ-----მ ხელშეკრულების მე-2 პუნქტის თანახმად, აიღეს ვალდებულება შპს „ა-----სათვის“ გ----- კ-----ს მკურნალობის ღირებულების ის ნაწილი, რომელიც რაიმე მიზეზით არ იქნებოდა დაფინანსებული სახელმწიფოს მიერ, აღნიშნულზე უარის გაცხადებიდან 30 კალენდარული დღის ვადაში, სოლიდარულად გადაეხადათ (ს.ფ. 14).

6. მხარეებს შორის არ არის სადავო გარემოება, რომ პაციენტს გ----- კ-----ს შპს „ა-----“ სამედიცინო მომსახურება გაეწია, ამასთან, სადავო არ არის, გაწეული მომსახურების ოდენობა, რაც 18 522 ლარს შეადგენს. გაწეული მომსახურების ხარისხზე პაციენტს და მისი ოჯახის წევრებს პრეტენზია არ აქვთ.

პაციენტი გ----- კ----- შპს „ა-----“ -----“ 2016 წლის 3 დეკემბერს მოთავსდა, ამავე დღეს მას გადაუდებელი ოპერაცია ჩაუტარდა (ს.გ. 14, 45-47, მხარეთა ახსნა-განმარტება 2018 წლის 01 ივნისის სასამართლო სხდომის ოქმი, 12:04:31). (ს.გ. 45-47).

7. მხარეთა შორის არ არის სადავო გარემოება, რომ ხელშეკრულებიდან გამომდინარე 18 522 ლარიდან 2000 ლარი დაფარულია (ს.გ. 3).

8. სააპელაციო სასამართლო დადგენილად მიიჩნევს ფაქტობრივ გარემოებას მასზედ, რომ გ----- კ----- 2016 წლის 3 დეკემბრის მდგომარეობით სახელმწიფო დაზღვევის სერვისით სარგებლობდა.

განსახილველი დავისთვის სწორი სამართლებრივი კვალიფიკაციის მინიჭებისა და მართებული სამართლებრივი შედეგის დადგომისთვის უმნიშვნელოვანესია იმ ფაქტის დადგენა, თუ მხარეებს ერთმანეთთან რა სამართლებრივი ურთიერთობა აკავშირებდათ. უპირველესად უნდა აღინიშნოს, რომ სასამართლო საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების შეფასებით, ადგენს თუ რა სამართლებრივი ურთიერთობა არსებობს მხარეთა შორის და ამ ურთიერთობის მარეგულირებელი სამართლებრივი ნორმების საფუძველზე აკმაყოფილებს ან არ აკმაყოფილებს სარჩელს. მხარეთა შორის არსებული ურთიერთობის შეფასება სასამართლოს კომპეტენციაში შედის და მხარის მიერ არასწორი საფუძველის მითითება სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ერთადერთი საფუძველი არ შეიძლება გახდეს. აღნიშნულს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 178-ე და 185-ე მუხლების შინაარსიც ადასტურებს, რომელთა ანალიზიც ცხადყოფს, რომ საპროცესო კანონმდებლობა მხარეს არ ავალდებულებს მიუთითოს დავის სამართლებრივი საფუძველი. აღნიშნული არ წარმოადგენს ხარვეზის დადგენის საფუძველს, რაც მეტყველებს იმაზე, რომ სამართლებრივი საფუძველი სასამართლომ და არა მხარემ უნდა განსაზღვროს.<sup>1</sup>

<sup>1</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2011 წლის 21 ივლისის გადაწყვეტილება საქმეზე Nას-690-651-2010.

პირველი ინსტანციის სასამართლოში სადავოდ იყო გამხდარი ის გარემოება, პაციენტი გ----- კ----- მოსარჩელე კლინიკაში განთავსების დროს იყო თუ არა დაზღვეული. ამ მიმართებით საქმის მასალებში ურთიერთსაპირისპირო მტკიცებულებები არსებობს, კერძოდ, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირის, სოციალური მომსახურების სააგენტოს, საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის მართვის დეპარტამენტის უფროსის მ----- 2017 წლის 20 მარტის წერილის თანახმად, „საყოველთაო ჯანდაცვაზე გადასვლის მიზნით გასატარებელ ზოგიერთ ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 21 თებერვლის N36 დადგენილების მე-2 მუხლის, პირველი პუნქტის, „გ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, გ----- კ----- 2016 წლის 03 დეკემბრის მდგომარეობით იყო საყოველთაო ჯანდაცვის სახელმწიფო პროგრამის მინიმალური პაკეტით მოსარგებლე და ამ დადგენილებით განსაზღვრული გადაუდებელი მომსახურების მიღება შეეძლო. ასევე, აპელანტების მიერ პირველი ინსტანციის სასამართლოში სს „კ-----“ 2018 წლის 27 ივნისით დათარიღებული წერილით დგინდება, რომ 2016 წლის 03 დეკემბერს, აღნიშნული ცენტრის მიერ პაციენტი გ----- კ-----სთვის გაწეული სამედიცინო მომსახურების საფასური საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში დაფინანსდა. თუმცა, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირის, სოციალური მომსახურების სააგენტოს, საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის მართვის დეპარტამენტის უფროსის მ----- წერილით 2018 წლის 30 მარტს შპს „ა-----“ ეცნობა, რომ გ----- კ-----ს კერძო დაზღვევის გაუქმების შემდეგ (2016 წლის 10 მარტი) მონაცემების ასახვა „ჯანმრთელობის დაცვის ერთიან საინფორმაციო სისტემაში“ მხოლოდ 2016 წლის 05 დეკემბერს განხორციელდა, რა დროიდანაც იგი „მინიმალური პაკეტით“ მოსარგებლეს წარმოადგენდა. დადგენილების პირობებიდან გამომდინარე, მოქალაქე გ----- კ-----ს 2016 წლის 3-19 დეკემბერს შპს „ა-----“ მიღებული სამედიცინო მომსახურება ანაზღაურებას არ ექვემდებარება და საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის მართვის დეპარტამენტი მოკლებულია შესაძლებლობას აღნიშნული ოპერაციის ხარჯები აანაზღაუროს.

შესაბამისად, ნათელია, რომ ერთი და იგივე დაწესებულებიდან გაგზავნილი სხვადასხვა დროით დათარიღებულიყო წერილი სახელმწიფო დაზღვევის დაწყების თარიღად განსხვავებულ დროს მიუთითებს. სააპელაციო სასამართლო განმარტავს, რომ მტკიცებულების გამოკვლევა უპირველესად გულისხმობს მისი შინაარსის სრულყოფილ შესწავლა-ანალიზს, ხოლო შემდეგ მისი იურიდიული ძალის (დამაჯერებლობის, სარწმუნოების) შემოწმებას. ამასთან, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის თანახმად, არცერთ მტკიცებულებას წინასწარ დადგენილი ძალა არ აქვს. ყველა მტკიცებულება უნდა შეფასდეს მათი უტყუარობისა და აგრეთვე, იმ თვალსაზრისით, თუ საქმისათვის მნიშვნელობის მქონე რომელი გარემოების დადასტურებაა ამ მტკიცებულებებით შესაძლებელი. სასამართლოს მიერ მტკიცებულებების შეფასება გულისხმობს მტკიცებულებათა როგორც ინდივიდუალურად, ასევე ერთობლიობაში შეფასებას, ამასთან, სასამართლო ვალდებულია საქმეში არსებული ყველა მტკიცებულება შეაფასოს მათი შინაარსის და იურიდიული დამაჯერებლობის კუთხით. საკასაციო სასამართლომ არაერთ საქმეში მიუთითა, რომ მტკიცებულებათა შეფასების დროს სასამართლო ხელმძღვანელობს თავისი შინაგანი რწმენით. შინაგანი რწმენა საქმეზე შეკრებილი მტკიცებულებების ყოველმხრივი, სრული და ობიექტური განხილვის შედეგად ყალიბდება. მტკიცებულებათა შეფასება არა სპონტანური და ინტუიციური, არამედ სათანადოდ მოტივირებული და დამაჯერებელი უნდა იყოს. მტკიცებულებათა შეფასების სტანდარტი მიუთითებს სასამართლოსათვის არა სუბიექტურ მოსაზრებებზე დაყრდნობით მტკიცების საგანში შემავალი გარემოებების დადგენილად მიჩნევაზე, არამედ, მოსამართლის შინაგან რწმენაზე, რომელიც შეჯიბრებითობის ფარგლებში მხარეთა მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებების ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ შეფასებაზეა დაფუძნებული.<sup>2</sup>

ურთიერთსაპირისპირო მტკიცებულების გამოკვლევისა და საქმეში არსებული სხვა სადავო საკითხების დაზუსტების მიზნით, თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2019 წლის 13 თებერვლის სასამართლო სხდომაზე, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირის, სოციალური მომსახურების სააგენტოს, სპეციალისტი ა----- გამოიკითხა. სხდომის მიმდინარეობისას ორჯერ, მათ შორის, ერთხელ მოწინააღმდეგე მხარის შეკითხვაზე, სპეციალისტმა განაცხადა, რომ 2016 წლის 03 დეკემბრის

<sup>2</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2017 წლის 21 აპრილის განჩინება საქმეზე Nას-279-264-17.

მდგომარეობით პაციენტი გ----- კ----- სახელმწიფო დაზღვევის სერვისით სარგებლობდა. ასევე, განმარტა, რომ მონაცემები, რომელსაც სს „კ-----“ ხედავდა, ასევე, მოწინააღმდეგე კლინიკასაც უნდა დაენახა (თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2019 წლის 13 თებერვლის სასამართლო სხდომის ოქმი 10:11:01 საათი და შემდგომ, ასევე, 10:45:14 საათი და შემდგომ).

ზემოაღნიშნულის შესაბამისად, სააპელაციო პალატა ასკვნის, რომ გ----- კ----- 2016 წლის 03 დეკემბრის მდგომარეობით სახელმწიფო დაზღვევის სერვისით სარგებლობდა და აღნიშნულის საწინააღმდეგოდ მხოლოდ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირის, სოციალური მომსახურების სააგენტოს, საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის მართვის დეპარტამენტის უფროსის მ----- 2018 წლის 30 მარტის წერილი არ გამოდგება, ვინაიდან საქმეში არსებული სხვა მტკიცებულებათა ერთობლიობით, კერძოდ, წერილებითა და უფლებამოსილი პირის ახსნა-განმარტებით 2016 წლის 03 დეკემბრის მდგომარეობით, გ----- კ-----ს სახელმწიფო დაზღვევის პროგრამით სარგებლობის ფაქტი უდავოდ დასტურდება.

**9. სააპელაციო პალატა დადგენილად მიიჩნევს ფაქტობრივ გარემოებას მასზედ, რომ პაციენტ გ----- კ-----ს არა სახელმწიფო დაზღვევის „მინიმალური პაკეტი“, არამედ „საბაზისო პაკეტი“ გათვალისწინებული შეთავაზებებით უნდა ესარგებლა.**

სასამართლო პირველ რიგში ყურადღებას მიაპყრობს სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულებების არსსა და დანიშნულებას და განმარტავს, რომ ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა ევროპული კონვენციის პირველი მუხლის თანახმად მაღალი ხელშემკვრელი მხარეები თავიანთი იურისდიქციის ფარგლებში ყველასათვის უზრუნველყოფენ ამ კონვენციის I თავში განსაზღვრულ უფლებებსა და თავისუფლებებს. კონვენციით გარანტირებული ყველა პოზიტიური ვალდებულება ერთიდაიმავე მიზანს, კერძოდ, კონვენციის ეფექტურ გამოყენებასა და კონვენციით დაცული უფლებების ეფექტურობის შენარჩუნებას, ემსახურება. აღნიშნული კი გამომდინარეობს, იმ მყარად დამკვიდრებული შეხედულებიდან, რომ კონვენცია ცოცხალი ორგანიზმია, მასში განმტკიცებულია არა თეორიული და ილუზორული, არამედ პრაქტიკული და ეფექტური უფლებები. სახელმწიფოსთვის პოზიტიური ვალდებულების დაკისრება გულისხმობს

თითოეული ხელშემკვრელი სახელმწიფოს ვალდებულებას, განახორციელოს აქტიური ქმედებები კონვენციით გარანტირებული უფლებების დასაცავად. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ საქმეზე ჰოკანენი ფინეთის წინააღმდეგ, აღნიშნა, რომ სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულება გულისხმობს არა უფლების დასაცავად აქტიური ქმედებების განხორციელების ვალდებულებას, არამედ განმტკიცებელი უფლებების დასაცავად საკმარისი დაცვითი ღონისძიებების გატარებას, კერძოდ, მიიღოს და გაატაროს იმგვარი ზომები, რათა დაიცვას ყოველი ინდივიდუალისთვის კონვენციით გარანტირებული უფლება.<sup>3</sup>

სიცოცხლის უფლება განმტკიცებულია, როგორც საქართველოს კონსტიტუციის მე-10, ასევე, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-2 მუხლითა და სხვა მრავალი საერთაშორისო ინსტრუმენტით, როგორცაა ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტი. სიცოცხლის უფლება თავის თავში მოიცავს ისეთი ჯანდაცვის სისტემის არსებობას, რომელიც საუკეთესო ჯანმრთელობის მიღწევის შესაძლებლობას ყველასთვის თანაბრად იძლევა. გაეროს ადამიანის უფლებათა დაცვის უმაღლესი კომისარიატისა და მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის არაერთ რეკომენდაციაშია აღნიშნული, რომ ჯანდაცვის სერვისების მიწოდება ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე, თანასწორობის საფუძველზე, უნდა განხორციელდეს. ჯანმრთელობის დაცვასთან დაკავშირებული ნებისმიერი სერვისი უნდა იყოს თანაბრად ხელმისაწვდომი, ღია და საუკეთესო ხარისხის. სერვისების დისკრიმინაციის გარეშე, თანასწორობის საფუძველზე მიწოდება ჯანმრთელობის უფლების კრიტიკული და საბაზისო კომპონენტებია. სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულება ჯანმრთელობის უფლების ჩრდილში იმგვარი სამართლებრივი, ადმინისტრაციული, საბიუჯეტო და სხვაგვარი ნორმატიული ბაზის შექმნის ვალდებულებას გულისხმობს, რომლითაც ჯანმრთელობის უფლების რეალიზაცია ყველასთვის თანასწორი მიდგომის საფუძველზე განხორციელების შესაძლებლობას იძლევა.<sup>4</sup>

---

<sup>3</sup> ევროპის საბჭო, „პოზიტიური ვალდებულებები ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა ევროპული კონვენციის ქვეშ“, ასევე, ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე „ჰოკანენი ფინეთის წინააღმდეგ“, (*Hokkanen v Finland*).

<sup>4</sup> გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ადამიანის უფლებათა დაცვის უმაღლესი კომისარიატისა და ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის ჯანმრთელობის უფლების N31 საინფორმაციო ბარათი.

2000 წლის მაისში ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებათა კომიტეტმა მიიღო ჯანმრთელობის უფლების ძირითადი კომენტარები, სადაც ინდივიდების უფლებების არსი და მოვალეობანია განხილული. ძირითადი კომენტარით განმტკიცებულია, რომ ადამიანის ჯანმრთელობის უფლება მჭიდრო კავშირშია ადამიანის სხვა უფლებებთან, როგორცაა საკვების, თავშესაფრის, სამსახურის, განათლების, მონაწილეობის, სამეცნიერო მიღწევებით სარგებლობის, სიცოცხლის, თანასწორობის, პირადი ცხოვრების, ინფორმაციის ხელმისაწვდომობისა, ასევე ასოციაციების, ანსამბლებებისა და სხვადასხვა მოძრაობებში ჩაბმის უფლებასთან. ამავე დოკუმენტით, ჯანმრთელობის დაცვის უფლება ოთხი კომპონენტითაა განსაზღვრული, კერძოდ, სამედიცინო მომსახურების რაოდენობრივი უზრუნველყოფა: ჯანდაცვისა და სამედიცინო მომსახურების დაწესებულებებისა და პროგრამების საკმარისი რაოდენობით უზრუნველყოფა, სამედიცინო მომსახურების თანაბრად ხელმისაწვდომობა, დისკრიმინაციის არარსებობა, გეოგრაფიული ხელმისაწვდომობა, ეკონომიკური (ფინანსური შესაძლებლობების გათვალისწინებით) და ინფორმაციული ხელმისაწვდომობა.<sup>5</sup>

საქართველოში, „პაციენტის უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის თანახმად, სამედიცინო მომსახურების თანაბრად ხელმისაწვდომობა სახელმწიფო სამედიცინო პროგრამების საშუალებითაა უზრუნველყოფილი. განსახილველ საქმეში სააპელაციო სასამართლომ უდავოდ დაადგინა, რომ 2016 წლის 03 დეკემბერს, როდესაც პაციენტი გ----- კ----- სამედიცინო დაწესებულებაში მოათავსეს, იგი სახელმწიფო დაზღვევის სერვისით სარგებლობდა, თუმცა, მომდევნო ეტაპზე უნდა დადგინდეს საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის რომელი სადაზღვევო პაკეტი ვრცელდებოდა მასზე. ამ სფეროს ადმინისტრირებაზე პასუხისმგებელი ორგანო საქმეში წარმოდგენილ არაერთ წერილში ადასტურებს, რომ გ----- კ----- ოპერაციული ჩარევის დროს „მინიმალური პაკეტით“ მოსარგებლე პირად მიიჩნეოდა, რომლითაც ოპერაციული ჩარევა სახელმწიფოს მხრიდან არ ფინანსდება. ერთადერთი გარემოება, რომელმაც პაციენტის მინიმალური პაკეტით მოსარგებლეთა რიცხვში მოხვედრა განაპირობა, არის ის, რომ გ----- კ----- დაზღვეული იყო კერძო სადაზღვევო კომპანია „ი-----“-ში 2015 წლის 11 მარტიდან, 2016 წლის 10 მარტის ჩათვლით. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2019 წლის 13 თებერვლის სასამართლო სხდომაზე,

<sup>5</sup> გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ადამიანის უფლებათა დაცვის უმაღლესი კომისარიატის N14 კომენტარი, ხელმისაწვდომია <https://www.refworld.org/pdfid/4538838d0.pdf>.

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირის, სოციალური მომსახურების სააგენტოს, სპეციალისტმა ა-----მ განაცხადა, რომ 2016 წლის მდგომარეობით, საქართველოს მოქალაქეები, რომლებიც სარგებლობდნენ კერძო დაზღვევით და რაიმე მიზეზით აღნიშნული დაზღვევა შეუწყდებოდათ, ავტომატურად ვერ ხვდებოდნენ სახელმწიფო დაზღვევის დაცვის ქვეშ. მათ განცხადებით უნდა მიემართათ შესაბამისი ადმინისტრაციული ორგანოსთვის, ეცნობებინათ კერძო დაზღვევის შეწყვეტის შესახებ, საიდანაც *მათთვის ერთწლიანი მოცდის პერიოდი იწყებოდა*. ე.წ. მოცდის პერიოდი გულისხმობდა აღნიშნული პირების მიერ მხოლოდ სახელმწიფო დაზღვევის „**მინიმალური პაკეტით**“ სარგებლობის უფლებას“, ხოლო ერთწლიანი მოცდის პერიოდის გასვლის შემდგომ მათ „**საბაზისო დაზღვევის პაკეტით**“ სარგებლობის უფლება ეძლეოდათ. სასამართლოს კითხვაზე, თუ რომელ ნორმატიულ აქტს ეფუძნებოდა სახელმწიფოს ამგვარი პრაქტიკა, სპეციალისტმა განმარტა, რომ მსგავსი რეგულაცია არ არსებობდა და აღნიშნული პრაქტიკით რეგულირდებოდა.

ამ მიმართებით სააპელაციო პალატა აღნიშნავს, რომ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ 2017 წლის 25 ოქტომბრის გადაწყვეტილებაში იმსჯელა „საყოველთაო ჯანდაცვაზე გადასვლის მიზნით გასატარებელ ზოგიერთ ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 21 თებერვლის №36 დადგენილების №1 დანართის (საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამა) მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის კონსტიტუციურობაზე საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლთან მიმართებით და იგი არაკონსტიტუციურად ცნო. აღნიშნულ გადაწყვეტილებაში საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ განმარტა, რომ კანონის წინაშე თანასწორობა არ გულისხმობს და არც მოითხოვს აბსოლუტურ გათანაბრებას. საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლის არსის გაგებისათვის პრინციპული მნიშვნელობა აქვს კანონის წინაშე თანასწორობის განსხვავებას გათანაბრებისგან. ამ პრინციპის ფარგლებში სახელმწიფოს ძირითადი მიზანი და ფუნქცია ადამიანების სრული გათანაბრება ვერ იქნება, რადგან ეს თავად თანასწორობის იდეასთან, უფლების არსთან მოვიდოდა წინააღმდეგობაში. თანასწორობის იდეა ემსახურება შესაძლებლობების თანასწორობის უზრუნველყოფას, ანუ ამა თუ იმ სფეროში ადამიანების თვითრეალიზაციისათვის ერთნაირი შესაძლებლობების გარანტირებას. კონსტიტუციის მე-14 მუხლის ძირითადი არსი და მიზანი არის ანალოგიურ, მსგავს, საგნობრივად თანასწორ გარემოებებში მყოფ პირებს სახელმწიფო მოეპყროს ერთნაირად, „არ დაუშვას

არსებითად თანასწორის განხილვა უთანასწოროდ და პირიქით“. სამედიცინო მომსახურებაზე ფინანსური ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა მნიშვნელოვანი ინტერესია თითოეული ადამიანისთვის, ხოლო ასეთივე მნიშვნელობის ამოცანა თავად სახელმწიფოსათვის, რომელიც ზემოაღნიშნული პროგრამის ფარგლებში მიზნად ისახავს სამედიცინო მომსახურების ხელმისაწვდომობისათვის ფინანსური დახმარების გაწევას ჯანმრთელობის დაზღვევის არმქონე საქართველოს მოსახლეობისათვის. ქვეყანაში არსებული სოციალური, თუ ეკონომიკური ფონის გათვალისწინებით, ეკონომიკური სიდუხჭირის გამო ადამიანები ხშირად ვერ იღებენ აუცილებელ და სათანადო სამედიცინო მომსახურებას სამედიცინო კონსულტაციების, თუ გეგმიური ქირურგიული ჩარევების ჩათვლით. ფინანსური ბარიერების არსებობა ხშირ შემთხვევაში შეიძლება გადაულახავ დაბრკოლებად იქცეს, რაც, საბოლოო ჯამში, უარყოფითად აისახება ადამიანის ჯანმრთელობის მდგომარეობაზე და შესაძლებელია, გამოუსწორებელი შედეგითაც დასრულდეს. შესაბამისად, იმ სახელმწიფო პროგრამის მიმართ, რომლითაც სამედიცინო მომსახურების ამგვარი ფინანსური ბარიერები მნიშვნელოვნად მცირდება, წვდომის თანაბარი ინტერესი გააჩნია თითოეულ ადამიანს, რომელიც აკმაყოფილებს საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის მე-2 მუხლის პირველი პუნქტით დადგენილ მოთხოვნებს - ფლობს შესაბამის დოკუმენტაციას და არ სარგებლობს კერძო სამედიცინო დაზღვევით. შედეგად, სადავო ნორმით დადგენილი ურთიერთობის ფარგლებში ყველა პირი, რომელიც არ არის ჩართული კერძო სადაზღვევო სქემაში, მიუხედავად იმისა, თუ როდიდან შეუწყდა მას კერძო სადაზღვევო კონტრაქტის მოქმედება, არსებითად თანასწორად უნდა იქნეს განხილული საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლით დაცული კანონის წინაშე თანასწორობის უფლების მიზნებისათვის.<sup>6</sup>

შესაბამისად, ხსენებული დავის ფარგლებში საკონსტიტუციო სასამართლომ კონსტიტუციის მე-14 მუხლთან მიმართებით არაკონსტიტუციურად ცნო პირთა შესადარებელი ჯგუფების განსხვავებული მოცულობის სამედიცინო მომსახურებით სარგებლობა, რაც განსხვავებული სადაზღვევო პაკეტებით სარგებლობაში გამოიხატებოდა. მართალია, სადავო ნორმა მოსარჩელებს საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის მიღმა სრულად არ ტოვებდა, თუმცა, მხოლოდ გარკვეული კატეგორიის გეგმიურ ამბულატორიულ და სტაციონარულ მომსახურებას სთავაზობდა. 2019 წლის 13 თებერვლის სასამართლო სხდომაზე გამოკითხულმა სპეციალისტმა,

<sup>6</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 25 ოქტომბერის გადაწყვეტილება საკონსტიტუციო სარჩელებზე N1/11/629,652.

დაადასტურა, რომ ხსენებული გადაწყვეტილების შემდგომ მოქალაქეების ერთწლიანი მოცდის პერიოდში განთავსების პრაქტიკა აღარ არსებობს და პირები, რომელთაც კერძო დაზღვევა შეუწყდებათ სახელმწიფო დაზღვევის „საბაზისო პაკეტით“ მოსარგებლებად მიიჩნევიან (2019 წლის 13 სექტემბრის სხდომის ოქმი, სპეციალისტი ა----- ახსნა-განმარტება 10:15:15 საათი და შემდგომ). პალატა მიუთითებს, რომ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ საქართველოს ორგანული კანონის 20-ე მუხლის თანახმად, კანონის ან სხვა ნორმატიული აქტის არაკონსტიტუციურად ცნობა არ ნიშნავს ამ აქტის საფუძველზე ადრე გამოტანილი სასამართლოს განაჩენებისა და გადაწყვეტილებების გაუქმებას, იწვევს მხოლოდ მათი აღსრულების შეჩერებას საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესით, ანუ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებას უკუძალა არ გააჩნია და ვინაიდან მოცემული დავა 2016 წელს არსებული სამართლებრივი ნორმების საფუძველზე უნდა გადაწყდეს, საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებით ვერ იხელმძღვანელებს. თუმცა, სასამართლო აქვე განმარტავს, რომ ჯანმრთელობის უფლებისა და სამართლიანი სასამართლოს უფლების დაცვის მიზნით, პალატა მიიჩნევს, რომ 2016 წლის მდგომარეობით არსებული სოციალური სააგენტოს მცდარი მიდგომა, რომელსაც არანაირი ნორმატიული საფუძველი არ გააჩნდა, სასამართლოს მიერ გამოსაყენებელი ნორმის განმარტების გზით, ანუ სწორი პრაქტიკის დანერგვით უნდა გამოსწორდეს, ვინაიდან განსახილველი საკითხისადმი მკაცრად ფორმალისტური მიდგომა და იმ ნორმატიულ ჩარჩოებში მოხვედრა, რომელიც საკონსტიტუციო სასამართლომ საქართველოს კონსტიტუციასთან შეუსაბამოდ ცნო, აშკარა უსამართლო გადაწყვეტილების მიღებამდე მიგვიყვანს, რაც ცალსახად დაარღვევს პაციენტი გ----- კ-----სა და მისი ოჯახის წევრების (აპელანტების) სამართლიანი სასამართლოს უფლებას.

10. სააპელაციო პალატა ვერ გაიზიარებს მოწინააღმდეგე მხარის შპს „ა-----ს“ წარმომადგენლის მითითებას მასზედ, რომ პაციენტი გ----- კ-----სთვის ჩატარებული ოპერაცია, იმ შემთხვევაშიც კი არ დაფინანსდებოდა სახელმწიფოს მხრიდან, თუ იგი დაზღვევის „საბაზისო პაკეტით“ მოსარგებლედ იქნებოდა განხილული.

საქართველოს მთავრობის N36 დადგენილებაში, რომელიც საყოველთაო ჯანდაცვაზე გადასვლის მიზნით გასატარებელ ზოგიერთ ღონისძიებებს განსაზღვრავს (2016 წელს მოქმედი რედაქციის), მითითებულია, რომ საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის მიზანს

ჯანმრთელობის დაზღვევის არმქონე საქართველოს მოქალაქეებისთვის ფინანსური უზრუნველყოფისა და სამედიცინო ხელმისაწვდომობის შექმნა წარმოადგენდა. ამავე დადგენილების ზოგად დებულებებში განმარტებულია, რომ სახელმწიფო პროგრამის მიზანი უწინარესად მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესება, გადაუდებელ და გეგმიურ სტაციონარული და ამბულატორიულ მომსახურებაზე ხელმისაწვდომობის გაზრდაა, ხოლო 36-ე დადგენილების 1.1 დანართის ბ.ა.ბ ქვეპუნქტი, ნორმატიულ მასალაში პირდაპირ გათვალისწინებული მომსახურებების გარდა, სხვა გადაუდებელი მდგომარეობების დაფინანსებასაც ითვალისწინებს.

განსახილველ შემთხვევაში, უდავოდაა დადგენილი, რომ პაციენტ გ----- კ-----ს 2016 წლის 03 დეკემბერს გადაუდებელი ოპერაცია ჩაუტარდა. მისი დიაგნოზი, გულმკერდის აორტის ანევრიზმა იყო, თუმცა, გასკდომის გარეშე, სააპელაციო სასამართლოში საქმის ზეპირი განხილვის დროს თავად კლინიკის წარმომადგენელმაც ცალსახად, არაერთხელ და არაორაზროვნად მიუთითა, რომ *პაციენტის მდგომარეობა იყო სიცოცხლისთვის საშიში, კრიტიკული და ოპერაციის ჩატარების გარეშე მისი სიცოცხლის შენარჩუნება შეუძლებელი იქნებოდა* (თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2019 წლის 21 იანვრის სასამართლო სხდომა, 15:54:35 საათი და შემდგომ). შესაბამისად, იმ პირობებში, როდესაც სახელმწიფო დაზღვევის შემოღების მიზანს საქართველოს მოქალაქეებისთვის სამედიცინო ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა წარმოადგენდა, პალატისთვის ყოველგვარ გონივრულ განსჯას მოკლებულია მსჯელობა მასზედ, რომ დაფინანსებას ექვემდებარება პაციენტის სტაციონარში განთავსება და ამბულატორიული სერვისების მიწოდება, თუმცა, თუ მას გადაუდებელი ოპერაციის ჩატარება დასჭირდა, მას სახელმწიფო არ აფინანსებდა, მით უფრო კი, იმ პირობებში, როდესაც 36-ე დადგენილების 1.1 დანართის ბ.ა.ბ ქვეპუნქტი, გარდა ნორმატიულ მასალაში პირდაპირ გათვალისწინებული მომსახურებებისა, სხვა გადაუდებელი მდგომარეობების დაფინანსებასაც ითვალისწინებდა.

გარდა ზემოაღნიშნულისა, სააპელაციო სასამართლოში საქმის ზეპირი განხილვის დროს, როგორც სამედიცინო დაწესებულების წარმომადგენელი, ასევე, მოწვეული სპეციალისტი აცხადებდნენ, რომ სახელმწიფო დაზღვევის სფეროში გამსკდარი აორტის ანევრიზმის ქირურგიული ჩარევები ფინანსდებოდა. თუმცა, მხარემ ამავე დროს მიუთითა, რომ აორტის ანევრიზმის გასკდომისას პაციენტების გადარჩენის შესაძლებლობა ძალიან მცირეა, ვინაიდან აორტის ანევრიზმის გასკდომისა და ოპერაციის გაკეთებას შორის შუალედი შესაძლებელია 15-20 წუთი იყოს, შემდეგ პაციენტი იღუპება.

სასამართლო კვლავ მიუთითებს, რომ ნებისმიერი ნორმატიული აქტით გათვალისწინებული პირობა უნდა ემყარებოდეს და უნდა გამომდინარეობდეს სამართალში მოქმედი ზოგადი პრინციპებიდან, ასევე, უნდა იყოს ლოგიკური, გასაგები და მარტივად აღქმადი, მით უფრო კი ისეთ სენსიტიური საკითხის მოწესრიგებისას, როგორც ეს ჯანმრთელობის დაზღვევა და სამედიცინო მომსახურების ხელმისაწვდომობის გაზრდაა. შესაბამისად, სააპელაციო პალატა ვერ გაზიარებს მოსაზრებას მასზედ, რომ ქირურგი უნდა დაელოდოს პაციენტის ანევრიზმის გასკდომას და ამის შემდეგ დაიწყოს ოპერირება, რათა იგი სადაზღვევო შემთხვევად დაკვალიფიცირდეს და სახელმწიფოს მხრიდან ანაზღაურებას დაექვემდებაროს.

11. ნიშანდობლივია, რომ საქმეში არსებულ არცერთ დოკუმენტში არ არის მითითებული, რომ ჩატარებული ოპერაცია დაფინანსებას არ ექვემდებარებოდა, ყველა დოკუმენტში გ----- კ-----ს სახელმწიფო დაზღვევის „მინიმალური პაკეტით“ მოსარგებლის სტატუსზეა აპელირება, რაც სასამართლოს უქმნის ლეგიტიმურ ეჭვს, რომ როგორც წესი/პრაქტიკაში ჩატარებული ოპერაციის სახელმწიფოს მიერ ფინანსდებოდა, **წინააღმდეგ შემთხვევაში სამედიცინო დაწესებულება თავიდანვე განუმარტავდა პაციენტის ოჯახს შექმნილ ვითარებას და არც ჯანმრთელობის დაზღვევის პაკეტების და არც სხვა დაფინანსების წყაროების მოძიებას შესთავაზებდა.**

ყოველივე ზემოაღნიშნულის გარდა, ასევე ნიშანდობლივია აღნიშნოს, რომ აპელანტის განცხადებით, მამის ოპერაციიდან გამოსულმა ქირურგმა მის ოჯახის წევრებს განუმარტა, რომ გულის ორი შრე გამსკდარი იყო და მესამე შრეში სისხლი იღვრებოდა, ოდნავ დაგვიანების შემთხვევაში პაციენტის გადარჩენა ვეღარ მოხერხდებოდა. განსახილველ საქმეში სადავო არაა ის გარემოება, რომ პაციენტის ჩვენება სასიცოცხლო იყო, აღნიშნული დასტურდება ფორმა N100-ით და ამას თავად კლინიკის წარმომადგენელიც ადასტურებს, თუმცა, სასამართლოს კითხვის ნიშანს უჩენს ის გარემოება, რომ პირველ საავადმყოფოში პაციენტის მიყვანისას და სხვ კლინიკაში ოპერაციის ჩატარების დროისთვის პაციენტის დიაგნოზი ერთი და იგივე იყო, მაშინ, როდესაც გულის ანევრიზმის გასკდომა და მისი დროში მოქმედება ძალიან სწრაფად მიმდინარე პროცესია, შესაბამისად, იბადება კითხვა, დიაგნოზის გადამოწმებისა და მისი შეცვლის შემთხვევაში, იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ პაციენტის გულის ორი შრე უკვე გამსკდარი იყო, ხომ არ მოხვდებოდა იგი გამსკდარი ანევრიზმის კლასიფიკაციის ქვეშ და უდავო დაფინანსებას ხომ არ გამოიწვევდა?

ასევე, 2019 წლის 13 თებერვალს სააპელაციო სასამართლოში გამართულ ზეპირ სხდომაზე, მოწინააღმდეგე მხარის შეკითხვაზე სპეციალისტმა ა-----  
-----მ განაცხადა, რომ სოციალურად დაუცველი პირის შემთხვევაში, **პაციენტზე ჩატარებული ოპერაცია საბაზისო** პაკეტის სარგებლობისას, 15 000 ლარის ფარგლებში თანადაფინანსებას დაექვემდებარებოდა, განსახილველ დავაში აპელანტებისა და პაციენტ გ----- კ-----ს ოჯახების სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრაციის ფაქტი, როგორც ოპერაციის ჩატარებისას, ასევე სასამართლო წარმოებისას, სადავო არაა, სამედიცინო დაწესებულებას კი სასამართლოსათვის არ განუმარტავს, თუ რატომ არ მოხდა ჩატარებულ მანიპულაციაზე თანადაფინანსების განხორციელება *(თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2019 წლის 13 თებერვლის სხდომა, 10:42:26 სთ და შემდგომ)*.

12. სააპელაციო პალატა დადგენილად მიიჩნევს გარემოებას მასზედ, რომ მოდავე მხარეთა შორის 2016 წლის 05 დეკემბერს გაფორმებული ვალის აღიარების ხელშეკრულება უცილოდ ბათილ გარიგებათა რიგს განეკუთვნება.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 54-ე მუხლის თანახმად ბათილია გარიგება, რომელიც არღვევს კანონით დადგენილ წესსა და აკრძალვებს, ეწინააღმდეგება საჯარო წესრიგს ან ზნეობის ნორმებს.

სამართლებრივ სახელმწიფოში მართლწესრიგის არსებობას უზრუნველყოფს, როგორც კანონი, ასევე, **მორალური ქცევის სტანდარტი**, შესაბამისად, მიუხედავად იმისა, რომ კერძოსამართლებრივ ურთიერთობებში კერძო ავტონომიისა და თავისუფალი კონტრაქტების პრინციპი მოქმედებს, გარიგება, რომელიც საზოგადოებაში „საყოველთაოდ მიღებულ ქცევის სტანდარტს“ ეწინააღმდეგება, ზნეობის საწინააღმდეგო გარიგებად მიიჩნევა და ბათილობის სამართლებრივ შედეგებს უკავშირდება. სამოქალაქო კოდექსის 54-ე მუხლის საკანონმდებლო დანაწესის მიზანს სწორედ იმგვარი გარიგებების თავიდან აცილება წარმოადგენს, რომლებიც ფორმალურად კანონსაწინააღმდეგო არ არის, თუმცა, თავისი არსით, საზოგადოებრივ მართლწესრიგს არღვევს და სამოქალაქო ბრუნვის სუბიექტთა თანაცხოვრებას აუარესებს, რაც შედეგობრივად, სამოქალაქო ბრუნვას აფერხებს. ამდენად, გარიგების ბათილობისას უნდა არსებობდეს ამ ნორმის რომელიმე კომპონენტის დარღვევით დადებული ხელშეკრულება. **გარიგება ამორალურია, თუ „ის ეწინააღმდეგება სოციალური სამართლიანობის პრინციპს, ხელშეკრულების მხარეს აყენებს შეუსაბამოდ რთულ მდგომარეობაში“.** ამგვარი კატეგორიის დავებში, შემოწმების საგანი არის არა გარიგების მონაწილეთა ქცევა

ზნეობასთან მიმართებაში, არამედ გარიგების, მისი შინაარსის მიმართება  
ზნეობასთან.

გარდა ზემოაღნიშნულისა, პალატა მიუთითებს, რომ ნებისმიერი სახის გარიგების სადავობისას სასამართლო მხარეთა მართლზომიერი და კეთილსინდისიერი ქცევის სტანდარტს ამოწმებს. გარიგების მონაწილეთა ქცევის კეთილსინდისიერების პრინციპის დაცვას სამი ფუნქცია გააჩნია: 1) ყველა ხელშეკრულება უნდა განიმარტოს კეთილსინდისიერების პრინციპიდან გამომდინარე; 2) კეთილსინდისიერების პრინციპს აქვს ხარვეზის (სამართლის ნორმის ხარვეზის) შემავსებელი ფუნქცია, ასევე ხელშეკრულების პირობათა (რომლებიც მხარეთა მიერ ან/და კანონით არ იყო გათვალისწინებული) დამატების ფუნქცია; 3) გამაუქმებელი, შემზღუდავი და „მაკორექტირებელი“ ფუნქცია. საკასაციო სასამართლომ არაერთხელ განმარტა, რომ კეთილსინდისიერების პრინციპიდან გამომდინარე, ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილე მხარეთა თანამშრომლობა, მეორე მხარის ინტერესების გათვალისწინება, მეორე მხარის უფლებებისა და ქონებისადმი განსაკუთრებული გულისხმიერების გამოჩენა საჭიროა ამ ურთიერთობის ნორმალურად განვითარებისათვის.

განსახილველ შემთხვევაში დავის საგანს პაციენტ გ----- კ-----ს წარმომადგენლებსა და შპს „ა-----“ შორის 2016 წლის 05 დეკემბერს დადებული ვალის აღიარების ხელშეკრულების საფუძველზე, აპელანტებისთვის (თავდაპირველი მოპასუხეები) 16 522 ლარის დაკისრება წარმოადგენს. ხელშეკრულების შინაარსობრივ კვლევამდე მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ვალის აღიარების ხელშეკრულება ოპერაციიდან ორი დღის შემდეგ, 2016 წლის 05 დეკემბერს გაფორმდა. ხელშეკრულებაში მითითებულია, რომ აღნიშნული ვალდებულება აპელანტებმა იკისრეს იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ პაციენტი საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის მოსარგებლეს არ წარმოადგენდა და მისთვის გაწეული სამედიცინო მომსახურება სახელმწიფოს მხრიდან დაფინანსებად პროცედურად არ განიხილებოდა.

პირველ რიგში, უნდა აღინიშნოს, რომ სააპელაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს სააპელაციო შესაგებელსა და სასამართლო სხდომაზე გაჟღერებულ მიდგომას მასზედ, რომ კლინიკას ხელშეკრულების გაფორმების დროს პაციენტის დაზღვეულთა ბაზაში ხელმეორედ გადამოწმების ვალდებულება აღარ გააჩნდა. სასამართლოს მიაჩნია, რომ ასეთი ვალდებულება კლინიკას ყველა შემთხვევაში აქვს, მით უფრო ისეთ დროს,

როდესაც ხელშეკრულების გაფორმებამდე მათთვის ცნობილი იყო, რომ პაციენტი და მისი ოჯახი სახელმწიფო დაზღვევის ერთიან სიაში მონაცემების არარსებობას აპროტესტებდნენ და მათ თავად კლინიკის მიერ მიეცათ რეკომენდაციები, თუ როგორ უნდა განხორციელებულიყო პაციენტის ბაზაში მოხვედრა. შესაბამისად, 2016 წლის 05 დეკემბერს ოპერაციის ჩატარებიდან ორი დღის შემდეგ სამედიცინო დაწესებულებისთვის ცნობილი იყო ან შეიძლებოდა ცნობილი ყოფილიყო, რომ დ----- სახელმწიფო დაზღვეულთა ერთიან სიაში მოხვდებოდა, შესაბამისად, მათ პაციენტის ბაზაში ხელმეორედ გადამოწმებისა და მისი წარმომადგენლებისთვის ჯეროვანი ინფორმაციის მიწოდების ვალდებულება გააჩნდათ. ამ მიმართებით ეჭვს ბადებს ასევე, ის გარემოებაც, რომ საქმეში არსებული სს „კ-----

-----“ **2018 წლის 27 ივნისით დათარიღებული წერილით** დგინდება, რომ 2016 წლის 03 დეკემბერს მათ მიერ პაციენტ გ----- კ-----სთვის გაწეული სამედიცინო მომსახურება სახელმწიფო დაზღვევის მხრიდან ანაზღაურდა, ასევე, 2019 წლის 13 თებერვალს სააპელაციო სასამართლოში გამართულ ზეპირ სხდომაზე გამოკითხულმა სპეციალისტმა ა-----მ განმარტა, რომ პაციენტის შესახებ ინფორმაცია, რომელსაც ბაზაში ხედავდა ქირურგიის ეროვნული ცენტრი, ასევე უნდა დაენახა მოსარჩელე სამედიცინო დაწესებულებასაც. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, იმ პირობებში, როდესაც საქმეში არსებული მტკიცებულებათა ერთობლიობით არაორაზროვნად დგინდება, რომ ქირურგიის ეროვნულ ცენტრს არა 2016 წლის 05, არამედ 03 დეკემბერს, პაციენტის სადაზღვევო სტატუსის შესახებ ინფორმაცია ჰქონდა, ასეთი ინფორმაცია რატომ ვერ მოიძია მოსარჩელე სამედიცინო დაწესებულებამ. აღნიშნული უმნიშვნელოვანესია იმ გარემოების შესაფასებლად, თუ რამდენად კეთილსინდისიერად და გულმოდგინების სტანდარტის სრული დაცვით მოქმედებდა სამედიცინო პერსონალი/დაწესებულება, როდესაც აპელანტებთან, რომლებიც სოციალურად დაუცველები არიან, საკმაოდ სოლიდურ თანხაზე, ვალის აღიარების შესახებ ხელშეკრულებას აფორმებდა. სასამართლო მიიჩნევს, რომ პაციენტის წარმომადგენლებს, სადავო გარიგების გაფორმებისას, არ მიეწოდათ ადექვატური, სრულყოფილი და კონკრეტულ ფაქტებზე დაფუძნებული ინფორმაცია პაციენტის სახელმწიფოს მიერ დაზღვევასთან დაკავშირებით, შესაბამისად, მათ მამის ოპერაციის დაფინანსების თაობაზე არასწორ ინფორმაციაზე დაყრდნობით გამოავლინეს ნება, რაც ამგვარი ფორმით გამოვლენილი ნების შედეგად შემდგარ გარიგებას იურიდიული ნამდვილობის საფუძველს აცლის.

ამასთანავე, სააპელაციო პალატა მნიშვნელოვნად მიიჩნევს ყურადღება გაამახვილოს პაციენტის დიაგნოზზე და მიუთითებს, რომ პაციენტის სს „კ-----“

მოთავსებისას, ასევე, შპს „ა-----“  
-----“ გადაყვანისა და ოპერაციის ჩატარებისას პაციენტის დიაგნოზი არ შეცვლილა. მას გულმკერდის აორტის ანევრიზმა (გასკდომის გარეშე) წარმოადგენდა. როგორც სასამართლო პროცესზე თავად კლინიკის წარმომადგენელმა განმარტა, გულის ანევრიზმა დროში საკმაოდ სწრაფად პროგრესირებადი კლინიკური ჩვენებაა და ასეთ დროს, პაციენტის გადასარჩენად ძალიან სწრაფად მოქმედებაა საჭირო. ვინაიდან საქართველოს მთავრობის N36 დადგენილებაში, რომელიც საყოველთაო ჯანდაცვაზე გადასვლის მიზნით გასატარებელ ზოგიერთ ღონისძიებებს განსაზღვრავს, პაციენტები გამსკდარი ანევრიზმებით სახელმწიფოს დაფინანსებას იღებენ და ვინაიდან სწორედ პაციენტის ოპერაციის საფასურის ანაზღაურება წარმოადგენს განსახილველი დავის საგანს, პალატას უჩნდება ლეგიტიმური ეჭვი იმის თაობაზე, მოხდა თუ არა ოპერაციამდე პაციენტის დიაგნოზის გადამოწმება და მისი შეცვლის საჭიროების განხილვა. აღნიშნულ ეჭვს ასევე, ამყარებს ის გარემოებაც, რომ პაციენტის წარმომადგენლებს დიაგნოზის, როგორც ანაზღაურების მიღების წინაპირობის, სიზუსტესთან დაკავშირებით გარკვეული პრეტენზიები გააჩნდათ, აღნიშნულის სისწორის მტკიცების ტვირთი კი, თავიდანვე კლინიკას ეკისრებოდა.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სააპელაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სადავო ვალის აღიარების ხელშეკრულების გაფორმებისას, სამედიცინო დაწესებულების მხრიდან კეთილსინდისიერებისა და გულმოდგინების პრინციპის დაცვით პაციენტის სახელმწიფო დაზღვევის ერთიან ბაზაში რეგისტრაციის ხელახალი გადამოწმება არ მომხდარა რამაც პაციენტის სახელმწიფო სადაზღვევო პოლისით სარგებლობის თაობაზე არასწორი ინფორმაციის მიწოდება გამოიწვია. ასევე, სამედიცინო დაწესებულების მხრიდან პაციენტის დაფინანსების მიზნებისთვის, დიაგნოზისთვის კონკრეტული კოდის მინიჭების მნიშვნელობის შესახებ ჯეროვანი ინფორმაცია არ მიეწოდა, რამაც აპელანტებს სამედიცინო დაწესებულების მიერ დიაგნოზისთვის მინიჭებული კოდის მართებულობის შემოწმებისა და გასაჩივრების უფლება წაართვა. შესაბამისად, სასამართლო ადგენს, რომ ვალის აღიარების ხელშეკრულება აპელანტებისთვის არასრული ინფორმაციის მიწოდების გამო გაფორმდა რამაც რეალობის არასწორი აღქმა და შესაბამისად, აპელანტების მიერ საკუთარ თავზე ისეთი ვალდებულების აღება გამოიწვია, რომელსაც ჯეროვანი ინფორმაციის მიღებისა და სამედიცინო

დაწესებულების მხრიდან მორალური სტანდარტის დაცვის პირობებში, არ აიღებდნენ, რაც სადავო გარიგების, სამოქალაქო კოდექსის 54-ე მუხლის საფუძველზე, ბათილ გარიგებად კვალიფიცირების წინაპირობას ქმნის.

13. სამოქალაქო პროცესში მხარეთა შორის მტკიცების ტვირთის ობიექტური და სამართლიანი განაწილების პრინციპი არსებობს. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის თანახმად, თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებანი, რომლებზეც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს. ამ გარემოებათა დამტკიცება შეიძლება თვით მხარეთა ახსნა-განმარტებით, მოწმეთა ჩვენებით, წერილობითი თუ ნივთიერი მტკიცებულებებით. საქმის გარემოებები, რომლებიც კანონის თანახმად უნდა დადასტურდეს გარკვეული სახის მტკიცებულებებით, არ შეიძლება, დადასტურდეს სხვა სახის მტკიცებულებებით. ამდენად, საპროცესო ნორმა განსაზღვრავს იმ მტკიცებულებათა ნუსხას, რომლებიც მხარეებს შეუძლიათ, თავიანთი მოთხოვნების დასადასტურებლად გამოიყენონ. ჩამოთვლილ მტკიცებულებათაგან არც ერთს არ აქვს უპირატესი იურიდიული მნიშვნელობა. თანახმად სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლისა, სასამართლო მტკიცებულებებს თავისი შინაგანი რწმენით აფასებს, რომელიც მათ სრულ და ობიექტურ განხილვას უნდა ემყარებოდეს, შედეგად, სასამართლოს გამოაქვს დასკვნა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების არსებობის ან არარსებობის შესახებ. გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც კანონი მტკიცების ტვირთის გადანაწილების სპეციალურ წესს ითვალისწინებს (მაგ. შრომით-სამართლებრივი, დისკრიმინაციული დავები) მტკიცების ტვირთის გადანაწილების ზოგადი წესი მოქმედებს, რომლის თანახმად, თითოეულმა მხარემ ის გარემოებები უნდა დაამტკიცოს, რომლებზეც იგი თავის მოთხოვნას ამყარებს. არ შეიძლება მხარეს ისეთი გარემოების მტკიცების ტვირთი დაეკისროს, რომლის ზიდვაც მისთვის ობიექტურად შეუძლებელია.

განსახილველ შემთხვევაში, აპელანტებმა სასამართლოს შეუქმნეს მტკიცებულებით გამყარებული შინაგანი რწმენა მასზედ, რომ 2016 წლის 03 დეკემბრის მდგომარეობით გ----- კ-----ს არათუ საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამით სარგებლობით შეუძლებლობა არამედ, მისთვის „მინიმალური პაკეტით“ სარგებლობის უფლების მიცემა ეფუძნებოდა არა კონკრეტულ სამართლებრივ ნორმას, არამედ ამ სფეროში დადგენილ პრაქტიკას, რაც 2017 წელს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ არაკონსტიტუციურად ცნო. ასევე, აპელანტებმა პაციენტისთვის მინიჭებული დიაგნოზის კოდის მართებულობასთან მიმართებით დასვეს აქცენტები რაც პირდაპირ კავშირში

იყო ჩატარებული მანიპულაციის სახელმწიფოს მხრიდან ანაზღაურებასთან, ამ მიმართებით მტკიცების ტვირთი სრულად აწევს სამედიცინო დაწესებულებას, სწორედ მას უნდა ემტკიცებინა, რომ სოციალური დაუცველი პაციენტისთვის ჩატარებული ოპერაციის დაფინანსების მოპოვებისთვის მათ ხელთ არსებული ყველა ზომა იხმარეს, მათ შორის დიაგნოზის კოდი სწორად განსაზღვრეს, რაც მოცემულ შემთხვევაში, სამედიცინო დაწესებულებას არ განუხორციელებია, მეტიც მათი წარმომადგენელი აცხადებდა, რომ დაწესებულებას ხელშეკრულების გაფორმების დღეს პაციენტის ბაზაში ხელმოწერა შემოწმების ვალდებულებაც კი არ გააჩნდა, რაც სააპელაციო პალატამ გულგრილობად და კეთილსინდისიერების პრინციპის დარღვევად მიიჩნია.

სააპელაციო პალატა დასკვნის სახით აღნიშნავს, რომ განსახილველი დავის განხილვისას, პალატამ, რა თქმა უნდა, გაითვალისწინა გარემოება მასზედ, რომ ჯანდაცვის სფეროში სადაზღვევო პროგრამის განხორციელებისას სახელმწიფოს ლეგიტიმურ მიზანს შესაძლოა საბიუჯეტო რესურსების დაზოგვის ინტერესი წარმოადგენდეს, თუმცა, მხედველობაშია მისაღები ის გარემოება, რომ ჯანმრთელობის დაცვა ინდივიდის უბრალო პრივილეგიას არ წარმოადგენს. ჯანმრთელობის დაცვის უფლების მნიშვნელობიდან გამომდინარე, სახელმწიფოს მოცემულ სფეროში არ უნდა ჰქონდეს ფართო დისკრეცია ადამიანთა დიფერენცირებასთან მიმართებით ფინანსური სახსრების უქონლობის გამო, ვინაიდან მკურნალობის აღმოუჩენლობა შეიძლება დაკავშირებული იყოს ფიზიკურ ტკივილთან, შესაძლებლობების შეზღუდვასთან და პირის გარდაცვალებასთან. ამდენად, მოსარჩელის აზრით, სახელმწიფოს მიერ ფინანსური რესურსების დაზოგვა ინდივიდის ფიზიკური ტანჯვის ხარჯზე გაუმართლებელია. როგორც ეს ზემოთმითითებულ გადაწყვეტილებაში საკონსტიტუციო სასამართლომაც აღნიშნა, ჯანმრთელობის დაცვის სფეროში ადამიანის საჭიროების უზრუნველყოფის პოლიტიკის შერჩევასას სახელმწიფოს შესაძლებელია მოქმედების ფართო არეალი ჰქონდეს, თუმცა, თუკი სახელმწიფო მიზანშეწონილად მიიჩნევს ამგვარი უზრუნველყოფის საჭიროებას, იგი ვალდებულია, აღნიშნული ქმედება განახორციელოს თანასწორ საწყისებზე, ყველა შესაძლო გამონაკლისის გონივრულობის დასაბუთების გზით. შესაბამისად, მიუხედავად იმისა, 2016 წელს მოქმედი ნორმატიული ბაზა პაციენტის „საბაზისო სადაზღვევო პაკეტით“ მოსარგებლედ ცნობას ითვალისწინებდა თუ არა, სასამართლო პაციენტს ამ უფლებას ვერ წაართმევს. რაც შეეხება გადაწყვეტილებაში საკვლევ მეორე უმნიშვნელოვანეს გარემოებას, როგორც პალატამ არაერთგზის აღნიშნა, სამედიცინო დაწესებულებების მიმართ კეთილსინდისიერად ქცევის განსაკუთრებით

მაღალი თამასა უნდა არსებობდეს, რათა ისინი, პირველ რიგში, პაციენტის საუკეთესო ინტერესის გათვალისწინებით, მათი ინფორმირებულობის პრინციპის უმაღლესი დაცვითა და გულმოდგინებით მოქმედებდნენ. სასამართლო მიიჩნევს, რომ მოცემულ შემთხვევაში არცერთ დასახელებულ ქმედებას ადგილი არ ჰქონია, კერძოდ, მიუხედავად იმისა რომ კლინიკამ იცოდა პაციენტი გ----- კ-----ს ოჯახი ცდილობდა იგი სახელმწიფო დაზღვევის სქემაში მოექცია, ვალის აღიარების ხელშეკრულების გაფორმებისას ბაზის ხელახალი შემოწმება არ განხორციელებულა, ასევე, მიუხედავად იმისა, რომ პაციენტის ოჯახს ოპერაციიდან გამოსულმა ქირურგმა განუმარტა, რომ გულის ორი შრე იყო გარღვეული და მესამე შრეში სისხლი ჩაედინებოდა, საქმის მასალებიდან არ დგინდება, ამ ინფორმაციამ გამოიწვია თუ არა დიაგნოზისთვის მისანიჭებელი კოდის ცვლილების შესახებ, სულ მცირე, საუბრის წარმოება მაინც. ასევე, საქმის მასალებიდან არ დგინდება, პაციენტისა და მისი ოჯახის, როგორც სოციალურად დაუცველი მოქალაქეებისთვის, მოხდა თუ არა, თანადაფინანსების შესახებ შესაძლებლობის არსებობის განმარტება, როგორც ეს სააპელაციო სასამართლოს ზეპირ სხდომაზე მოწვეულმა სპეციალისტმა განაცხადა. ყოველივე ზემოაღნიშნულის შესაბამისად, სასამართლო ადგენს, რომ აპელანტებმა წარმატებით დასძლიეს მათზე დაკისრებული მტკიცების ტვირთი და დადებული ვალის აღიარებით ნაკისრი ვალდებულების ბათილი ბუნება დაადასტურეს.

14. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 377-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლო ამოწმებს გადაწყვეტილებას სააპელაციო საჩივრის ფარგლებში ფაქტობრივი და სამართლებრივი თვალსაზრისით. ამავე მუხლის მეორე ნაწილის შესაბამისად, სამართლებრივი თვალსაზრისით შემოწმებისას სასამართლო ხელმძღვანელობს 393-ე და 394-ე მუხლების მოთხოვნებით.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 386-ე მუხლის შესაბამისად, თუ სააპელაციო საჩივარი დასაშვებია და საქმე პირველი ინსტანციის სასამართლოს არ უბრუნდება, სააპელაციო სასამართლო თვითონ იღებს გადაწყვეტილებას საქმეზე. იგი თავისი განჩინებით უარს ამბობს სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილებაზე ან გასაჩივრებული გადაწყვეტილების შეცვლით იღებს ახალ გადაწყვეტილებას.

სააპელაციო პალატას მიაჩნია, რომ მხარეთა შეჯიბრებითობისა და დისპოზიციურობის პრინციპის გათვალისწინებით, სასამართლო

შეზღუდულია მხარეთა მიერ მითითებული ფაქტებითა და მათ მიერ მითითებული მტკიცებულებებით. შესაბამისად, სასამართლო მიიჩნევს, რომ ასეთ პირობებში, სასამართლო გადაწყვეტილებას იღებს საქმეში არსებულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით, მტკიცების ნაკლი კი სამართალწარმოებაში მხარისათვის არასასურველ შედეგს იწვევს. განსახილველ შემთხვევაში, სააპელაციო საჩივარი დასაბუთებულია, ხოლო იმ მტკიცების ნაკლის გამო, რომელიც მოწინააღმდეგე მხარემ (თავდაპირველმა მოსარჩელემ) ვერ გასწია, გასაჩივრებული გადაწყვეტილების, გაუქმებისა და სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილების ფაქტობრივ-სამართლებრივი წინაპირობები არსებობს.

15. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, იმ მხარის მიერ გაღებული ხარჯების გადახდა, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, ეკისრება მეორე მხარეს, თუნდაც ეს მხარე განთავისუფლებული იყოს სახელმწიფო ბიუჯეტში სასამართლო ხარჯების გადახდისაგან. თუ სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, მაშინ ამ მუხლში აღნიშნული თანხა მოსარჩელეს მიეკუთვნება სარჩელის იმ მოთხოვნის პროპორციულად, რომელიც სასამართლოს გადაწყვეტილებით იქნა დაკმაყოფილებული, ხოლო მოპასუხეს – სარჩელის მოთხოვნის იმ ნაწილის პროპორციულად, რომელზედაც მოსარჩელეს უარი ეთქვა.

განსახილველ შემთხვევაში, პირველი ინსტანციის სასამართლოში მოსარჩელის სარჩელი დაკმაყოფილდა, სააპელაციო სასამართლოს მიერ აღნიშნული გადაწყვეტილება გაუქმდა, სააპელაციო საჩივარი სრულად დაკმაყოფილდა, მოსარჩელეს სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარი ეთქვა, შესაბამისად, პირველი ინსტანციის სასამართლოში მოსარჩელის მიერ გადახდილი ბაჟი სახელმწიფო ბიუჯეტში გადახდილად უნდა ჩაითვალოს, ხოლო, მიუხედავად იმისა, რომ აპელანტები სასამართლოში ბაჟის გადახდისგან გათავისუფლებულ პირებს წარმოადგენენ, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის თანახმად, აპელანტების მიერ გადასახდელი 660,88 ლარის გადახდის ვალდებულება შპს „ა-----“ უნდა დაეკისროს.

### ს ა რ ე ზ ო ლ უ ც ი ო ნ ა წ ი ლ ი

სააპელაციო პალატამ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 386-ე, 389-ე, 390-ე, 47-ე, 48-ე, 53-ე მუხლებით, იხელმძღვანელა და

## გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა

1. დ-----ს, ლ---- კ-----სა და მ----- თ----- სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს;
  2. გაუქმდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2018 წლის 29 ივნისის გადაწყვეტილება;
  3. შპს „ა-----ს“  
სარჩელი არ დაკმაყოფილდეს;
  4. შპს „ა-----“  
სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ დაეკისროს სააპელაციო სასამართლოში აპელანტების მიერ ბაჟის სახით გადასახდელი 660,88 ლარი, ხოლო მის მიერ პირველი ინსტანციის სასამართლოში გადახდილი ბაჟი ჩაითვალოს სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ გადახდილად;
  5. გადაწყვეტილების გასაჩივრების მსურველი მხარე, თუ ის ესწრება გადაწყვეტილების გამოცხადებას ან მისთვის ცნობილია გადაწყვეტილების გამოცხადების თარიღი, ვალდებულია, გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადებიდან არა უადრეს 20 და არა უგვიანეს 30 დღისა, გამოცხადდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოში და ჩაიბაროს გადაწყვეტილების ასლი. წინააღმდეგ შემთხვევაში გასაჩივრების ვადის ათვლა დაიწყება განჩინების გამოცხადებიდან 30-ე დღეს. ამ ვადის გაგრძელება და აღდგენა დაუშვებელია.
- საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 46-ე მუხლით გათვალისწინებული პირებისათვის, ასევე პატიმრობაში მყოფი იმ პირებისათვის, რომლებსაც არ ჰყავთ წარმომადგენელი, გადაწყვეტილების ასლის გაგზავნასა და ჩაბარებას უზრუნველყოფს სასამართლო ამავე კოდექსის 70-ე-78-ე მუხლებით დადგენილი წესით.

მოსამართლე

ქეთევან მესხიშვილ



თბილისის სააპელაციო სასამართლო  
გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა  
საქართველოს სახელით

საქმე №28/6870-13

16 სექტემბერი, 2014 წელი

სამოქალაქო საქმეთა პალატა

თავმჯდომარე, მომხსენებელი - ქეთევან მესხიშვილი  
მოსამართლეები - ნათია გუჯაბიძე, ნატალია ნაზლაიძე

სხდომის მდივანი – დარეჯან ზიძინაშვილი

აპელანტი – ა--ნ ქ--ე

წარმომადგენელი – ზ--ბ ქ--ე

მოწინააღმდეგე მხარე – შპს „ჰ--ტ ჯ--ა“ კ--ს ც--ს ქ--ა

წარმომადგენლები – ვ--ო ა--ე, დ--თ ღ--ი

დავის საგანი – ბრძანების ბათილად ცნობა, სამუშაოზე აღდგენა, განაცდურის ანაზღაურება

გასაჩივრებული გადაწყვეტილება – გორის რაიონული სასამართლოს 2013 წლის 14 ნოემბრის გადაწყვეტილება

აპელანტის მოთხოვნა – გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და საქმეზე ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილება

გასაჩივრებული გადაწყვეტილების დასკვნებზე მითითება

ა--ნ ქ--ის სასარჩელო მოთხოვნა: შრომითი ხელშეკრულების მოშლის შესახებ 2013 წლის 18 ივნისის №-- ბრძანების ბათილად ცნობა და სამუშაოზე აღდგენა. იძულებითი განაცდურის ანაზღაურება.

## **გასაჩივრებული გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი**

ა--ნ ა--ის სარჩელი, შპს „ჰ--ტ ჯ--ა“ კ--ს ც--ს ქ--ის 2013 წლის 18 ივნისის №-- ბრძანების ბათილად ცნობის, სამუშაოზე აღდგენისა და განაცდურის ანაზღაურების შესახებ, არ დაკმაყოფილდა.

### **დასკვნები ფაქტობრივ გარემოებებთან დაკავშირებით**

#### **უდავო ფაქტობრივი გარემოებები**

**2.1.** შპს „ჰ--ტ ჯ--ა“ კ--ს ც--ს ქ--ასა და ა--ან ა--ეს შორის 2013 წლის 20 მაისის შეთანხმებით ა--ნ ა--მე დაინიშნა შპს „ჰ--ტ ჯ--ა“ კ--ის ცემენტის ქარხნის საწარმოო პროცესების მართვის დეპარტამენტის ავტოფარების საამქროს უფროსის თანამდებობაზე, რომელიც მანამდე მუშაობდა იმავე საწარმოში მექანიკოსად, ფაქტიურად იგივე ფუნქციით.

მტკიცებულება: მხარეთა ახსნა-განმარტება, იხ. სასამართლოს სხდომის ოქმი.

#### **დადგენილი სადავო ფაქტობრივი გარემოებები**

**2.2.** 2013 წლის 17 ივნისის №-- განკარგულების საფუძველზე შპს „ჰ--ტ ჯ--ა“ კ--ს ც--ს ქ--ის ავტოფარების საამქროში ჩატარებული იქნა აუდიტი.

მტკიცებულება: 2013 წლის 17 ივნისის №-- განკარგულების საფუძველზე ჩატარებული აუდიტის რაპორტი ავტოფარების საამქროში.

**2.3.** შპს „ჰ--ტ ჯ--ა“ კ--ს ც--ს ქ--ის 2013 წლის 18 ივნისის №-- ბრძანებით, საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს შრომის კოდექსის“ 37-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, ა--ნ ა--სთან 2013 წლის 19 ივნისიდან შეწყდა შრომითი ურთიერთობა ხელშეკრულების პირობების დარღვევის გამო.

მტკიცებულება: 2013 წლის 18 ივნისის №-- ბრძანება.

**2.4.** მხარეთა შორის სადავოდ არის გამხდარი გარემოება იმის თაობაზე, რომ თანამდებობრივი ინსტრუქციის შესაბამისად ა--ნ ა--ე, როგორც ავტოფარების საამქროს უფროსი ახორციელებდა თუ არა ავტოფარების მართვას, საამქროში არსებული პრობლემების გამოვლენის და მათი დროულად გადაჭრის მიზნით, შრომითი ხელშეკრულების და შინაგანაწესის საფუძველზე. ადგილი ჰქონდა თუ არა ადამიანური რესურსების არასწორ მართვას, სამუშაო პროცესი იყო თუ არა გამართული, ჰქონდა თუ არა ადგილი ხარვეზებს.

მტკიცებულება: მხარეთა ახსნა-განმარტება, იხ. სასამართლოს სხდომის ოქმი; თანამდებობრივი ინსტრუქცია; აუდიტის რაპორტი.

2.5. მხარეთა შორის სადავოდ არის გამხდარი გარემოება იმის თაობაზე, იცოდა თუ არა მოსარჩელე ა--ნ ჟ--მ სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ 2011 წლის 6 ივლისს გაცემული ავტოტექნიკური ექსპერტიზის დასკვნის შესახებ, ავტო-სატრანსპორტო საშუალებების და სპეც. ტექნიკის საწვავის ხარჯვასთან დაკავშირებით

მტკიცებულება: მხარეთა ახსნა-განმარტება - იხ. სასამართლოს სხდომის ოქმი.

მოპასუხე მხარის შუამდგომლობით მოწმის სახით დაკითხულმა საწარმოს ტექნიკური კონტროლის უფროსმა ლ. დ--მა განმარტა, რომ ა--ნ ჟ--მ უშუალოდ მას წარუდგინა ექსპერტიზის დასკვნა, სადაც მითითებულია ინფორმაცია ავტო-სატრანსპორტო საშუალებების და სპეც. ტექნიკის საწვავის ხარჯვასთან დაკავშირებით. რაც შეეხება მოსარჩელე მხარის შუამდგომლობით სასამართლო სხდომაზე დაკითხული მოწმე ზ.კ--ის მიერ მიცემულ ჩვენებას, მართალია, ამ უკანასკნელმა დაადასტურა სამსახურიდან გათავისუფლების შემდეგ ა.ჟ--სათვის სადავო ექსპერტიზის დასკვნის გადაცემის შესახებ გარემოება, თუმცა, აღნიშნულით უარყოფილი ვერ იქნა ის გარემოება, რომ ა.ჟ--მ არ იცოდა ზემოაღნიშნული ექსპერტიზის დასკვნის შედეგების შესახებ.

აუდიტი ჩატარდა დიზელის საწვავის ხარჯვის, სატვირთო ავტოტრანსპორტის და ამწე მექანიზმების დიზელის ავზის შევსების და დალუქვის პროცედურის, ასევე დოკუმენტაციის წარმოების შესახებ, რაც დაკავშირებული იყო საწვავის კონტროლთან.

დასკვნის მიხედვით, კომისიურად 2013 წლის 18 ივნისს დილის 8 საათიდან შემოწმებულ იქნა პროცედურა და დოკუმენტაციის წარმოება სატვირთო ავტოტრანსპორტის და ამწე მექანიზმების განაწილებაზე საამქროების მიხედვით, რა დროსაც გამოვლინდა რიგი ხარვეზები, მათ შორის, სამუშაოს დამთავრებისას არ ხდებოდა საგზურის ფურცელში ჩანაწერების შემოწმება ავტოფარების უფროსის და დისპეტჩერის მიერ, არ კონტროლდებოდა რეალური საწვავის ხარჯი შესრულებული სამუშაოს მიხედვით. მითითებული სამუშაო საათები არ იყო რეალური, რადგან მითითებულია სრული სამუშაო დღე.

ასევე შემოწმდა ავტოფარების საადრიცხვო ჟურნალი, რომელშიც აღირიცხება ტექნიკის ნამუშევარი მოტოსაათები, ოდომეტრის მაჩვენებელი და საწვავის ხარჯი, რომელსაც აწარმოებდა ავტოფარების უფროსი. შემოწმებით გამოვლინდა, რომ საწვავის ხარჯის და ავტომტვირთავების მოტოსაათების აღრიცხვა არ იყო ზუსტი და ავტომტვირთავ ვოლვოს შემთხვევაში ფაქტიური ხარჯი იყო ნორმაზე გადაჭარბებული.

აღნიშნული გარემოება დაადასტურა ასევე მოსარჩელის შუამდგომლობით მოწმის სახით დაკითხულმა მძღოლმა მ--ა კ--მა და ამავე საწარმოს ყოფილმა დისპეტჩერმა ი--ბ ხ--მა. აღნიშნულმა პირებმა განმარტეს, რომ ავტოსატრანსპორტო საშუალების მძღოლის ზეპირი განაცხადის საფუძველზე ხდებოდა საწვავის მარაგის შევსება, საგზურები არ იხურებოდა სამუშაო საათების დამთავრებისას და ხშირ შემთხვევაში, მეორე დღეს ხდებოდა

საგზურების წარდგენა, საბოლოოდ კი თვის ბოლოს ხდებოდა საწვავის მარაგების ნაშთების დაბალანსება.

რაც შეეხება მოწმე მ.კ--ის ჩვენებას ექსპერტის დასკვნის მცდარობის შესახებ, ავტოტრანსპორტის საწვავის ხარჯვის ნორმებთან მიმართებაში, აღნიშნული არ იქნა გაზიარებული, ვინაიდან სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2011 წლის 6 ივლისს გაცემული ავტოტექნიკური ექსპერტიზის დასკვნის შესაბამისად გამოკვლევა ჩატარდა საწარმოში არსებულ სხვადასხვა სატრანსპორტო საშუალებებზე და სპეც. ტექნიკაზე და გაიკა სათანადო დასკვნა, რის საწინააღმდეგო მტკიცებულება ვერ წარადგინა მხარემ, ხოლო ზემოთ აღნიშნული მოწმის ზეპირი ჩვენება ვერ გახდა ექსპერტიზის დასკვნის გაბათილების საფუძველი.

### **დასკვნები სამართლებრივ გარემოებებთან დაკავშირებით**

**2.6.** შპს „3--ტ ჯ--ა“ კ--ს ც--ს ქ--სა და ა--ან ჟ--ს შორის 2009 წლის 1 აგვისტოს გაფორმდა შრომითი ხელშეკრულება, რომლითაც მოსარჩელე დაინიშნა ავტოფარების მექანიკოსის თანამდებობაზე განუსაზღვრელი ვადით, ხოლო 2013 წლის 20 მაისის შეთანხმებით ა--ნ ჟ--ე იგივე ფუნქციით დაინიშნა შპს „3--ტ ჯ--ია“ კ--ს ც--ს ქ--ს საწარმოო პროცესების მართვის დეპარტამენტის ავტოფარების საამქროს უფროსის თანამდებობაზე.

შპს „3--ტ ჯ--ა“ კ--ს ც--ს ქ--სა და ა--ან ჟ--ს შორის 2009 წლის 1 აგვისტოს გაფორმებული შრომითი ხელშეკრულების პირველი მუხლის პირველი და მე-2 ქვეპუნქტების თანახმად, შრომითი ხელშეკრულება არეგულირებს დამსაქმებელსა და დასაქმებულს შორის წარმოშობილ შრომით და მის თანმდევ ურთიერთობებს; ხელშეკრულება ეფუძნება შრომის შინაგანაწესს, საქართველოს შრომის კოდექსსა და მოქმედ კანონმდებლობას. ამავე ხელშეკრულების საფუძველზე ა--ნ ჟ--ის სამსახურის სტატუსი მექანიკოსის თანამდებობიდან შეიცვალა და 2013 წლის 20 მაისის შეთანხმებით დაინიშნა საამქროს უფროსის თანამდებობაზე, ფაქტიურად იგივე ფუნქციით.

აღნიშნულიდან გამომდინარე, მოცემულ შემთხვევაში მხარეებს შორის ურთიერთობა მოწესრიგებულია, როგორც მითითებული შრომითი ხელშეკრულებით, თანამდებობრივი ინსტრუქციით, ასევე შინაგანაწესით და საქართველოს კანონმდებლობით.

საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს შრომის კოდექსის“ პირველი მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ეს კოდექსი აწესრიგებს საქართველოს ტერიტორიაზე შრომით და მის თანმდევ ურთიერთობებს, თუ ისინი განსხვავებულად არ რეგულირდება სხვა სპეციალური კანონით ან საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებით.

იმავე კანონის 37-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, ერთ-ერთი მხარის მიერ შრომითი ხელშეკრულების პირობების დარღვევა შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის საფუძველია.

მოსარჩელის განმარტებით, მისი გათავისუფლება გამოწვეულია მის მიმართ სხვა პირის ბრალეული ქმედების გამო. მისი სამსახურიდან დათხოვნა განაპირობა საამქროს მძღოლის მიერ 2013 წლის 15 ივნისს ამავე ქარხნის სხვა ტერიტორიაზე ჩადენილი ქურდობის ფაქტმა, ასევე აღნიშნული ფაქტის გამო საწარმოში 2013 წლის 17 ივნისს გამიზნულად ჩატარებული აუდიტის შემოწმების შედეგად გამოვლენილი ხარვეზების გამო, რასაც, მისი აზრით, არანაირი კავშირი არა ჰქონდა მის მიერ შრომითი ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობასთან.

ის ფაქტი, რომ ა--ნ ჟ--ს სამსახურიდან დათხოვნა მოხდა მიზანმიმართულად, საქმის მასალებით არ დადასტურდა. სასამართლომ მიიჩნია, რომ მოსარჩელის სამუშაოდან დათხოვნა არ შეიძლება პირდაპირ ყოფილიყო განპირობებული მის დაქვემდებარებაში მყოფი ავტოფარეხის ავტომტვირთავის მძღოლის თ--ზ ქ--ს 2013 წლის 15 ივნისს ქარხნის საკუთრებაში არსებული ქონების (საწვავის) ქურდობის ფაქტით. თუმცა აღნიშნული ფაქტი საფუძვლად დაედო 2013 წლის 17 ივნისის N-- განკარგულებას, რომლის საფუძველზე შპს „კ--ტ ჯ--ა“ კ--ს ც--ს ქ--ს ა--ს საამქროში ჩატარებულ იქნა აუდიტი, რა დროსაც ა--ნ ჟ--ს დაქვემდებარებაში მყოფი ავტოსატრანსპორტო საამქროში გამოვლენილ იქნა არაერთი ხარვეზი, რაც აისახა ამავე განკარგულების საფუძველზე შედგენილ რაპორტში.

მოსარჩელის მითითება, რომ მან არ იცოდა სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ 2011 წლის 6 ივლისს გაცემული ავტოტექნიკური ექსპერტიზის დასკვნის შესახებ და ასეთი დასკვნა მას გადასცა მძღოლმა მ.კ--მა სამსახურიდან გათავისუფლების შემდეგ, რაც ამ უკანასკნელმაც დაადასტურა სასამართლო სხდომაზე, სასამართლომ არ გაიზიარა, ვინაიდან ექსპერტის მიერ ადგილზე ჩატარებულ გამოკვლევებში თვითონ ა--ნ ჟ--ე უშუალოდ იღებდა მონაწილეობას, შემდგომში კი საწარმოს ტექნიკური კონტროლის უფროსს ლ.დ--ს მანვე წარუდგინა ექსპერტიზის დასკვნა, სადაც მითითებულია აღნიშნული ინფორმაცია.

აუდიტი ჩატარდა: დიზელის საწვავის ხარჯვის, სატვირთო ავტოტრანსპორტის და ამწე მექანიზმების დიზელის ავზის შევსების და დალუქვის პროცედურის, ასევე დოკუმენტაციის წარმოების შესახებ, რაც დაკავშირებული იყო საწვავის კონტროლთან. დასკვნის მიხედვით, კომისიურად 2013 წლის 18 ივნისს დილის 8 საათიდან შემოწმებული იქნა პროცედურა და დოკუმენტაციის წარმოება სატვირთო ავტოტრანსპორტის და ამწე მექანიზმების განაწილებაზე საამქროების მიხედვით, რა დროსაც გამოვლინდა რიგი ხარვეზებისა, მათ შორის სამუშაოს დამთავრებისას არ ხდებოდა საგზურის ფურცელში ჩანაწერების შემოწმება ავტოფარეხის უფროსის და დისპეტჩერის მიერ, არ კონტროლდებოდა რეალური საწვავის ხარჯი შესრულებული სამუშაოს მიხედვით. მითითებული სამუშაო საათები არ იყო რეალური, რადგან მითითებულია სრული სამუშაო დღე.

ასევე შემოწმდა ავტოფარეხის საადრიცხვო ჟურნალი, რომელშიც აღირიცხება ტექნიკის ნამუშევარი მოტოსაათები, ოდომეტრის მაჩვენებელი და საწვავის ხარჯი, რომელსაც

აწარმოებდა ავტოფარეხის უფროსი. შემოწმებით გამოვლინდა, რომ საწვავის ხარჯის და ავტომტვირთავების მოტოსაათების აღრიცხვა არ იყო ზუსტი და ავტომტვირთავ ვოლვოს შემთხვევაში ფაქტიური ხარჯი იყო ნორმაზე გადაჭარბებული.

ა--ნ ა--ს გათავისუფლების საფუძველი გახდა აღმოჩენილი ხარვეზები. ეს ფაქტი კი, სასამართლოს განმარტებით, თავის მხრივ, გამორიცხავს მოსარჩელის პოზიციის მართებულობას მის დაქვემდებარებაში მყოფი ავტოფარეხის მძღოლის თ--ზ ა--ს ბრალეული ქმედების გამო მისი გათავისუფლების შესახებ.

მხარეთა განმარტებებით და თანამდებობრივი ინსტრუქციით დადგენილია, რომ ა--ნ ა--ე, როგორც ავტოფარეხის საამქროს უფროსი ახორციელებდა ავტოფარეხის მართვას, საამქროში არსებული პრობლემების გამოვლენის და მათი დროულად გადაჭრის მიზნით, შრომითი ხელშეკრულების, თანამდებობრივი ინსტრუქციის და შინაგანაწესის საფუძველზე.

შპს „ჰ--ტ ჯ--ა“ კ--ს ც--ს ა--სა და ა--ნ ა--ს შორის 2009 წლის 1 აგვისტოს გაფორმებული შრომითი ხელშეკრულების (იმავე მხარეებს შორის 2013 წლის 20 მაისის შეთანხმებით ა--ნ ა--ე დაინიშნა შპს „ჰ--ტ ჯ--ა“ კ--ს ც--ს ა--ს საწარმოო პროცესების მართვის დეპარტამენტის ავტოფარეხის საამქროს უფროსის თანამდებობაზე, რითაც გაგრძელდა წინა ხელშეკრულების პირობები) მე-4 მუხლის 4.4.1 ქვეპუნქტით და „ს--ს“ კ--ს ა--ი დასაქმებულთა შრომის შინაგანაწესის 9.4.1. და 9.4.5. ქვეპუნქტების მიხედვით, განსაზღვრულია დამსაქმებლის უფლებამოსილება, თუ კონკრეტულად რა შემთხვევებში შეუძლია შეწყვიტოს მან შრომითი ურთიერთობა დასაქმებულთან. ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს ერთ-ერთი მხარის მიერ შრომითი ხელშეკრულების პირობების დარღვევის გამო, საქართველოს შრომის კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით.

შპს „ჰ--ტ ჯ--ა“ კ--ს ც--ს ა--ს 2013 წლის 18 ივნისის №-- ბრძანებით, საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს შრომის კოდექსის“ 37-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, ა--ნ ა--სთან 2013 წლის 19 ივნისიდან შეწყდა შრომითი ურთიერთობა ხელშეკრულების პირობების დარღვევის გამო, სასამართლოს განმარტებით, ის ფაქტი, თუ რატომ მოხდა მოპასუხე მხარის მიერ ა--ნ ა--სათვის ერთი თვის ხელფასის მიცემა, აღნიშნული წარმოადგენს მოპასუხე მხარის კომპეტენციას და ვერ გახდებოდა მოსარჩელე მხარის არგუმენტი ა.ა--ის გათავისუფლების უსაფუძვლობის გარემოების დასადასტურებლად.

ის ფაქტი, რომ სადავოდ გამხდარ ბრძანებაში 1.2 პუნქტად მიეთითა 2013 წლის 15 ივნისს ა. ა--ის დაქვემდებარებაში მყოფი ავტოფარეხის ციცივიანი ავტომტვირთავის მძღოლის თ--ზ ა--ის მიერ ქარხნის საკუთრებაში არსებული ქონების (საწვავის) ქურდობის ფაქტის შესახებ, არ იძლევა ამ ბრძანების გაუქმების საფუძველს, ვინაიდან მოპასუხე მხარის განმარტებით, ზოგადად აღნიშნული ფაქტი საფუძველად დაედო აუდიტის შემოწმებას, რითაც შემდგომში გამოვლინდა ხარვეზები ა. ა--ის დაქვემდებარებაში მყოფი ავტოფარეხის საამქროში.

მოსარჩელის წარმომადგენლის განმარტება, რომ ბრძანება არ შეიცავდა მოსარჩელის სამსახურიდან დათხოვნის შესაბამის დასაბუთებას და ამ ბრძანების გამოცემით დაირღვა საქართველოს კონსტიტუცია, შრომის კოდექსის მე-2, 37-ე, 38-ე მუხლების მოთხოვნები, არ იქნა გაზიარებული, რადგან სადავოდ გამხდარი ბრძანება გამოცემულია „საქართველოს შრომის კოდექსის“ 37-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის, შრომითი ხელშეკრულების მე-4 მუხლის 4.4.1 ქვეპუნქტით და შრომის შინაგანაწესის 9.4.1. და 9.4.5. ქვეპუნქტების შესაბამისად, რაზეც აღნიშნულია ბრძანებაშიც.

ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლომ მიიჩნია, რომ ა--ნ ჟ--სთან ხელშეკრულების შეწყვეტა მოხდა შპს „პ--ტ ჯ--ა“ კ--ს ც--ს ქ--ს ავტოფარების საამქროში ჩატარებული აუდიტის დასკვნის საფუძველზე გამოვლენილი ხარვეზების გათვალისწინებით, რომლის სწორად და ეფექტურად წარმართვის ტვირთი და პასუხისმგებლობა ეკისრება კონკრეტულ შემთხვევებში ავტოფარების საამქროს უფროსს, რომელიც პასუხისმგებელი იყო კონტროლი განეხორციელებინა და სამუშაოს დამთავრებისას საგზურის ფურცელში ჩანაწერები შეემოწმებინა, ასევე გაეკონტროლებინა რეალური საწვავის ხარჯი შესრულებული სამუშაოს მიხედვით.

ამასთან, მოსარჩელესთან შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტა მოხდა საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს შრომის კოდექსის“ 37-ე მუხლით დადგენილი წესით - შეწყდა შრომითი ურთიერთობა ხელშეკრულების პირობების დარღვევის გამო.

იმის გათვალისწინებით, რომ გასაჩივრებული ბრძანების გამოცემით და მოსარჩელესთან შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტით კანონის მოთხოვნები არ დარღვეულა, სასარჩელო მოთხოვნა განაცდურის ანაზღაურების შესახებ სასამართლომ ასევე დაუსაბუთებლად მიიჩნია.

### **3. სააპელაციო საჩივრის საფუძვლები**

**3.1.** სასამართლომ არასწორად მიიჩნია დადგენილად, რომ აპელანტის მიერ შრომითი ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულება ხორციელდებოდა არაჯეროვნად, რაც დასტურდებოდა 2013 წლის 17 ივნისის აუდიტის დასკვნით. აპელანტის მიერ ყველა დოკუმენტი შედგენილია საწარმოში არსებული მოთხოვნათა დაცვით და საწვავის გაცემაც ხორციელდებოდა დადგენილი ნორმის ფარგლებში. აღნიშნული დოკუმენტაციის საწარმოდან გამოთხოვის შემდეგ სასამართლო დარწმუნდება აპელანტის პოზიციის სისწორეში. ასევე, ავტოტექნიკური ექსპერტიზის ჩატარების შემდეგ დადგინდება, რომ ავტომანქანა ვოლვოს საწვავი ეძლეოდა ნორმის ფარგლებში.

**3.2.** იმის გათვალისწინებით, რომ სასამართლომ არასწორად მიიჩნია დადგენილად მოსარჩელის მხრიდან შრომითი ხელშეკრულების დარღვევის ფაქტი, შესაბამისად, ასევე არასწორად გამოიყენა შრომის კოდექსის 37-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტი.

#### 4. გასაჩივრებული გადაწყვეტილების შეცვლის დასაბუთება

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 377-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლო ამოწმებს გადაწყვეტილებას სააპელაციო საჩივრის ფარგლებში ფაქტობრივი და სამართლებრივი თვალსაზრისით. ამავე მუხლის მეორე ნაწილის შესაბამისად, სამართლებრივი თვალსაზრისით შემოწმებისას სასამართლო ხელმძღვანელობს 393-ე და 394-ე მუხლების მოთხოვნებით.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 386-ე მუხლის შესაბამისად, თუ სააპელაციო საჩივარი დასაშვებია და საქმე პირველი ინსტანციის სასამართლოს არ უბრუნდება, სააპელაციო სასამართლო თვითონ იღებს გადაწყვეტილებას საქმეზე. იგი თავისი განჩინებით უარს ამბობს სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილებაზე ან გასაჩივრებული გადაწყვეტილების შეცვლით იღებს ახალ გადაწყვეტილებას.

#### ფაქტობრივი დასაბუთება

**4.1. ა--ნ ჟ--ე სამსახურიდან გათავისუფლებამდე მუშაობდა შპს „ჰ--ტ ჯ--ა“ კ--ს ც--ს ქ--ს საწარმოო პროცესების მართვის დეპარტამენტის ავტოფარეხის საამქროს უფროსის თანამდებობაზე და მისი ყოველთვიური ანაზღაურება შეადგენდა 1350 ლარს.**

შპს „ჰ--ტ ჯ--ა“ კ--ს ც--ს ქ--სა და ა--ნ ჟ--ს შორის 2009 წლის 1 აგვისტოს გაფორმდა შრომითი ხელშეკრულება, რომლითაც მოსარჩელე დაინიშნა ავტოფარეხის მექანიკოსის თანამდებობაზე **განუსაზღვრელი ვადით** (ს.ფ. 11-13, ტ. 1).

საქმეში წარმოდგენილი ანკეტის (ტ. 1, ს.ფ. 14-17, 54) შესაბამისად ასევე დგინდება, რომ **2013 წლის 20 მაისიდან** ა--ნ ჟ-- დაინიშნა შპს „ჰ--ტ ჯ--ა“ კ--ს ც--ს ქ--ს საწარმოო პროცესების მართვის დეპარტამენტის ავტოფარეხის საამქროს უფროსის თანამდებობაზე.

ამავე ანკეტის შესაბამისად (ს.ფ. 16, ტ. 1) დგინდება, რომ მისი ყოველთვიური ანაზღაურება **განისაზღვრა 1350 ლარის ოდენობით**.

ა--ნ ჟ--ნ შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის შესახებ, 2013 წლის 18 ივნისის №-- ბრძანების მიხედვითაც მოსარჩელე გათავისუფლდა სწორედ ქ--ს საწარმოო პროცესების მართვის დეპარტამენტის ავტოფარეხის საამქროს უფროსის თანამდებობიდან (ს.ფ. 10, ტ. 1).

ავტოფარეხის საამქროს უფროსის თანამდებობაზე მუშაობისა და 1350 ლარის ოდენობით ანაზღაურების არსებობის ფაქტი სადავოდ არ გაუხდიათ და დაადასტურეს მხარეებმაც (იხ. 2013 წლის 9 სექტემბრის სხდომის ოქმი 12:57:30 და 13:35:20).

**4.2. ა--ნ ჟ--ე სამსახურიდან გათავისუფლდა შრომითი ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის გამო. ა--ნ ჟ--ს არ ჩაუდენია ისეთი სამსახურებრივი გადაცდომა, რომელიც მისი სამსახურიდან დათხოვნის საფუძველი შეიძლება გამხდარიყო.**

სამუშაოდან განთავისუფლების თაობაზე შრომითი დავის განხილვისას, სასამართლომ უნდა შეამოწმოს, თუ რამდენად მართლზომიერად მოქმედებდა დამსაქმებელი დასაქმებულის სამუშაოდან განთავისუფლებისას. აღნიშნული საკითხის გამორკვევა კი შესაძლებელია მხოლოდ შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის თაობაზე ადმინისტრაციის ბრძანებაში მითითებული დასაქმებულის გათავისუფლების საფუძვლის კვლევის შედეგად.

განსახილველ შემთხვევაში, ა--ნ ჟ--სთან შრომითი ხელშეკრულება შეწყდა შპს „კ--ტ ჯ--ა“ კ--ს ც--ს ქ--ს 2013 წლის 18 ივნისის №-- ბრძანებით, საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს შრომის კოდექსის“ 37-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის საფუძველზე.

სადავო ბრძანების შესაბამისად, შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის მიზეზი გახდა ა--ნ ჟ--ს მიერ შრომითი ხელშეკრულებითა და შინაგანაწესით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობა, მისი თვისებებისა და უნარ-ჩვევების შეუსაბამობა დამსაქმებლის მოთხოვნებთან. ა--ნ ჟ--მ ვერ შეძლო მოვალეობების სათანადოდ განხორციელება, საამქროს შესაბამისი მართვა, მის დაქვემდებარებაში მყოფი პირების საქმიანობის სათანადო კონტროლი. აღნიშნული დასტურდება 2013 წლის 17 ივნისის N-- განკარგულების საფუძველზე ავტოფარების საამქროში ჩატარებული აუდიტის რაპორტით, რა დროსაც გამოვლინდა არაერთი ხარვეზი და ასევე 2013 წლის 15 ივნისის მომხდარი ფაქტით, როდესაც ა--ნ ჟ--ს დაქვემდებარებაში მყოფი ავტოფარების ციციხვიანი ავტომტვირთავის მძღოლის თ--ზ ქ--ს აქტიური მონაწილეობით ადგილი ჰქონდა ორგანიზებული დანაშაულის მცდელობას (ს.ფ. 10, ტ. 1).

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის თანახმად, თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებანი, რომლებზედაც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებს და შესაგებელს. პალატა განმარტავს, რომ სამოქალაქო სამართალწარმოებისას მტკიცების ტვირთი ნაწილდება ობიექტურად და სამართლიანად. მტკიცების ტვირთის განაწილების ობიექტური და სამართლიანი სტანდარტი განაპირობებს მოსარჩელისა და მოპასუხის მტკიცების საგანში შემავალი გარემოებების წრის განსაზღვრას, რა დროსაც მხედველობაში მიიღება მხარის მიერ მტკიცების ობიექტური განხორციელების შესაძლებლობა. აღნიშნულ პრინციპს ეფუძნება დადებითი მოვლენის მტკიცების ვალდებულება ნეგატიური მოვლენის მტკიცების შეუძლებლობის გამო. **ნიშნდობლივია, რომ შრომითსამართლებრივი დავები მტკიცების ტვირთის განაწილების გარკვეული თავისებურებით ხასიათდება, რასაც მტკიცებულებების წარმოდგენის თვალსაზრისით, დამსაქმებლისა და დასაქმებულის არათანაბარი შესაძლებლობები განაპირობებს.** მოსარჩელე, დასაქმებული, რომელიც სამსახურიდან უკანონოდ დათხოვნის თაობაზე აპელირებს, ვერ დაადასტურებს მისი სამსახურიდან დათხოვნის უკანონობას. შესაბამისად, მოსარჩელის მითითება მასზედ, რომ იგი უკანონოდ გაათავისუფლეს სამსახურიდან, **მტკიცების ტვირთს აბრუნებს და დამსაქმებელს დასაქმებულის სამსახურიდან მართლზომიერად გათავისუფლების მტკიცების ვალდებულებას აკისრებს.**

აღნიშნული დასკვნა გამომდინარეობს შემდეგი ძირეული პრინციპიდან, კერძოდ, დამსაქმებელს გააჩნია **მტკიცებითი უპირატესობა**, სასამართლოს წარუდგინოს მისთვის ხელსაყრელი მტკიცებულებები იმასთან დაკავშირებით, რომ მისმა მუშაკმა შრომითი მოვალეობები დაარღვია, რაც კონკრეტულ ქმედებებში გამოიხატა, ვიდრე მუშაკს, რომელიც ობიექტურად ვერ შეძლებს მტკიცებულებების წარდგენას მასზედ, რომ იგი ვალდებულებას ჯეროვნად ასრულებდა. შესაბამისად, განსახილველ შემთხვევაში, მოპასუხე ვალდებულია სათანადო მტკიცებულებებით დაადასტუროს ა--ნ ყ--ს მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების დარღვევის ფაქტი.

აღნიშნულის დასადასტურებლად საქმეში წარმოდგენილია 2013 წლის 17 ივნისის N-- განკარგულების საფუძველზე ჩატარებული აუდიტის რაპორტი ავტოფარების საამქროში (ს.ფ. 56-65, ტ. 1). რაპორტის შესაბამისად დგინდება, რომ აუდიტმა გამოავლინა შემდეგი სახის პრობლემები: ტექნიკის განაწილების პროცესი არ მოიცავს სრულ ინფორმაციას, თუ სად უნდა იმუშაოს, რა მოცულობის სამუშაოა და რა პერიოდი მოუწევს მუშაობა ტექნიკას; საგზურის ფურცლის დიზაინი არის მოძველებული და არ აკმაყოფილებს დღევანდელ სტანდარტებს; სამუშაოს დამთავრებისას არ ხდება საგზურის ფურცელში ჩანაწერების შემოწმება ავტოფარების უფროსის და დისპეჩერის მიერ, არ კონტროლდება საწვავის ხარჯი შესრულებული სამუშაოს მიხედვით. მითითებული ნამუშევარი საათები არ არის რეალური, რადგან მითითებულია სრული სამუშაო დღე, რაც არის შეუძლებელი.

პალატამ წარმოდგენილი რაპორტი, როგორც საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულება, შეაფასა და მითითებულ მტკიცებულებასთან მიმართებით მხარეთა პოზიციების მოსმენის შედეგად მივიდა დასკვნამდე, რომ ა--ნ ყ--ს არ **ჩაუდენია ისეთი სამსახურებრივი გადაცდომა, რომელიც მისი სამსახურიდან დათხოვნის საფუძველი შეიძლება გამხდარიყო.**

პალატა მიზანშეწონილად მიიჩნევს, რაპორტში მითითებული დარღვევები შეაფასოს თანმიმდევრულად საქმეში არსებულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით.

**4.2.1. რაპორტის მიხედვით, პირველ დარღვევას წარმოადგენს ის ფაქტი, რომ ტექნიკის განაწილების პროცესი არ მოიცავს სრულ ინფორმაციას, თუ სად უნდა იმუშაოს, რა მოცულობის სამუშაოა და რა პერიოდი მოუწევს მუშაობა ტექნიკას (ტ. 1, ს.ფ. 56);**

პალატა წარმოდგენილი მტკიცებულების კვლევისა და მტკიცებულებასთან მიმართებით ორივე მხარის ახსნა - განმარტების მოსმენის შედეგად მივიდა დასკვნამდე, რომ 2013 წლის 17 ივნისის №-- განკარგულების საფუძველზე ჩატარებულ აუდიტის რაპორტში დასახელებული პრობლემა (№1) განპირობებულია იმ ფაქტით, რომ ტექნიკის განაწილების პროცესი არ მოიცავს სრულ ინფორმაციას, თუ სად უნდა იმუშაოს, რა მოცულობის სამუშაო უნდა შეასრულოს და რა პერიოდი მოუწევს მუშაობა ტექნიკას. აღსანიშნავია, რომ საამქროში მოქმედი საგზურის ფურცელი არ შეიცავს აღნიშნული ინფორმაციის თავსებად გრაფას, რაც დასტურდება ამავე რაპორტით, კერძოდ, რაპორტის 1.2. პუნქტის შესაბამისად, **საგზურის ფურცლის დიზაინი არის მოძველებული და არ**

აკმაყოფილებს დღევანდელ მოთხოვნებს, კერძოდ, საგზური არ არის დაცული შესაძლო გაყალბებისაგან და არ ხდება მისი აღრიცხვა სარეგისტრაციო ნომრების მიხედვით. საგზურის ინფორმაცია არ იძლევა სრულ სურათს, კერძოდ, ინფორმაციას იმასთან დაკავშირებით, თუ რომელ საამქროში ან უბანზე არის გამოყენებული ტექნიკა, ასევე არ არის მითითებული სამუშაოს მოცულობა და ტექნიკის მუშაობის ხანგრძლივობა, საწვავის ნაშთი ტრანსპორტის საწვავის ავზში სამუშაოს დაწყებისას და საწვავის ხარჯვითი ნორმები. შესაბამისად, პალატა ადგენს, რომ ა--ნ ჟ--ე მასზე დაკისრებულ მოვალეობებს ასრულებდა საგზურის ფურცლის მოქმედი სახით შევსების გზით, რომელიც არ იძლეოდა სრულ სურათს საწვავის ხარჯვასთან დაკავშირებით, **თუმცა, ნიშანდობლივია ის გარემოება, რომ საგზურის ფურცლის შეცვლა, მისი ახალი დიზაინის შემუშავება ან კიდევ საგზურის ფურცელში იმ დამატებითი ინფორმაციის შეყვანა, რომელიც ინფორმაციის თავსებად გრაფასაც საგზურის ფურცელი არ მოიცავდა, ა--ნ ჟ--ს არ მოეთხოვებოდა.** ამ მხრივ, ნიშანდობლივია ის გარემოება, რომ რაპორტი კი არ შეიცავს დასკვნას მასზე, რომ ა--ნ ჟ--ე საგზურის ფურცელს არასათანადოდ ავსებდა, გასცემდა ან არასწორ ინფორმაციას ასახავდა მასში, ან კიდევ საგზურის ფურცელში არსებულ ინფორმაციას არ ამოწმებდა ან არ აკონტროლებდა, არამედ რაპორტი ეფუძნება დასკვნას იმის თაობაზე, რომ საგზურის ფურცლის მოძველებული ფორმა, სრულყოფილად შევსებულიც კი, არ იძლეოდა საწვავის ხარჯვის სრულ სურათს, რაც ა--ნ ჟ--ს ბრალად არ შეიძლება შეერაცხოს. სასამართლოს აღნიშნულ დასკვნას ამყარებს რაპორტის პირველ საკითხად დასახელებული პრობლემის გადაჭრის გზაც, კერძოდ, დასკვნის მიხედვით გამოვლენილი პრობლემის გადაჭრის გზა მდგომარეობს იმაში, რომ უნდა შეიცვალოს საგზურის ფურცელი და დაიბეჭდოს ახალი ტიპის საგზური, რომელშიც იქნება ყველა ზემოთაღნიშნული ინფორმაციის შეტანის შესაძლებლობა და მაქსიმალურად იქნება დაცული შესაძლო გაყალბებისაგან. პალატა მიიჩნევს, რომ ახალი საგზურის შინაარსობრივი ფორმისა და დიზაინის შეცვლა არ წარმოადგენდა ა--ნ ჟ--ს, როგორც ავტოფარეხის საამქროს უფროსის ვალდებულებას.

**4.2.2. რაპორტის მიხედვით, მეორე დარღვევას წარმოადგენს ის ფაქტი, რომ სადგურის ტექნიკური შესაძლებლობიდან გამომდინარე, შეუძლებელია ჩაისხას ზუსტად ის რაოდენობა, რომელიც მითითებულია საგზურში. ცდომილება შეადგენს 100 – 1000 გრამამდე. ეს ცდომილება არ ფიქსირდება საგზურში (ტ. 1, ს.ფ. 56);**

აღნიშნულ პრობლემასთან დაკავშირებით პალატა განმარტავს, რომ საგზურში მითითებული ოდენობით საწვავის ჩაუსხმელობა განპირობებულია არა ა--ნ ჟ--ს მართლსაწინააღმდეგო ქმედებით, რაც მისი მხრიდან თანამდებობრივი ინსტრუქციის დარღვევაში გამოიხატება, არამედ „სადგურის ტექნიკური შესაძლებლობით“. ფაქტი მასზე, რომ აღნიშნული დარღვევა ა--ნ ჟ--ს ბრალად არ შეიძლება შეერაცხოს, დასტურდება ასევე მითითებული პრობლემის **იმ გადაწყვეტის მეთოდითაც, რომელიც ამავე დასკვნაშია აღწერილი,** კერძოდ, ამავე დასკვნის შესაბამისად, მითითებული ხარვეზის აღმოფხვრის მიზნით, მოწვეულ უნდა იქნეს „რომპეტროლის“ ტექნიკური ჯგუფი, რათა აღმოიფხვრას ზემოთ აღნიშნული ცდომილება. ამ პრობლემის გადაწყვეტამდე კი სადგურის ოპერატორს უნდა დაევალოს, მიუთითოს საგზურში რეალურად ჩასახმელი საწვავის რაოდენობა, რომელიც საწვავის მრიცხველზე

ფიქსირდება. ამდენად, მითითებული დარღვევა, ამავე დასკვნითვე დასტურდება, რომ ა--ნ 5-ს ბრალით არ არის განპირობებული.

**4.2.3. რაპორტის მიხედვით, მესამე დარღვევას წარმოადგენს საწვავის დალუქვის პროცესში არსებული ხარვეზი, კერძოდ, დალუქული ავზების დათვალიერებისას აღმოჩნდა, რომ ავზების გახსნა შესაძლებელია ლუქების დაუზიანებლად. დაცვის სამსახურის ლუქები ინახება ოპერატორის ოთახში, ახალიც და გამოყენებულაც, რომელიც ხელმისაწვდომია ნებისმიერისათვის, ვინც ოთახში შევა. ტექნიკის დათვალიერებისას აღმოჩნდა ადგილები, რომელიც არ არის დალუქული და შესაძლებელია ამ ადგილებიდან საწვავის ამოღება (ტ.1, ს.ფ.).**

რაპორტის მიხედვით, ავზების დალუქვა ხდება საწვავის ჩასხმისთანავე ავტოგასამართ სადგურზე. შემოწმების დროს გამოვლინდა, რომ ძველი ლუქის ახსნა და შემდგომ დალუქვას ახორციელებს მძღოლი, რომელიც გამოყენებულ ლუქს უბრუნებს დაცვის თანამშრომელს, რომელიც, თავის მხრივ, ამოწმებს ლუქის ნომერს თავის ჟურნალში. დაცვის სარეგისტრაციო ჟურნალი ინახება ავტოგასამართი სადგურის ოთახში. ამდენად, პალატა მითითებული მტკიცებულების ანალიზის საფუძველზე მიიჩნევს, რომ ავზების დალუქვა ხდება **ავტოგასამართ სადგურში** და არა საამქროში. შესაბამისად, ლუქის ახსნასთან დაკავშირებული პრობლემა ა--ნ 5-ს ბრალად ვერ შეერაცხება, მით უფრო, რომ პრობლემის მოგვარების გზადაც აღნიშნული უფლებამოსილების დაცვის თანამშრომლებისათვის გადაბარებაა დასახელებული.

**4.2.4. რაპორტის მიხედვით მეოთხე დარღვევას წარმოადგენს ის გარემოება, რომ ამა წლის 18 ივნისს კომისიურად შემოწმდა ავტოფარების საადრიცხვო ჟურნალი, რომელშიც აღირიცხება ტექნიკის ნამუშევარი მოტოსაათები, ოდომეტრის მაჩვენებელი და საწვავის ხარჯი, რომელსაც ავტოფარების უფროსი აწარმოებდა.**

წარმოდგენილი მტკიცებულების შემოწმების შედეგად, პალატამ დადგენილად მიიჩნია შემდეგი ფაქტობრივი გარემოება, კერძოდ, რაპორტის მიხედვით, **ავტომტვირთავი ვოლვოს მონაცემების** გადამოწმების შედეგად აღმოჩნდა, რომ 5 ივნისის ჩანაწერებში სამუშაოს დასაწყისში დაფიქსირებულია 13 437 მოტოსაათი, რის შემდეგაც ავტომტვირთავის ავზში ჩასხმულია 140 ლიტრი დიზელი საწვავი. სამუშაოს დასრულების შემდეგ დაფიქსირებულია 13 437 მოტოსაათი. იგივე მდგომარეობაა **ავტომტვირთავ კამაცუსთან** მიმართებით, კერძოდ, 9 მაისის ჩანაწერებში სამუშაოს დასაწყისში დაფიქსირებულია 13 608 მოტოსაათი, რის შემდეგაც ჩასხმულია ავტომტვირთავის ავზში 130 ლიტრი დიზელის საწვავი, სამუშაოს დასრულების შემდეგ დაფიქსირებულია მაჩვენებელი (13066) მოტოსაათი. **ავტომტვირთავი ლ/ჯ** მონაცემების გადამოწმების შედეგად აღმოჩნდა, რომ 12 ივნისის ჩანაწერებში სამუშაოს დასაწყისში დაფიქსირებულია 1 044 მოტოსაათი, რის შემდეგაც ჩასხმულია ავტომტვირთავის ავზში 120 ლიტრი დიზელის საწვავი. სამუშაოს დასრულების შემდეგ დაფიქსირებულია იგივე მაჩვენებელი (1044) მოტოსაათი. ნიშანდობლივია, რომ აღნიშნულ კვლევაში დარღვევა ვერ

გამოვლინდა, ვინაიდან, როდესაც სამუშაოს დასაწყისში და დასასრულს ოდომეტრის მაჩვენებელი იდენტურია, იქ ნამუშევარი საათები 0-ს უდრის, შესაბამისად, მხარეთა ახსნა-განმარტების შედეგად პალატამ დადგენილად მიიჩნია, რომ აღნიშნული კვლევა ემსახურებოდა დიზელის საწვავის ხარჯვის საშუალო მაჩვენებლის გამოთვლის მიზნებს. ნიშანდობლივია, რომ მითითებული კვლევა 3 ავტომტვირთავ საშუალებაზე ჩატარდა. მოწინააღმდეგე მხარემ ა--ნ ჟ--ს მიერ სამსახურებრივი გადაცდომების ჩადენის დადასტურების მიზნებისათვის ექსპერტიზის დასკვნა წარმოადგინა, რომლის მიხედვითაც, ავტომტვირთავ ვოლვოს საწვავის ხარჯი 100 კმ.-ზე 18 ლიტრს შეადგენს, მაშინ, როდესაც 2013 წლის 1 მაისიდან 18 ივნისის ჩათვლით ამავე ავტომტვირთავ საშუალებაზე ჩატარებული კვლევის შედეგად საწვავის საშუალო ხარჯი 19,6 ლიტრი გამოვლინდა. მხარეთა ახსნა-განმარტებების შესაბამისად, **დამსაქმებელი სწორედ აღნიშნულ დარღვევას მიიჩნევდა დასაქმებულის ყველაზე სერიოზულ დარღვევად.** პალატა წარმოდგენილ ექსპერტიზის დასკვნაზე დაყრდნობით მიიჩნევს, რომ მითითებული დარღვევა ა--ნ ჟ--ს ბრალად არ უნდა შეერაცხოს შემდეგ გარემოებათა გამო:

ჩატარებული კვლევის მიხედვით, თუ ავტომტვირთავ ვოლვოს საწვავის ხარჯი 100 კმ.-ზე 18 ლიტრია, **რაც 1,6 ლიტრით უფრო ნაკლებია,** ვიდრე 2013 წლის 1 მაისიდან 18 ივნისის ჩათვლით ამავე ავტომტვირთავ საშუალებაზე ჩატარებული კვლევის შედეგად გამოვლენილი საწვავის ხარჯი (19,6), მაშინ გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ ამავე დასკვნის მიხედვით ავტომტვირთავ კამაცუს საწვავის ხარჯი 100 კმ.-ზე 17 ლიტრია, რაც 2 ლიტრით უფრო მეტია, ვიდრე 2013 წლის 1 მაისიდან 18 ივნისის ჩათვლით ამავე ავტომტვირთავ საშუალებაზე ჩატარებული კვლევის შედეგი (15). შესაბამისად, პალატა მიიჩნევს, რომ წარმოდგენილი ექსპერტიზის დასკვნა არ იძლევა ზუსტ სურათს საწვავის ხარჯვის შედარების მიზნებისათვის და მით უფრო, სატრანსპორტო საამქროს უფროსის ბრალეული ქმედების გამოსავლენად. პალატა დამატებით განმარტავს, რომ წარმოდგენილი დასკვნა 2011 წლის 6 ივლისით თარიღდება, მაშინ, როდესაც შესაძარბელი კვლევა 2013 წლის 1 მაისიდან 18 ივნისის ჩათვლით ჩატარდა. პალატა მიიჩნევს, რომ ნიშანდობლივია ის ამორტიზაციის ხარისხი, რასაც ავტომტვირთავი საშუალება 2 წლის განმავლობაში განიცდის. შესაბამისად, პალატა ხაზგასმით აღნიშნავს, რომ აღნიშნული დასკვნა, შედგენის თარიღის გათვალისწინებით, არ წარმოადგენს სარწმუნო მტკიცებულებას ა--ნ ჟ--ს ბრალეული ქმედების დასადასტურებლად, მით უფრო, რომ ამავე დასკვნით სხვა ავტომტვირთავ საშუალებაზე საწვავის უფრო მეტი ხარჯვა გამოვლინდა, ვიდრე 2013 წელს ჩატარებული კვლევის შედეგად (**შეადარეთ ტ. 1, ს.ფ. 60-65 მტკიცებულება ამავე ტომში განთავსებულ 66-76 მტკიცებულებას.**).

**4.2.5.** პალატა მხარეთა ახსნა-განმარტების შედეგად დადგენილად მიიჩნევს, რომ 2013 წლის 15 ივნისის საამქროს მძღოლმა საწვავის მართლსაწინააღმდეგოდ მითვისება სცადა, თუმცა, არა საამქროში (საამქროს ტერიტორიაზე), არამედ შპს „კ--ა“ კ--ს ც--ს ქ--ს სხვა ტერიტორიაზე. შესაბამისად, მტკიცებულებათა შეფასების შედეგად სასამართლო მივიდა დასკვნამდე, რომ თ--ზო ქ--ს მხრიდან მართლსაწინააღმდეგოდ ბრალეული ქმედების ჩადენის მცდელობა არ იყო განპირობებული ა--ნ ჟ--ს უმოქმედობით, სამსახურებრივ მოვალეობათა

არაჯეროვანი შესრულებით ან სამსახურებრივი უფლებამოსილებისადმი გულგრილი დამოკიდებულებით.

### 4.3. სამართლებრივი შეფასება

საქართველოს კონსტიტუციის 30-ე მუხლის შესაბამისად, შრომა თავისუფალია. სახელმწიფო ვალდებულია ხელი შეუწყოს თავისუფალი მეწარმეობისა და კონკურენციის განვითარებას. აკრძალულია მონოპოლიური საქმიანობა, გარდა კანონით დაშვებული შემთხვევებისა. მომხმარებელთა უფლებები დაცულია კანონით. შრომითი ურთიერთობის მომწესრიგებელ საერთაშორისო შეთანხმებათა საფუძველზე სახელმწიფო იცავს საქართველოს მოქალაქეთა შრომით უფლებებს საზღვარგარეთ. შრომითი უფლებების დაცვა, შრომის სამართლიანი ანაზღაურება და უსაფრთხო, ჯანსაღი პირობები, არასრულწლოვნისა და ქალის შრომის პირობები განისაზღვრება ორგანული კანონით.

შრომის თავისუფლება და სხვა სოციალური უფლებები ადამიანის სასიცოცხლო ინტერესებს უკავშირდება და, საერთოდ, ძირითადი უფლებების განხორციელების წინაპირობაა. ამ კატეგორიის უფლებების მნიშვნელობის გააზრების საფუძველზე და მათი უზრუნველყოფის მიზნით, ჩამოყალიბდა სოციალური სახელმწიფოს პრინციპი, რომელიც საქართველოს 1995 წლის კონსტიტუციაშიც აისახა. ასეთი უფლებებისა და განვითარების დაცვის გარეშე წარმოუდგენელია სოციალური სახელმწიფოს არსებობა. სწორედ ამ ფუნქციის შესრულებათა სოციალური სახელმწიფოს დანიშნულება<sup>1</sup>.

საქართველოს კონსტიტუციის 30-ე მუხლის პირველი პუნქტით, „შრომა თავისუფალია“, რაც, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, „იმას ნიშნავს, რომ ადამიანს მინიჭებული აქვს უფლება, თავად განკარგოს საკუთარი შესაძლებლობები შრომით საქმიანობაში, თავად აირჩიოს შრომითი საქმიანობის ესათუ ის სფერო“ (გადაწყვეტილება N2/4-24,28.02.1997)<sup>2</sup>. ასევე, „შრომის თავისუფლებაში იგულისხმება სახელმწიფოს ვალდებულება, იზრუნოს მოქალაქეთა დასაქმებაზე და დაიცავს მათი შრომითი უფლებები“ (გადაწყვეტილება N2/2-389,26.10.2007)<sup>3</sup>. საქართველოს საკონსტიტუციოს სასამართლოს განმარტებითვე (გადაწყვეტილება N2/2-389,26.10.2007) კონსტიტუციის პირველი პუნქტით დაცულია არამართო უფლება, არჩიო სამუშაო, არამედ ასევე უფლება, **განახორციელო, შეინარჩუნო და დათმო ეს სამუშაო**<sup>4</sup>.

პალატა განმარტავს, რომ დასაქმებულთა შრომითი უფლებების დაცვის კუთხით ძალიან მნიშვნელოვანია დამსაქმებლის მიერ მისთვის მინიჭებული უფლებებით

<sup>1</sup> ი.ბურდული, ე.გოცირიძე და სხვებ. „საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი“, თავი მეორე, თბილისი, 2013, გვ.362-363

<sup>2</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებები (1996-1997), 2002, გვ.57-58

<sup>3</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებები (2006-2007), 2009, გვ.226

<sup>4</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებები (2006-2007), 2009, გვ.249

კეთილსინდისიერად სარგებლობა. დამსაქმებელი კანონით გათვალისწინებული წინაპირობების არსებობისას უფლებამოსილია შეწყვიტოს დასაქმებულთან შრომითსამართლებრივი ურთიერთობა, თუმცა, აღნიშნული უფლება უნდა განხორციელდეს **ჯეროვნად, კანონით გათვალისწინებული დანაწესის ზუსტი დაცვით** და თანაც, ისე, რომ ადგილი არ ჰქონდეს **უფლების ბოროტად გამოყენებას**. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება შრომის სამართალში მოქმედ *Ultima Ratio* - ს პრინციპის დაცვას, რაც იმას ნიშნავს, რომ **დასაქმებულის სამსახურიდან გათავისუფლება გამოყენებულ უნდა იქნეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც დასაქმებულის მიმართ, მის მიერ ჩადენილი გადაცდომის (დარღვევის) ხასიათიდან და სიმძიმეიდან გამომდინარე, უფრო მსუბუქი სანქციის შეფარდებას აზრი აქვს დაკარგული**. აღნიშნული დასკვნა ეფუძნება პრინციპს, რომლის შესაბამისადაც, შრომით სამართლებრივი ურთიერთობის შენარჩუნებას აქვს პრიორიტეტი მის რღვევასთან შედარებით. შესაბამისად, მართალია, შრომის კოდექსის 37-ე მუხლის „გ“ ქვეპუნქტის მიხედვით (2013 წლის 18 ივნისს, კერძოდ, ა--ნ ჟ--ს გათავისუფლების დროისათვის მოქმედი რედაქციით), შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის საფუძველი მხარის მიერ შრომითი ხელშეკრულების პირობების დარღვევაცაა, თუმცა, ნიშანდობლივია აღნიშნული დებულების ლოგიკური და შინაარსობრივი განმარტება. პალატა ხაზგასმით აღნიშნავს, რომ **თუ სასამართლო მხოლოდ მითითებული მუხლის სიტყვა-სიტყვითი დეფინიციიდან ამოვა, მაშინ ნებისმიერი დარღვევა, თუნდაც, უმნიშვნელო, პირის სამსახურიდან დათხოვნის საფუძველი შეიძლება გახდეს, რაც დაუშვებელია და ეწინააღმდეგება დასაქმებულთა შრომის უფლებების დაცვის კონსტიტუციურ პრინციპს**. შესაბამისად, დასაქმებულის მიერ ჩადენილი ყოველი დარღვევა შეფასებულ უნდა იქნეს მისი ჩადენის სიხშირის, სიმძიმის და რაც მთავარია, შედეგობრივი თვალსაზრისით. შესაბამისად, შრომის სამართალში *Ultima Ratio* - ს პრინციპი ითხოვს დამსაქმებლის მხრიდან დასაქმებულის სამსახურიდან დათხოვნამდე მისი ქმედების შეფასებას მიზეზ-შედეგობრივი თვალსაზრისით, რა დროსაც, პასუხი უნდა გაეცეს შეკითხვას - **არის თუ არა გათავისუფლება დარღვევის (გადაცდომის) ადეკვატური?** ნიშანდობლივია, რომ ამავე პრინციპის შესაბამისად, დამსაქმებლის მიერ დარღვევის (გადაცდომის) ჩადენისას გამოყენებულ უნდა იქნეს ისეთი ზომები, რომელიც არსებულ ვითარებას გამოსწორებს, გააუმჯობესებს, დასაქმებულ მუშაკს უკეთესს გახდის, კვალიფიკაციას აუმაღლებს, უფრო წინდახედულად და გულისხმიერად მოქცევას აიძულებს. შესაბამისად, მიზანშეწონილობის კუთხით, გადაცდომის დროს არჩეულ უნდა იქნეს **პროპორციული დასჯის მექანიზმი**, რაც, შედეგობრივად, გარდა იმისა, რომ დამრღვევს დასჯის, მას და სხვა დასაქმებულებს უფრო ეფექტური შრომის მოტივაციას შეუქმნის. ამდენად, იმისათვის, რომ დასაქმებულის სამსახურიდან გათავისუფლება დამსაქმებლის მხრიდან **ადეკვატურ, საჭირო და პროპორციულ** ღონისძიებად იქნეს მიჩნეული, აუცილებელია, სახეზე იყოს ისეთი მძიმე დარღვევა, რომელიც სხვა უფრო მსუბუქი სანქციის გამოყენებას არამიზანშეწონილს ხდის.

კიდევ ერთი გარემოება, რაზეც პალატა ყურადღებას ამახვილებს, მდგომარეობს იმაში, რომ ა--ნ ჟ--ე საწარმოო პროცესების მართვის დეპარტამენტის ავტოფარების საამქროს უფროსის თანამდებობაზე გადაყვანილ იქნა **2013 წლის 20 მაისს** (ტ.1, ს.ფ. 10), შესაბამისად, პალატა ვერ გაიზიარებს მოწინააღმდეგე მხარის არგუმენტს მასზედ, რომ ა--ნ ჟ--ს, თუ

პირადად არ ჩაუდენია ზემოთდასახელებული გადაცდომები, მას ხომ თანამდებობრივი ინსტრუქციით საამქროში არსებული პრობლემების გამოვლენა ევალებოდა. აღნიშნულ არგუმენტთან დაკავშირებით პალატა განმარტავს, რომ საქმეში წარმოდგენილია ა--ნ ჟ--სთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულება, რომლითაც დასტურდება, რომ იგი საამქროში მექანიკოსად იყო დასაქმებული. საამქროს უფროსად კი იგი აუდიტის ჩატარებამდე 27 დღით ადრე გადაიყვანეს (ტ. 1. ს.ფ. 56-59), შესაბამისად, პალატა მიიჩნევს, რომ ჯერ ერთი, რომ რაპორტში მითითებული დარღვევები, საამქროს უფროსს ბრალად არ უნდა შეერაცხოს, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ ა--ნ ჟ--ე დასახელებულ პრობლემათა არ გამოვლენაში დადანაშაულებს, ასეთ ვითარებაში, მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ის თარიღი, რა დროსაც ა--ნ ჟ--ს საამქროს უფროსის მოვალეობა ოფიციალურად დაეკისრა.

საქართველოს შრომის კოდექსის 32-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, დამსაქმებლის ბრალით გამოწვეული იძულებითი მოცდენის დროს, დასაქმებულს მიეცემა შრომის ანაზღაურება სრული ოდენობით. მოცდენად უნდა ჩაითვალოს იმგვარი ვითარებაც, როდესაც შრომის ხელშეკრულების არამართლზომიერად მოშლის შედეგად, დასაქმებულს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მოვალეობების შესრულების შესაძლებლობა ესპობა, ვინაიდან, ამავე დროს, არსებობს დასაქმებულის ნება, განახორციელოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულება და მიიღოს შესაბამისი ანაზღაურება. შესაბამისად, შრომითი ხელშეკრულების არამართლზომიერად მოშლის მომენტიდან დასაქმებულის სამუშაოზე აღდგენამდე დრო დამსაქმებლის ბრალით გამოწვეული მოცდენაა.

საქართველოს შრომის კოდექსის 44-ე მუხლის მიხედვით, შრომითი ურთიერთობისას, მხარის მიერ მეორე მხარისათვის მიყენებული ზიანი ანაზღაურდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

პალატა აქვე დამატებით განმარტავს, რომ შრომის ხელშეკრულების საფუძვლის ბათილად ცნობა, შედეგობრივი თვალსაზრისით, იწვევს ხელშეკრულების საფუძვლის ბათილობამდე არსებული მდგომარეობის აღდგენასა და იმ ზიანის ანაზღაურებას, რომელიც დასაქმებულს დამსაქმებლის მხრიდან არამართლზომიერი გათავისუფლებით მიადგა, შესაბამისად, სამსახურში აღდგენა და განაცდურის ანაზღაურება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 408-ე და 411-ე მუხლების კონტექსტში ის სამართლებრივი შედეგებია, რაც დამსაქმებლის არამართლზომიერ ქმედებას სდევს თან, თუმცა, პალატა აქვე განმარტავს, რომ განაცდურის სახით, ანაზღაურებას ექვემდებარება იძულებითი განაცდური, არა სამუშაოზე ფაქტობრივად აღდგენის დროისათვის არსებული ოდენობის გათვალისწინებით, არამედ იმ ოდენობით, რაც დასაქმებულს შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის დროისათვის ჰქონდა და რაც მან ვერ მიიღო შრომითი ხელშეკრულების არამართლზომიერად შეწყვეტის გამო. მით უფრო, რომ მოცემულ შემთხვევაში, საქმეში არსებული მტკიცებულებებით არ დასტურდება სადავო პერიოდისათვის საწარმოო პროცესების მართვის დეპარტამენტის ავტოფარეხის საამქროს უფროსისათვის შრომის ანაზღაურების გაზრდის ფაქტი. განსახილველ შემთხვევაში, საქმის მასალებით დასტურდება, რომ ა--ნ ჟ--ს შრომის ანაზღაურება შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის

დროისათვის 1350 ლარს შეადგენდა (ტ.1, ს.ფ. 16, ასევე იხ.თბილისის სააპელაციო პალატის მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოება 4.1.).

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, პალატა მიიჩნევს, რომ ა--ნ ჟ--ს არ ჩაუდენია სამსახურებრივი ინსტრუქციით გათვალისწინებულ ვალდებულებათა იმგვარი დარღვევა, რომელიც მისთვის გაფრთხილებას, დამატებითი ვადის მიცემას ან კიდევ უფრო მსუბუქი სახის სანქციის შეფარდებას გამორიცხავდა და მისი სამსახურიდან გათავისუფლება მის მიერ ჩადენილი დარღვევის ადეკვატური ღონისძიება იყო (იხ. სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების 4.1. / 4.2). **პალატა კი განმარტავს, რომ შრომითი ურთიერთობის შეწყვეტა დამსაქმებლის მიერ დასაშვები უნდა იყოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ გაუმართლებელია ამ უკანასკნელის უფლების დაცვის სხვა საფუძვლების გამოყენება<sup>5</sup>.** შესაბამისად, პალატა მიიჩნევს, რომ ა--ნ ჟ--ს სააპელაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს, ბათილად უნდა იქნეს ცნობილი შპს „კ--ტ ჯ--ა“ კ--ს ც--ს ქ--ს გენერალური დირექტორის 18.06.2013 წლის N-- ბრძანება ა--ნ ჟ--სთან შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ და ა--ნ ჟ--ე აღდგენილ უნდა იქნეს შპს „კ--ტ ჯ--ა“ კ--ს ც--ს ქ--ს საწარმოო პროცესების მართვის დეპარტამენტის ავტოფარების სამსახურის უფროსის თანამდებობაზე. მასვე უნდა აუნაზღაურდეს იძულებითი განაცდური 2013 წლის 19 ივნისიდან სამსახურში აღდგენამდე, ყოველთვიურად 1350 ლარი (დარიცხული სახით, რომელიც შემდგომ დაბეგვრას ექვემდებარება).

## 6. საპროცესო ხარჯები

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, შპს „კ--ტ ჯ--ა“ კ--ს ც--ს ქ--ს ა--ნ ჟ--ს სასარგებლოდ უნდა დაეკისროს სარჩელზე და სააპელაციო საჩივარზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟის ანაზღაურება 250 (ტ. 1, ს.ფ. 23, 176) ლარის ოდენობით.

### სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ

#### გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა

1. ა--ნ ჟ--ს სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს;
2. გაუქმდეს გორის რაიონული სასამართლოს 2013 წლის 14 ნოემბრის გადაწყვეტილება და საქმეზე მიღებული იქნეს ახალი გადაწყვეტილება;
3. ა--ნ ჟ--ს სარჩელი დაკმაყოფილდეს;
4. ბათილად იქნეს ცნობილი შპს „კ--ტ ჯ--ა“ კ--ს ც--ს ქ--ს დირექტორთა 2013 წლის 18 ივნისის N-- ბრძანება ა--ნ ჟ--სთან შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის შესახებ;

<sup>5</sup> იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2014 წლის 2 ოქტომბრის N ას-106-101-2014 განჩინება

5. ა--ნ ჟ--ე აღდგენილ იქნეს შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტამდე მის მიერ დაკავებულ საწარმოო პროცესების მართვის დეპარტამენტის ავტოფარების საამქროს უფროსის თანამდებობაზე;
6. ა--ნ ჟ--ს იძულებითი განაცდურის სახით აუნაზღაურდეს 1350 ლარი (დარიცხული) ყოველთვიურად, 2012 წლის 19 ივნისიდან - სამუშაოზე აღდგენამდე;
7. შპს „კ--ტ ჯ--ა“ კ--ს ც--ს ქ--ს ა--ნ ჟ--ს სასარგებლოდ დაეკისროს 250 ლარის ოდენობით სახელმწიფო ბაჟის ანაზღაურება;
8. გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს უზენაეს სასამართლოში მისი სარეზოლუციო ნაწილის მე-9 პუნქტით გათვალისწინებული წესების დაცვით დასაბუთებული გადაწყვეტილების ასლის ჩაბარებიდან 21 დღის ვადაში თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატაში საკასაციო საჩივრის წარდგენის გზით;
9. გადაწყვეტილების გასაჩივრების მსურველი მხარე, თუ ის ესწრება გადაწყვეტილების გამოცხადებას ან მისთვის ცნობილია გადაწყვეტილების გამოცხადების თარიღი, ვალდებულია, გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადებიდან არა უადრეს 20 და არა უგვიანეს 30 დღისა, გამოცხადდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოში და ჩაიბაროს გადაწყვეტილების ასლი. წინააღმდეგ შემთხვევაში გასაჩივრების ვადის ათვლა დაიწყება გადაწყვეტილების გამოცხადებიდან 30-ე დღეს. ამ ვადის გაგრძელება და აღდგენა დაუშვებელია.

**თავმჯდომარე**

**ქეთევან მესხიშვილი**

**მოსამართლეები**

**ნატალია ნაზლაიძე**

**ნათია გუჯაბიძე**

## დიფამაცია

(ქართული და ევროპული სასამართლო პრაქტიკის მიხედვით)

### 1. ცილისწამების არსი

ცილისწამების საკანონმდებლო რეგულირებას შეიცავს „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონი, რომლის მიხედვითაც, **ცილისწამება არსებითად მცდარი ფაქტის შემცველი და პირისთვის ზიანის მიმყენებელი, მისი სახელის გამტები განცხადებაა<sup>1</sup>**. კანონი ერთმანეთისაგან მიჯნავს **კერძო<sup>2</sup> და საჯარო<sup>3</sup>** პირის ცილისწამებას. კერძო პირის ცილისწამებისათვის პირს მხოლოდ მაშინ ეკისრება სამოქალაქოსამართლებრივი პასუხისმგებლობა, თუ მოსარჩელე სასამართლოში დაამტკიცებს, რომ მოპასუხის განცხადება შეიცავს **არსებითად მცდარ ფაქტს** უშუალოდ მოსარჩელის შესახებ და ამ განცხადებით **მოსარჩელეს ზიანი მიაღება<sup>4</sup>**, ხოლო საჯარო პირის ცილისწამებისათვის პირს მაშინ ეკისრება სამოქალაქოსამართლებრივი პასუხისმგებლობა, თუ მოსარჩელე სასამართლოში დაამტკიცებს, რომ მოპასუხის განცხადება შეიცავს **არსებითად მცდარ ფაქტს** უშუალოდ მოსარჩელის შესახებ, ამ განცხადებით მოსარჩელეს **ზიანი მიაღება** და განცხადებული ფაქტის მცდარობა მოპასუხისათვის **წინასწარ იყო ცნობილი ან მოპასუხემ გამოიჩინა აშკარა და უხეში დაუდევრობა**, რამაც გამოიწვია არსებითად მცდარი ფაქტის შემცველი განცხადების გავრცელება<sup>5</sup>. ამდენად, კანონი კერძო და საჯარო პირს ცილისწამებისათვის (ორივე შემთხვევაში) მტკიცების ტვირთს იმგვარად ანაწილებს, რომ მოსარჩელემ უნდა დაადასტუროს ფაქტი მასზედ, რომ მის წინააღმდეგ გავრცელებული ინფორმაცია მცდარია და რომ აღიშნული ინფორმაცია მოსარჩელისათვის ზიანის მომტანია. კანონი საჯარო პირისათვის, მისი საჯარო-სამართლებრივი სტატუსიდან გამომდინარე დამატებით მოთხოვნას აწესებს, კერძოდ, მოსარჩელის მტკიცების საგანში შემავალ გარემოებად ასახელებს ასევე მის წინააღმდეგ მცდარი ინფორმაციის **ბრალეულად (განზრახ ან აშკარა ან უხეში გაუფრთხილებლობით) გავრცელებას**, ანუ საჯარო პირის შემთხვევაში, მოსარჩელემ დამატებით უნდა ამტკიცოს ასევე ფაქტი იმის შესახებ, რომ ინფორმაციის გამავრცელებელმა **იცოდა ან უნდა სცოდნოდა, რომ ინფორმაცია, რომელსაც იგი ავრცელებდა,**

<sup>1</sup> „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლის „ე“ პუნქტი

<sup>2</sup> **კერძო პირი** – ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელიც არ არის საჯარო პირი ან ადმინისტრაციული ორგანო

<sup>3</sup> **საჯარო პირი** – „საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლით განსაზღვრული თანამდებობის პირი; პირი, რომლის გადაწყვეტილება ან აზრი მნიშვნელოვან გავლენას ახდენს საზოგადოებრივ ცხოვრებაზე; პირი, რომლისკენაც მისი გარკვეული ქმედების შედეგად ცალკეულ საკითხებთან დაკავშირებით მიმართულია საზოგადოებრივი ყურადღება

<sup>4</sup> „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13 მუხლი

<sup>5</sup> „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-14 მუხლი

**მცდარი იყო. ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით, სიტყვის თავისუფლების შეზღუდვის მტკიცების ტვირთი შეზღუდვის ინიციატორს ეკისრება. თუმცა, ყოველგვარი ეჭვი, რომელიც ვერ დადასტურდება კანონით დადგენილი წესით, უნდა გადაწყდეს სიტყვის თავისუფლების შეზღუდვის საწინააღმდეგოდ<sup>6</sup>.**

მიუხედავად იმის, რომ „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ კანონი მოსარჩელეს აკისრებს მის წინააღმდეგ გავრცელებული ინფორმაციის მცდარობის დადასტურების ვალდებულებას, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ დადგენილი პრეცედენტული სამართლის მიხედვით, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ჟურნალისტია ვალდებული ამტკიცოს მის მიერ გავრცელებული ინფორმაციის სისწორე ანდა მის მიერ ჟურნალისტური ეთიკის ფარგლებში განხორციელებული ზომები ინფორმაციის გადასამოწმებლად<sup>7</sup>. ამგვარი პრაქტიკა წინააღმდეგობაში მოდის „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ კანონთან, რომლის მიხედვითაც, სიტყვის თავისუფლების შეზღუდვისას მტკიცების ტვირთი ეკისრება შეზღუდვის ინიციატორს<sup>9</sup>. თუმცა, ვინაიდან ამავე კანონის მიხედვით, ამ კანონის ინტერპრეტირება უნდა მოხდეს .... ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ევროპული კონვენციისა და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის შესაბამისად, ა მიტომ სასამართლომ ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში უნდა გადაწყვიტოს, თუ რამდენად განხორციელებადია მტკიცების ტვირთი შეზღუდვის ინიციატორის მხრიდან, განსაკუთრებით უარყოფითი ფაქტის მტკიცების კონტექსტში და კანონის ინტერპრეტაციისას უნდა იხელმძღვანელოს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო პრაქტიკით. ამგვარი დასკვნის საფუძველია ასევე პრაქტიკაში არსებული სირთულე იმასთან დაკავშირებით, რომ შეზღუდვის ინიციატორმა უნდა ამტკიცოს, რომ ის ქურდი არ არის, მას თანხა არ მიუთცისებია, მას ეროვნული გმირი არ უცემია, მას დანაშაული არ ჩაუდენია და ა. შ. ასეთ შემთხვევაში, სწორედაც რომ რელევანტურია კანონის ნორმის პრეცედენტისეული განმარტება, რომლის მიხედვითაც, ჟურნალისტმა უნდა ადასტუროს გავრცელებული ინფორმაციის სისწორე ანდა მის მიერ მიღებული გონივრული ზომები ინფორმაციის გადამოწმების თაობაზე.

## **2. ზიანი, როგორც ცილისწამების ერთ-ერთი კომპონენტი**

ცილისწამების კანონისმიერი რეგულაციის სიტყვა-სიტყვითი, ლოგიკური და შინაარსობრივი განმარტების შედეგად მოსარჩელის მტკიცების საგანში შედის **იმ ზიანის მტკიცებაც, რომელიც მას მცდარი ინფორმაციის გავრცელებით მიადგა.** აღნიშნული დანაწესი დიდი პრაქტიკული მნიშვნელობის მატარებელია და, ამ მიმართებით კანონის

<sup>6</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2012 წლის 3 აგვისტოს ას-1739-1720-2011 განჩინება

<sup>7</sup> McVicar v UK

<sup>8</sup> Heinisch v Germany

<sup>9</sup> „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-6 პუნქტი

სწორ ინტერპრეტაციას არსებითი მნიშვნელობა ენიჭება. საგულისხმოა, რომ ზიანი შეიძლება იყოს როგორც **მორალური, ასევე მატერიალური (ფაქტობრივად დამდგარი ზიანი, მიუღებელი შემოსავალი და ა. შ)**. შესაბამისად, არსებითად მცდარი ფაქტის შემცველი ინფორმაციის გავრცელება პირს შეიძლება ფაქტობრივ ანდა მორალურ ზიანს აყენებდეს. ნიშანდობლივია, რომ **ფაქტობრივი ზიანი** მტკიცებადი კატეგორიაა, რაც იმას ნიშნავს, რომ ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში მოსარჩელემ მტკიცებულებათა ერთობლიობით უნდა დაადასტუროს მატერიალური ზიანის არსებობა, გავრცელებულ ინფორმაციასა და დამდგარ შედეგს შორის მიზეზობრივი კავშირი და ზიანის ოდენობა, ხოლო რაც შეეხება **მორალურ ზიანს**, ამ შემთხვევაში, უნდა გადაწყდეს არსებითად მცდარი ფაქტების შემცველი ინფორმაცია ლახავს, თუ არა, პირის პატივს, ღირსებასა, თუ საქმიან რეპუტაციას და ამით იწვევს, თუ არა მის ფსიქიკურ, თუ სულიერ ტანჯვას. მორალური ზიანის მტკიცებასთან დაკავშირებით, საგულისხმოა მისი სასამართლოსეული ინტერპრეტაცია, რომლის მიხედვითაც, „ტერმინი „მორალური ზიანი“ სულიერი გრძნობებისა და ურთიერთობების სფეროში მიყენებულ ზიანს გულისხმობს. მორალური ზიანის არსებობა ნეგატიურ ცვლილებებს იწვევს ადამიანის ორგანიზმში, რამაც ქონებრივ დანახარჯებთან ერთად არამატერიალური უფლებების ხელყოფა – ფსიქიკური ტანჯვა (მორალური ზიანი) შეიძლება გამოიწვიოს. ადამიანის ფსიქიკაში ნეგატიური ცვლილებების არსებობას, რაც გამოხატება ფიზიკურ და სულიერ ტანჯვაში, გარეგნული გამოხატულება არ გააჩნია და, შესაბამისად, არამატერიალური ზიანია. არამატერიალურ ფასეულობათა ხელყოფა კი ზიანის ანაზღაურების ვალდებულებას იწვევს“<sup>10</sup>. არამატერიალური ზიანის მტკიცებასთან დაკავშირებით კი სასამართლომ განმარტა, რომ „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ კანონის თანახმად, ცილისწამება მცდარი ფაქტის შემცველი და პირისთვის ზიანის მიმყენებელი, მისი სახელის გამტეხი განცხადებაა. მცდარი ფაქტის შემცველი განცხადება არის თუ არა ზიანის მიმყენებელი, შეფასებითი კატეგორიაა და ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ფაქტობრივი გარემოებების ანალიზითა და ურთიერთშეჯერებით უნდა დადგინდეს. ამასთან, ზიანი ასეთ შემთხვევებში არაქონებრივი სახით - პირის პატივის, ღირსებისა და საქმიანი რეპუტაციის შელახვით არის გამოვლენილი. არაქონებრივი ურთიერთობები, თავისთავად, მოკლებულია რა ეკონომიკურ შინაარსს, და მას არ გააჩნია ღირებულება, შესაბამისად, **ამ ზიანის (არაქონებრივი) დამტკიცებისათვის კანონით დაცული უფლების დარღვევაც საკმარისია**<sup>11</sup>.

აღსანიშნავია, რომ სასამართლო პრაქტიკა ფიზიკური პირის შემთხვევაში პირის პატივის, ღირსებისა, თუ საქმიანი რეპუტაციის შემლახველი არსებითად მცდარი ფაქტების გავრცელების დროს იძლევა მორალური ზიანის ანაზღაურების შესაძლებლობას, ხოლო იურიდიული პირის შემთხვევაში არაქონებრივი ზიანის ანაზღაურებას საქმიანი რეპუტაციის შელახვას უკავშირებს.

<sup>10</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2012 წლის 3 აპრილის ას-1477-1489-2011 განჩინება

<sup>11</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2012 წლის 3 აპრილის ას-1477-1489-2011

### 3. ცილისწამების სუბიექტები

კერძო და საჯარო პირის ცილისწამებისას ცილისწამების იურიდიული შემადგენლობის უმთავრეს ელემენტს წარმოადგენს სადავო განცხადების გავრცელება **უშუალოდ მოპასუხის (ინფორმაციის გამავრცელებლის) მიერ და უშუალოდ მოსარჩელის შესახებ** (ვისი პატივი, ღირსება და საქმიანი რეპუტაციაც შეილახა). უშუალოდ მოპასუხის მიერ სადავო განცხადების (ინფორმაციის) გავრცელება, სადავობის შემთხვევაში, მოსარჩელის მტკიცების საგანში შემავალი გარემოებაა და აღნიშნული ფაქტი **მტკიცებულებათა ერთობლიობით სარწმუნოდ უნდა დადასტურდეს**<sup>12</sup>. რაც შეეხება მოსარჩელის შესახებ ინფორმაციის გავრცელებას, აღსანიშნავია, რომ თუ სადავო განცხადება არ არსებობს **უშუალოდ მოსარჩელის შესახებ, მაშინ ცილისწამებაც არ არსებობს**. იგივე დებულებას ითვალისწინებს „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონი, რომლის მიხედვითაც, ცილისწამების თაობაზე სასამართლო დავის საგანი არ შეიძლება იყოს ისეთი განცხადება, რომელიც ეხება პირთა განუსაზღვრელ ჯგუფს ან/და რომელშიც მოსარჩელე არ არის ერთმნიშვნელოვნად იდენტიფიცირებული<sup>13</sup>. ამდენად, მოსარჩელემ, უპირველესად, სწორედ ის უნდა დაამტკიცოს, რომ მოპასუხემ სადავო განცხადება სწორედ **მის შესახებ გაავრცელა**<sup>14</sup>. რიგ შემთხვევებში გავრცელებულ ინფორმაციას ავტორი უარყოფს, ის ამბობს, მაგალითად, ინტერვიუს შემთხვევაში, რომ მას ამგვარი რამ არ უთქვამს. ასეთ დროს, ჟურნალისტის ახსნა-განმარტება, თუნდაც, მოწმის სტატუსის დაკითხვის შემთხვევაში, მასზედ, რომ ინტერვიუში ასახული ინფორმაცია რესპოდენტს ეკუთვნის, საკმარის მტკიცებულებას არ წარმოადგენს. ეს ფაქტი არც იმით დასტურდება, რომ მოსარჩელეს მოპასუხისათვის არ მიუმართავს და არ განუცხადებია, რომ სადავო ინტერვიუ მას არ ეკუთვნოდა, ვინაიდან, ჯერ ერთი, ეს მოპასუხის უფლებაა და არა – ვალდებულება და, მეორეც, დუმილი არ ნიშნავს თანხმობას, ანუ იმის აღიარებას, რომ სადავო ინტერვიუ მოპასუხეს ეკუთვნის<sup>15</sup>. ამდენად, ინფორმაციის გავრცელება და მისი ინფორმაციის ავტორისადმი განკუთვნილობა სპეციალურ მტკიცებულებათა ერთობლიობით უნდა დადასტურდეს.

### 4. ინფორმაციის საჯაროდ გავრცელების ფარგლები

ყურადღებას იმსახურებს ასევე ის, თუ რა იგულისხმება ინფორმაციის „**საჯაროდ გავრცელებაში**“. ამ მიმართებით საყურადღებოა საქართველოს უზენაესი სასამართლოს განმარტება, რომლის მიხედვითაც, „საჯაროდ გავრცელება“ არ გულისხმობს ინფორმაციის მხოლოდ პრესასა, თუ ტელევიზიაში გახმაურებას, მით უმეტეს იმ პირობებში, როდესაც სოციალური მედია, ბლოგინგი და მიკრობლოგინგი სულ უფრო დიდ როლს ასრულებს

<sup>12</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2013 წლის 10 ოქტომბრის №ას-1378-1300-2012 განჩინება

<sup>13</sup> „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მე-3 პუნქტი

<sup>14</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2012 წლის 3 აგვისტოს ას-1739-1720-2011 განჩინება

<sup>15</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2012 წლის 3 აგვისტოს ას-1739-1720-2011 განჩინება

თანამედროვე საზოგადოების ცხოვრებაში. ნებისმიერი საშუალება, რომელიც ინფორმაციის პირთა განუსაზღვრელი წრისადმი მიწოდებისათვის გამოდგება, საჯაროდ გავრცელების წყაროდ უნდა შეფასდეს. საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს სოციალური ქსელის არსსა და დანიშნულებაზე. სოციალური ქსელი არის პლატფორმა, გამიზნული ონლაინ სოციალური კავშირის შესაქმნელად იმ ადამიანებისაგან, რომლებსაც აქვთ საერთო ინტერესები, საქმიანობის სფერო, ჰობი ან რეალური, ცხოვრებისეული კავშირი (ოჯახური, ნათესაური, სამსახურებრივი და ა.შ). თითოეული სოციალური ქსელი შედგება მომხმარებლის წარმომადგენლობისაგან (ე.წ. „პროფაილი“), მისი კავშირებისა და დამატებითი სერვისებისაგან. ერთ-ერთი ყველაზე მსხვილი და პოპულარული სოციალური ქსელი არის „ფეისბუქი“, რომელიც მსოფლიო მასშტაბით მილიონობით მომხმარებელს აერთიანებს. „ფეისბუქზე“ კონკრეტული მომხმარებლის მიერ გავრცელებული ინფორმაცია ხელმისაწვდომი ხდება მასთან დამეგობრებული პირებისათვის ან ყველა მომხმარებლისათვის, ავტორის არჩევანის შესაბამისად. ინფორმაციასთან დაშვებულ ნებისმიერ მომხმარებელს შეუძლია ამ ინფორმაციის გაზიარება თავისი კონტაქტებისათვის თუ პირთა განუსაზღვრელი წრისათვის, ასევე ციტირება პირად საუბარში, პრესასა თუ ინტერნეტგამოცემებში. სოციალური ქსელის სწორედ ამ თვისებების გათვალისწინებით, კონკრეტული მომხმარებლის მიერ ე.წ. სტატუსის თუ კომენტარის გამოქვეყნება ინფორმაციის საჯაროდ გავრცელებად უნდა შეფასდეს<sup>16</sup>.

საინტერესოა, თუ რა იგულისხმება გამოხატვის თავისუფლებაში. გულისხმობს, თუ არა იგი მხოლოდ აზრის გამოხატვასა და ფაქტის თაობაზე ინფორმაციის გავრცელებას. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკით, **გამოხატვა გულისხმობს შეკითხვის დასმას, ინფორმაციის იდეის გამოხატვას, გამოხატვას ნახატი, მოქმედებით, ჩაცმულობით.** დაცულია ასევე ნეგატიური გამოხატვა, რაშიც დუმილი და უმოქმედობა იგულისხმება<sup>17</sup>. ნეგატიური გამოხატვის ნათელი მაგალითია ჟურნალისტის უფლება არ გაამჟღავნოს წყარო, რომელსაც მის მიერ გავრცელებული ინფორმაცია ეყრდნობა.

## 5. აზრისა და ფაქტის ურთიერთმიმართება

გამოხატვის თავისუფლება უმნიშვნელოვანესი უფლებაა დემოკრატიულ საზოგადოებაში, თუმცა, იგი **აბსოლუტურ უფლებას** არ წარმოადგენს და მისი შეზღუდვა დასაშვებია კანონიერი საფუძვლის არსებობისას, ისეთ პირობებში, როდესაც მას ცალკეული პირის, თუ პირთა ჯგუფის კანონიერი ინტერესები უპირისპირდება<sup>18</sup>. ამ მიმართებით უაღრესად დიდი მნიშვნელობა ენიჭება **აზრისა და ფაქტის ურთიერთგამიჯვნის** საკითხს, ვინაიდან „სიტყვისა და გამოხატვის“ თავისუფლების შესახებ კანონით, **აზრი დაცულია აბსოლუტური**

<sup>16</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2014 წლის 9 იანვრის №ას-1559-1462-2012 განჩინება

<sup>17</sup> ე.გოცირიძე, გამოხატვის თავისუფლება ღირებულაბთა კონფლიქტში ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციისა და სტრასბურგის სასამართლოს იურისპრუდენციის მიხედვით, თბილისი, 2008, გვ.66-69

<sup>18</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2014 წლის 9 იანვრის №ას-1559-1462-2012 განჩინება

პრივილეგიით<sup>19</sup>, ხოლო ფაქტი კვალიფიციური პრივილეგიის სტატუსით სარგებლობს<sup>20</sup>. აზრის აბსოლუტური პრივილეგიით დაცულობა გულისხმობს თუ არა, იმას, რომ პირს შეუძლია ნებისმიერი აზრის გამოხატვა, მათ შორის, სხვა პირთა დამამცირებელი, შეურაცხმყოფელი, უხამსი, და ა. შ. აღნიშნულ კითხვაზე უარყოფითი პასუხი უნდა გაიცეს, ვინაიდან აზრის თავისუფლებას აბსოლუტური უპირატესობა არ ენიჭება და იგი შეზღუდულია სხვა უფლებების დაცვით, მათ შორის არის მესამე პირთა ძირითადი უფლებებით დაცული სიკეთეები - პატივი, ღირსება, საქმიანი რეპუტაცია<sup>21</sup>. ამ მიმართებით აღსანიშნავია, რომ აზრის აბსოლუტური პრივილეგიით დაცულობა უნდა განიმარტოს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკის მიხედვით, როგორც ამას „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ კანონი ამბობს, რომლის შესაბამისადაც, ამ კანონის ინტერპრეტირება უნდა მოხდეს საქართველოს კონსტიტუციის, საქართველოს მიერ ნაკისრი საერთაშორისო სამართლებრივი ვალდებულებების, მათ შორის, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ევროპული კონვენციისა და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის შესაბამისად<sup>22</sup>. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო კი აზრის აბსოლუტურ პრივილეგიურებულობასთან დაკავშირებით განმარტავს, რომ **აბსოლუტური უფლებათა აზრის ქონა და არა აზრის გამოხატვა და მისი გავრცელება**. შესაბამისად, აზრის გამოხატვა, გავრცელება უფრო მეტი პრივილეგიით სარგებლობს ვიდრე ფაქტისა, თუმცა, არ შეიძლება ითქვას, რომ აზრის გამოხატვა, გავრცელება აბსოლუტური უფლებათა და შესაბამისად, აბსოლუტური პრივილეგიით სარგებლობს. ამგვარი დასკვნის საფუძველია ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო პრაქტიკაც, რომლის მიხედვითაც, „მაშინაც კი, როდესაც განცხადება უთანაბრდება შეფასებით მსჯელობას, ჩარევის პროპორციულობა შეიძლება დამოკიდებული იყოს იმაზე, არსებობს თუ არა **საკმარისი ფაქტობრივი საფუძველი** სადავო განცხადებისათვის, რამდენადაც თვით შეფასებითი მსჯელობაც კი, **რაიმე ფაქტობრივი საფუძვლის გარეშე, შეიძლება გადაჭარბებული იყოს**“<sup>23 24</sup>; ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკის მიხედვით, კრიტიკის ფარგლები კერძო პირის მიმართ უფრო შეზღუდულია, ვიდრე პოლიტიკოსის მიმართ, ვინაიდან ეს უკანასკნელი თავისი საქმიანობით შეგნებულად უქვემდებარებს თავის თითოეულ სიტყვასა, თუ ქმედებას ჟურნალისტებისა, თუ საზოგადოების მხრიდან განხილვას, შესაბამისად, მას, მისადმი არსებული კრიტიკის მიმართ, მეტი შემწყნარებლობა მოეთხოვება<sup>25</sup>. თუმცა, ევროპული სასამართლო პოლიტიკოსის მიმართ პირადი ინფირმაციის გავრცელებასთან დაკავშირებითაც საკმაოდ ფრთხილია და პირადი ცხოვრების თაობაზე

<sup>19</sup> „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტი

<sup>20</sup> „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-15 მუხლი

<sup>21</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2012 წლის 3 აპრილის №ას-1477-1489-2011 განჩინება

<sup>22</sup> „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლი

<sup>23</sup> Jerusalem v. Austria, 2001;

<sup>24</sup> Dichand and Others v. Austria, 2002

<sup>25</sup> Lingens v. Austria, 1986

ინფორმაციის გავრცელების დასაშვებობას ამოწმებს იმისდა მიხედვით, თუ რა მნიშვნელობა და დატვირთვა აქვს აღნიშნული ინფორმაციის გავრცელებას საზოგადოების ინფორმირებულობისათვის<sup>26</sup>.

ამდენად, აზრის გამოხატვა, გავრცელება მეტი პრივილეგიით სარგებლობს, ვიდრე ფაქტისა, თუმცა, გადამეტებული იქნებოდა დასკვნა აზრის გამოხატვა, გავრცელებისათვის აბსოლუტური პრივილეგიის მინიჭების თაობაზე.

ნიშანდობლივია ასევე აღინიშნოს, რომ როდესაც ცილისწამებაზეა საუბარი, საქმე ეხება **ფაქტის და არა აზრის გავრცელებას, შესაბამისად, მოსარჩელის მტკიცების საგანში შედის გარემოება, რომ გავრცელებული ინფორმაცია ფაქტების შემცველია.** როგორც წესი, სასამართლო პრაქტიკის მიხედვით, აღნიშნული მტკიცების საპირისპიროდ მოპასუხე ამტკიცებს, რომ გავრცელებული ინფორმაცია **მისი აზრია და არა ფაქტი.** კანონის მიხედვით, აზრი არის შეფასებითი მსჯელობა, თვალსაზრისი, კომენტარი, აგრეთვე ნებისმიერი სახით ისეთი შეხედულების გამოხატვა, რომელიც ასახავს რომელიმე პიროვნების, მოვლენის ან საგნის მიმართ დამოკიდებულებას და არ შეიცავს დადასტურებად ან უარყოფად ფაქტს<sup>27</sup>; კანონი ფაქტის დეფინიციას არ იძლევა, შესაბამისად, სასამართლო მისი ზოგადი დეფინიციიდან ამოდის, რომლის მიხედვითაც, ფაქტი [ლათ. factum გაკეთებული] განმარტებულია, როგორც ნამდვილი, ჭეშმარიტი, არა გამოგონილი ამბავი, შემთხვევა, მოვლენა<sup>28</sup>. კანონი გამოხატვის თავისუფლების დაცვის მაღალი სტანდარტიდან გამომდინარე ადგენს, რომ ყოველგვარი გონივრული ეჭვი აზრის ან ფაქტის სტატუსის მინიჭების საკითხის განხილვისას, რომელიც ვერ დადასტურდება კანონით დადგენილი წესით, უნდა გადაწყდეს განცხადებაში მოყვანილი ცნობებისათვის აზრის სტატუსის მინიჭების სასარგებლოდ<sup>29</sup>. აღნიშნულთან დაკავშირებით სასამართლო განმარტავს, რომ აზრის საწინააღმდეგოდ „ფაქტში“ იგულისხმება ნამდვილი, რეალური ან არსებული გარემოებები და საგნები, რომლებიც ექვემდებარება მტკიცებულებებით დადასტურებას. გასათავლისწინებელია, რომ აზრები ფაქტებთან გარკვეული დამოკიდებულებით გამოითქმება, ანუ აზრი, როგორც წესი, ეყრდნობა ფაქტებს. ასეთ შემთხვევაში აზრის დაყოფა შეხედულებად და ფაქტის გამომდომოცემად დაუშვებელია, რადგანაც მთლიანად გამონათქვამი აზრის თავისუფლების სფეროში ექცევა. ამავდროულად, აზრის თავისუფლებით ამკარად ცრუ ფაქტების ძირითადი უფლებით უზრუნველყოფილი დაცვა გამორიცხულია. კონსტიტუციით დაცული სფეროს ფარგლებში არ ხვდება ისეთი ფაქტები,

<sup>26</sup> Tammer v. Estonia, 2001

<sup>27</sup> „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლის „ბ“ ქვეპუნქტი

<sup>28</sup> <http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=3&t=41720>

<sup>29</sup> „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლი მე-5 პუნქტი

რომელთა მცდარობის შესახებ კარგად იცის თავად გამომთქმელმა სუბიექტმა (შეგნებული სიცრუე) ან რომელთა მცდარობა ცხადია მათი გამოთქმის მომენტში<sup>30</sup>.

ერთმანეთისაგან განასხვავა რა ინფორმაცია (ფაქტები) და შეხედულებები (შეფასებითი მსჯელობა), ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ განაცხადა, რომ „ფაქტების არსებობა შეიძლება დამტკიცებულ იქნეს, მაშინ როდესაც შეფასებითი მსჯელობის ნამდვილობა არ ექვემდებარება მტკიცებას. ... რაც შეეხება შეფასებით მსჯელობას, ამ მოთხოვნის შესრულება შეუძლებელია და იგი თავისთავად ხელყოფს შეხედულებების თავისუფლებას, რაც წარმოადგენს კონვენციის მე-10 მუხლით გათვალისწინებული უფლების ფუნდამენტურ ნაწილს“<sup>31 32 33</sup>.

აზრისა და ფაქტის ერთმანეთთან მჭიდრო კავშირის გამო, მათი გამიჯვნა საკმაოდ რთულია, ამიტომ სადავო გამონათქვამის სწორი კვალიფიკაციისათვის უნდა შემოწმდეს მისი შინაარსი, გამოთქმის ფორმა და გამოთქმის კონტექსტი - რა ფაქტობრივი ელემენტებისაგან შედგება გამონათქვამი<sup>34</sup>.

აზრისა და ფაქტის ურთიერთშედარების მიზნით დამატებით უნდა აღინიშნოს, რომ სიტყვა „აზრი“ ფართოდ განმარტებისას გულისხმობს განსჯას, დამოკიდებულებასა თუ შეფასებას, რომლის სისწორე, თუ მცდარობა დამოკიდებულია მთლიანად ინდივიდზე, მის სუბიექტურ დამოკიდებულებაზე. ფაქტები კი, ჩვეულებრივ, მოკლებულია სუბიექტურ დამოკიდებულებას, იგი ობიექტური გარემოებებიდან გამომდინარეობს, ანუ ჩვენ გვაქვს იმის შესაძლებლობა, რომ ფაქტი შევამოწმოთ და ვნახოთ, ის რეალურად არსებობდა, თუ არა. სწორედ ამიტომ, **ფაქტების გადამოწმება და მისი ნამდვილობასთან შესაბამისობის დადგენა შესაძლებელია**. ხშირ შემთხვევაში, აზრები და ფაქტები ერთმანეთს მჭიდროდ უკავშირდებიან და მათი გამიჯვნა რთულია. ეს განპირობებულია იმით, რომ გამოთქმის ორივე ფორმა იშვიათად გვხვდება სუფთა სახით. უმთავრესად, სჭარბობს სწორედ ისეთი გამონათქვამები, რომლებშიც თავს იყრის როგორც შეფასებითი, ასევე ფაქტობრივი ელემენტები. აზრი ხშირად ეყრდნობა და ეხება ფაქტებს, ფაქტები კი, თავის მხრივ, აზრის საფუძველია, რომელიც ადასტურებს ან უარყოფს მათ, ამიტომაც ხშირად საკამათო გამონათქვამის, როგორც შეხედულების ან როგორც ფაქტის გადმოცემის, კვალიფიცირების დროს შესაძლებელია გამოთქმის კონტექსტის მიხედვით მისი ცალკეული ნაწილების იზოლირება, მაგრამ ეს მეთოდი გამართლებულია მხოლოდ მაშინ, როდესაც ამით არ იკარგება ან არ ყალბდება გამონათქვამის შინაარსი და ნამდვილი აზრი. **თუკი ასეთი იზოლირება შეუძლებელია გამონათქვამის შინაარსის გაყალბების გარეშე, მაშინ ეს გამონათქვამი უნდა ჩაითვალოს**

<sup>30</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2012 წლის 3 აპრილის №ას-1477-1489-2011 განჩინება

<sup>31</sup> Lingens v. Austria, 1986

<sup>32</sup> Jerusalem v. Austria, 2001

<sup>33</sup> Dichand and Others v. Austria, 2002

<sup>34</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2012 წლის 3 აპრილის №ას-1477-1489-2011 განჩინება

**მთლიანად აზრის გამოთქმად, ანუ შეხედულებად, შეფასებით მსჯელობად და, შესაბამისად, მთლიანად უნდა იქნეს შეყვანილი ძირითადი უფლებით დაცულ სფეროში.**

ევროპის პრეცედენტული სამართლის მიმოხილვაც ცხადყოფს, რომ ფაქტისა და მოსაზრების გამიჯვნა აუცილებელი პირობაა ცილისწამების განსაზღვრისათვის. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით საინტერესოა ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება, სადაც სასამართლომ ხაზგასმით აღნიშნა ფაქტებსა და შეფასებით მსჯელობას შორის განსხვავება და მიუთითა, რომ მოსაზრების (შეფასებითი მსჯელობის) ფაქტებით დამტკიცება შეუძლებელია, ამიტომ არც ის შეიძლება, რომ ვინმეს ამ მოსაზრების სისწორის დამტკიცება დაევალოს. შეფასებითი მსჯელობის სიმართლის დამტკიცება გადაუჭრელი ამოცანაა. ფაქტის არსი შეიძლება დემონსტრირებულ იქნეს, მაგრამ შეფასებითი მსჯელობის სიმართლე არ შეიძლება მტკიცების საგანი იყოს. შეფასებითი მსჯელობის სიმართლის დამტკიცების მოთხოვნა წარმოადგენს იერიშის მიტანას აზრის თავისუფლებაზე<sup>35</sup>.

## **6. ჟურნალისტების მოვალეობანი და პასუხისმგებლობა**

როგორც უკვე აღინიშნა აბსოლუტური უფლებაა აზრის ქონა, ხოლო მისი გამოხატვა გარკვეულ შეზღუდვებს შეიძლება დაექვემდებაროს. გამოხატვის თავისუფლება **განუყოფელია** მოვალეობებისა და პასუხისმგებლობებისაგან, ამიტომ იგი შეიძლება დაექვემდებაროს კანონით დადგენილ წესებს, პირობებსა და შეზღუდვებს. მოვალეობებისა და პასუხისმგებლობის დარღვევამ შეიძლება გამოიწვიოს გამოხატვის თავისუფლების დარღვევა. აზრის ქონის უფლება მოვალეობებისა და პასუხისმგებლობებთან დაკავშირებული არ არის; მოვალეობებთან და პასუხისმგებლობებთან დაკავშირებულია გამოხატვის თავისუფლება; გამოხატვის თავისუფლებით მოსარგებლე სუბიექტი უნდა ცდილობდეს შეძლებისდაგვარად თავი აარიდოს სხვა ინტერესებთან დაპირისპირებას. ინფორმაციის გავრცელებისას სხვისი ინტერესები მხედველობაში უნდა იქნას მიღებული. სხვათა ინტერესებში კი, პირველ რიგში, სხვათა უფლებებისა და რეპუტაციის დაცვა იგულისხმება. ამასთან, მხედველობაში უნდა იქნას მიღებული, რომ გამოხატვის თავისუფლებით მინიმუმამდე უნდა იქნას დაყვანილი ღირებულებათა კონფლიქტი. შესაბამისად, შერჩეულ უნდა იქნეს გამოხატვის ის ფორმა, რომლითაც არ მოხდება სხვა ღირებულებათა (სხვათა პატივი, ღირსება, საქმიანი რეპუტაცია) იგნორირება. მით უფრო, როდესაც დასაშვებია გამოხატვის უფლების რეალიზაცია სხვა ღირებულებათა ნაკლები ხელყოფით<sup>36</sup>. ამ მიმართებით განსაკუთრებით აღსანიშნავია ჟურნალისტთა მოვალეობანი და პასუხისმგებლობა.

---

<sup>35</sup> Lingens v. Austria, 1986

<sup>36</sup> Müller v. Switzerland

ჟურნალისტი ვალდებულია მოქმედებდეს კეთილი განზრახვით, ჟურნალისტური ეთიკის შესაბამისად, რათა საზოგადოება უზრუნველყოს სწორი და საიმედო ინფორმაციით<sup>37</sup>.

რაც უფრო მაღალია ინფორმაციის თავისუფლების ხარისხი, მით უფრო მეტია ჟურნალისტების მოვალეობანი და პასუხისმგებლობა. პრესამ და ტელევიზიამ არ უნდა გადალახოს განსაზღვრული მიჯნები, რაც დადგენილია: ა. სხვა პირთა უფლებებისა და რეპუტაციის დასაცავად<sup>38</sup>; ბ.ეროვნული უშიშროებისა და მართლმსაჯულების ავტორიტეტის უზრუნველსაყოფად<sup>39</sup>; გ.კონფიდენციალურად მიღებული ინფორმაციის დასაცავად<sup>40</sup>; დ.საზოგადოებრივი ან დანაშაულის თავიდან აცილების ინტერესებისათვის<sup>41</sup>; კიდევ უფრო მაღალია ტელევიზიის ჟურნალისტთა მოვალეობები, ვინაიდან უფრო უშუალო და ძლიერი ეფექტი გააჩნია საზოგადოებაზე<sup>42</sup>.

როდესაც საუბარია გამოხატვის თავისუფლების ფარგლებსა და ჟურნალისტთა მოვალეობებსა და პასუხისმგებლობაზე, აღსანიშნავია, რომ თავის მხრივ, გავრცელებული ინფორმაცია შეიძლება იყოს შეურაცხმყოფელი, გამოაგნებელი და შემამფოთებელი<sup>43</sup>. თუმცა, ასეთი ინფორმაცია გარკვეული ღირებულების მატარებელი უნდა იყოს და მხოლოდ სხვათა უფლებებსა და დაცული ღირებულებებს არ უნდა ხელყოფდეს, ანუ სხვაგვარად, რომ ვთქვათ ინფორმაციას, მათ შორის, გამოაგნებელს, შემამფოთებელსა და შეურაცხმყოფელს საზოგადოებისათვის **გარკვეული წონა უნდა ჰქონდეს**<sup>44</sup>. შესაბამისად, კონვენციით დაუცველ გამოხატვათა რიცხვს განეკუთვნება უხამსობა, მძიმე შეურაცხყოფა, სამართალდარღვევისაკენ წაქეზება, საყოველთაოდ დადასტურებული ფაქტების უარყოფა, რაც მძიმე შედეგებს იწვევს და ა. შ..

ამდენად, გამოხატვის თავისუფლება საყოველთაოდ აღიარებული, დემოკრატიული სახელმწიფოს ფუნქციონირებისათვის მნიშვნელოვანი ღირებულებაა. შესაბამისად, გამოხატვის თავისუფლების კონტექსტში უაღრესად დიდი მნიშვნელობა ენიჭება ჟურნალისტის მოვალეობებსა და პასუხისმგებლობებს. ჟურნალისტების უფლება გაავრცელონ ინფორმაცია შეზღუდულია ვალდებულებით, მოამარაგონ საზოგადოება სწორი და გადამოწმებული ინფორმაციით, შესაბამისად, ჟურნალისტები თავისუფლდებიან პასუხისმგებლობისაგან, თუ დაამტკიცებენ, რომ **ინფორმაცია ოფიციალური წყაროებიდან მიიღეს**; ჟურნალისტი დარწმუნებული იყო გავრცელებული ინფორმაციის ჭეშმარიტებაში; ჟურნალისტმა გონივრულ ფარგლებში გადაამოწმა გავრცელებული ინფორმაციის ჭეშმარიტება. თუმცა, რიგ შემთხვევებში ინფორმაციის გადამოწმება გარკვეულ დაუძლეველ

---

<sup>37</sup> Radio France v. France

<sup>38</sup> Oberschlick v. Austria

<sup>39</sup> Guardian Newspaper v. The United Kingdom

<sup>40</sup> Dalban v. Romania

<sup>41</sup> Erdogdu v. Turkey

<sup>42</sup> Iersild v. Denmark

<sup>43</sup> Handyside, 1986

<sup>44</sup> Otto Preminger

სირთულეებთან არის დაკავშირებული, შესაბამისად, ასეთ შემთხვევაში, ჟურნალისტმა ზუსტად ამგვარი სირთულის არსებობა უნდა დაადასტუროს. აქვე, ნიშანდობლივია აღნიშნოს ინფორმაციის სწრაფად გავრცელების აუცილებლობაც, ასეთ შემთხვევაში ჟურნალისტის მტკიცების საგანში შედის გარემოება, რომ მიღებული ინფორმაცია სანდო წყაროს ეყრდნობოდა. შესაბამისად, ინფორმაციის სისწორის პრეზუმფცია არსებობდა და ინფორმაციის სწრაფად გავრცელების მაღალი ინტერესიდან გამომდინარე მისი გადამოწმების შესაძლებლობა შეზღუდული იყო<sup>45</sup>. ხსენებული პრინციპი განმტკიცებულია სასამართლოს შემდგომ პრაქტიკაში.<sup>46</sup>

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ არაერთგზის აღნიშნა, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-10 მუხლი<sup>46</sup> იცავს არა მხოლოდ ინფორმაციის შინაარსს, იდეასა და ფორმას (სუბსტანციას), არამედ მისი გადმოცემის საშუალებებსაც. სასამართლო პრაქტიკის შესაბამისად, პრესას მინიჭებული აქვს დაცვის ყველაზე მეტი ფარგლები, რომელიც მოიცავს გამოცემის მოსამზადებელ საქმიანობასაც, მაგალითად, ჟურნალისტის მიერ განხორციელებულ კვლევით საქმიანობასა და გამოკითხვის განხორციელებას<sup>47</sup>, ასევე, ჟურნალისტური წყაროს კონფიდენციალობას. პრესის წინასწარი შეზღუდვა თავისთავად არ წარმოადგენს მე-10 მუხლის დარღვევას<sup>48</sup>, მაგრამ აღნიშნული არ უნდა წარმოადგენდეს ანტისამთავრობო მედიის რეპრესირების საშუალებას. რეალურად, წინასწარი შეზღუდვები წარმოადგენს ინფორმაციის გავრცელებისა და საზოგადოებაში მნიშვნელოვანი დებატების უპირველეს საფრთხეს. შესაბამისად, ესაა საკითხი, სადაც არა მხოლოდ პროპორციულობის ტესტი<sup>49</sup>, არამედ, დამატებითი ორი სტანდარტი: „გათვალისწინებული კანონით“ და „კანონიერი მიზნით“ უნდა იყოს მკაცრად განპირობებული. ექვგარეშეა, რომ პრესის, როგორც საზოგადოების მოდარაჯე ძალის როლის, არსი უმნიშვნელოვანესია დემოკრატიის დინამიკური პოლიტიკური პროცესებისა და ურთიერთქმედებისათვის<sup>50</sup>. პრესა და საგამომიებო ჟურნალისტიკა წარმოადგენს დემოკრატიის ჯეროვანი არსებობის, მთავრობის ქმედებათა, თუ გულგრილობათა საზოგადოების კრტიკული განხილვის საგნად ქცევის<sup>51</sup> გარანტიას, უზრუნველყოფს მოსახლეობის მონაწილეობას გადაწყვეტილებათა მიღების პროცესში. ასეთი დემოკრატიის ხელშემწყობი ფუნქცია განსაკუთრებით მაშინაა მნიშვნელოვანი, როდესაც პრესა საზოგადოების ინფორმირებულობის ინტერესით მოქმედებს, რომ საზოგადოებამ მისთვის მნიშვნელოვანი ინფორმაცია მიიღოს<sup>52</sup>, მათ შორის,

<sup>45</sup> Bladet Tromsø and Stensaas v Norway

<sup>46</sup> Colobani and others v France

<sup>47</sup> Sunday Times v U.K.

<sup>48</sup> Krone Verlag GmbH & CoKG .... V Austria.

<sup>49</sup> Observer and Guardian v U.K.

<sup>50</sup> Sunday Times v UK

<sup>51</sup> Ozgur Radyo-ses Radyo Televizyon Yapim Ve Tanitim AS v Turkey

<sup>52</sup> News Verlags GmbH & CoKG v Austria

განსხვავებული პოლიტიკური საკითხების თაობაზე.<sup>53</sup> პრესა საზოგადოებას ამარაგებს ინფორმაციით, რათა საზოგადოების წევრებმა გაარკვიონ პოლიტიკური ლიდერების აზრები, იდეები და დამოკიდებულება.<sup>54</sup> თვით პოლიტიკური პროცესების გარეთაც, პრესას წვლილი შეაქვს, რომ ინფორმირებულად ჩამოყალიბდეს საზოგადოებრივი აზრი და სტიმულირებას უწევს კრიტიკულ დებატებს საზოგადებისათვის მნიშვნელოვან საკითხებზე.<sup>55</sup> გარდა ამისა, ახალი ამბები წარმოადგენს „მალფუჭებად პროდუქტს“, შესაბამისად მისი სწრაფ გავრცელებას უაღრესად დიდი მნიშვნელობა ენიჭება, რაც იმას ნიშნავს, რომ პრესის წინააღმდეგ პერმანენტული ამკრძალავი ბრძანების გამოყენებისას, მკაცრი შემოწმების საფუძველი უნდა გახდეს, აკრძალვის უდავო, პროპორციული ინტერესი.<sup>56</sup> დემოკრატიასთან მისი ახლო კავშირიდან გამომდინარე, პრესის თავისუფლების ჩარჩო განმარტებულ უნდა იქნეს ფართოდ, მისი შეზღუდვის მკაცრი შესწავლით,<sup>57</sup> რათა პრესას გაზვიადების ან თვით პროვოკაციის შესაძლებლობაც კი მიეცეს.<sup>58</sup>

მიუხედავად სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების დაცვის მაღალი სტანდარტისა, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო ყოველთვის ხაზს უსვამს ჟურნალისტების მოვალეობებსა და პასუხისმგებლობებს, რომ იმოქმედონ კარგი განზრახვით, საზოგადოებას მიაწოდონ ზუსტი და სანდო ინფორმაცია, ჟურნალისტური ეთიკის შესაბამისად.<sup>59</sup> ჟურნალისტური ეთიკა უნდა მოითხოვდეს, რომ გამოხატვის თავისუფლების გამოყენების საფუძველზე, ჟურნალისტმა არ გაავრცელოს ინფორმაცია და იდეები, რომლებიც გამოიწვევს ძალადობასა და სიძულვილს საზოგადოებაში.<sup>60</sup>

ჟურნალისტების „მოვალეობები და პასუხისმგებლობების“ წარმოშობა გამოწვეულია იმ საფუძველით, რომ გამოხატვის თავისუფლების საპირწონედ დაცული იყოს კერძო და საჯარი პირების პატივი, ღირსება და საქმიანი რეპუტაცია<sup>61</sup>. სასამართლომ ხაზი გაუსვა, რომ ჟურნალისტის გამოხატვა არ უნდა ექვემდებარებოდეს მოთხოვნას, რომ იგი ვალდებულია სისტემტურად და ფორმალურად მოახდინოს თავის დისტანცირება ციტირების შინაარსისაგან, რომელმაც შეიძლება შურაცხყოს, მოახდინოს სხვათა პროვოცირება ან ზიანი მიაყენოს მათ რეპუტაციას. ასეთი მკაცრი მოთხოვნა წინააღმდეგობაში მოდის პრინციპთან, რომ პრესას და ჟურნალისტების გამოხატვას, შესაძლებლობის ფარგლებში უნდა მიენიჭოთ ყველაზე ფართო დაცვის ფარგლები.<sup>62</sup>

---

<sup>53</sup> Lingens v Austria

<sup>54</sup> Lingens v Austria

<sup>55</sup> Cumpana and Mazare v Romania

<sup>56</sup> Editions Plon v France

<sup>57</sup> Observer and Guardian v U.K.

<sup>58</sup> Radio france v France

<sup>59</sup> Bladet Tromso and Stensaas v Norway

<sup>60</sup> Surek v Turkey

<sup>61</sup> Von Hannover v Germany

<sup>62</sup> Thoma v Luxembourg

კონცეფცია ჟურნალისტების მოვალეობებსა და პასუხისმგებლობების შესახებ, მჭიდროდაა დაკავშირებული, რომ მათ იმოქმედონ კარგი განზრახვით, საზოგადოებას მიაწოდონ ზუსტი და სანდო ინფორმაცია, ჟურნალისტური ეთიკის შესაბამისად.<sup>63</sup> სასამართლომ დაადგინა, რომ ინტერნეტის ეპოქაში მსხვერპლი პასუხისმგებლობა და ვალდებულება, რომელიც უზრუნველყოფს ინფორმაციის სიზუსტეს, უფრო მეტად, ეხება ისტორიულ ინფორმაციებს, ვიდრე ინფორმაციას, რომელიც წარმავალია (მალფუჭებადია).<sup>64</sup>

ინფორმაციის სიზუსტის საკითხის გარდა, რომლის დადგენაც ძალიან მარტივია, როდესაც ახდენ ციტირებას ორიგინალიდან, უფრო მეტად რთული განსასაზღვრია ფარგლები, თუ როდის შეუძლია პრესას მისი წყარო სანდოდ მიიჩნიოს.<sup>65</sup> ამ შემთხვევაში საკამათო საკითხს წარმოადგენს ის, თუ ჟურნალისტური ეთიკის შესაბამისად, რა ფარგლებში ეკისრება პრესას ვალდებულება, ჩაატაროს დამოუკიდებელი კვლევა, რათა დაადგინოს დასაბუთებული ინფორმაციის სიზუსტე და სიმართლესთან შესაბამისობა. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ზოგადი მიდგომა შემდეგნაირია: რაც უფრო სერიოზულია ბრალდება, მით უფრო მკაცრია გაზეთის ვალდებულება, რომ დაადგინოს ინფორმაციის სიზუსტე, რომ ავტომატურად არ მოახდინოს დავის ერთ-ერთი მხარის ბრალდებათა გადაკოპირება, ისე რომ არ მოუსმინოს მეორე მხარის მოსაზრებას.<sup>66</sup> ფაქტმა, რომ საკითხი შეიძლება ეხებოდეს საზოგადოებრივი ინტერესის საგანს, მაგალითად, როგორცაა გამჭვირვალობა, როგორ იხარჯება სახელმწიფო თანხა და. შ., შეიძლება უფრო მეტი თავისუფლება მისცეს ჟურნალისტს.<sup>67</sup> თუმცა, აღნიშნული არ ნიშნავს, რომ ჟურნალისტი ან გაზეთი თავისუფლდება კარგად დასაბუთებული ფაქტების შემოწმებისგან, როდესაც აპირებს მის დაბეჭდვას.<sup>68</sup> ჟურნალისტური ეთიკა მოითხოვს, რომ ჟურნალისტი მოქმედებდეს პატიოსნად, რომ დაადგინოს ინფორმაციის სიზუსტე და სანდოობა, როდესაც, განსაკუთრებით, კერძო პირის რეპუტაციაზე თავდასხმა ხდება.<sup>69</sup> ინფორმაციის გამოქვეყნება, რომელიც კერძო პირს დანაშაულებრივი ქმედების ჩადენაში ადანაშაულებს, ისე რომ არ მისცენ მათ საწინააღმდეგო აზრის გამოთქმის საშუალება, წარმოადგენს ჟურნალისტური ეთიკის სერიოზულ დარღვევას, რომელიც არ შეიძლება საპატიოდ ჩაითვალოს გავრცელებული ინფორმაციის სავარაუდო საზოგადოებრივი ინტერესების საგნად ცნობის გამო.<sup>70</sup> ცხადია სასამართლო არ გამორიცხავს სხვა რელევანტურ ფაქტორებს, როგორცაა: დიფამაციის პროცესის დროს გასაჩივრებული ინფორმაციის სიზუსტის დამტკიცების სირთულე, როდესაც გასულია დიდი ხანი მისი

---

<sup>63</sup> Goodwin v UK

<sup>64</sup> Times Newspaper LTD v UK

<sup>65</sup> McVicar v UK

<sup>66</sup> Europapress Holding DOO v Croatia

<sup>67</sup> Flux v Moldova

<sup>68</sup> Flux v Moldova

<sup>69</sup> Savitchi v Moldova

<sup>70</sup> Flux v Moldova

დაბეჭდვიდან; დროის გასვლასთან ერთად სავარაუდო დიფამაციის გამო პიროვნებისათვის მიყენებული ზიანის შესუსტება;<sup>71</sup> და პატიოსნება დიფამაციის პროცესში.<sup>72</sup>

ამდენად, მიუხედავ იმისა, რომ სიტყვისა და გამოხატვის დაცვის არეალი საკმაოდ ფართოა დემოკრატიულ საზოგადოებაში, მაინც არსებობს აღნიშნული თავისუფლების შეზღუდვის კონვენციული წინაპირობები. მითითებული შეზღუდვის საფუძველი კი სხვა საპირწონე ღირებულებათა დაცვის აუცილებლობაა, შესაბამისად, ღირებულებათა კონკურენციის პირობებში, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში უნდა დადგინდეს გამოხატვის თავისუფლების ფარგლები, მოვალეობებითა და პასუხისმგებლობით კეთილსინდისიერად სარგებლობა, სხვა ღირებულებათა ხელყოფის ფარგლები და აღნიშნული ხელყოფის მამტაბის პროპორციულობა გამოხატვის თავისუფლების დაცვის პატივსადაც ინტერესთან.

„სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით, არსებობს ცილისწამებისათვის პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების აბსოლუტური<sup>73</sup> და შეზღუდული<sup>74</sup> საფუძვლები. **ცილისწამება პასუხისმგებლობას არ იწვევს:** ა) პოლიტიკური დებატების ფარგლებში, აგრეთვე პარლამენტის ან საკრებულოს წევრის მიერ თავისი მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებით; ბ) წინასასამართლო ან სასამართლო პროცესზე, სახალხო დამცველის წინაშე, პარლამენტის ან საკრებულოს, აგრეთვე მათი კომიტეტის სხდომაზე, პირის მიერ თავისი უფლებამოსილების განხორციელების ფარგლებში; გ) უფლებამოსილი ორგანოს მოთხოვნით. ნიშანდობლივია, რომ მითითებული წინაპირობები მოწმდება სასამართლოს მოსამზადებელ სხდომაზე, მათი არსებობის შემთხვევაში კი მოსამზადებელ სხდომაზევე წყდება საქმის წარმოება. აღნიშნული წესი სპეციალურ მოწესრიგებად უნდა იქნეს მიჩნეული სამოქალაქო პროცესში, ვინაიდან, როგორც წესი, სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის წინაპირობები სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის და არა სარჩელზე წარმოების შეწყვეტის საფუძველია. სამართალწარმოების აღნიშნულ ეტაპზე უნდა შემოწმდეს პირი საკუთარი უფლებამოსილების ფარგლებში მოქმედებდა, თუ არა, ვინაიდან პირი, თუ თავისი უფლებამოსილების ფარგლებში არ აკეთებდა მოხსენებას, არ შეიძლება იგი პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლდეს.

პირს ენიჭება **კვალიფიციური პრივილეგია არსებითად მცდარი ფაქტის შემცველი განცხადებისათვის**, თუ ა) მან მიიღო გონივრული ზომები ფაქტის სისწორის გადასამოწმებლად, მაგრამ ვერ შეძლო შეცდომის თავიდან აცილება და გაატარა ქმედითი ღონისძიებები ცილისწამებით დაზიანებული პირის რეპუტაციის აღსადგენად; ბ) იგი მიზნად ისახავდა საზოგადოების კანონიერი ინტერესების დაცვას და დაცული სიკეთე აღემატება მიყენებულ ზიანს; გ) მან განცხადება გააკეთა მოსარჩელის თანხმობით; დ) მისი განცხადება წარმოადგენდა მოსარჩელის მიერ მის წინააღმდეგ გაკეთებულ განცხადებაზე თანაზომიერ

<sup>71</sup> Flux v Moldova

<sup>72</sup> Flux v Moldova

<sup>73</sup> „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლი

<sup>74</sup> „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-15 მუხლი

პასუხს; ე) მისი განცხადება წარმოადგენდა სამართლიან და ზუსტ რეპორტაჟს იმ მოვლენასთან დაკავშირებით, რომლისკენაც მიმართულია საზოგადოებრივი ყურადღება. მნიშვნელოვანია აღნიშნოს ცილისწამებისაგან პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების, ანუ ე.წ. „კვალიფიციური პრივილეგიის“ არსი. ამ მიმართებით ნიშნადობლივია ყურადღება გამახვილდეს მტკიცების ტვირთის გადანაწილებაზე, შესაბამისად, იმისათვის, რომ ინფორმაციის გამავრცელებელი გათავისუფლდეს პასუხისმგებლობისაგან, აუცილებელია, რომ მან ზემოაღნიშნული გარემოებები ამტკიცოს. ზემოჩამოთვლილ გარემოებათაგან ერთ-ერთის დამტკიცების შემთხვევაში კი იგი პასუხისმგებლობისაგან თავისუფლდება. იმ შემთხვევაში, თუ მან აღნიშნულ გარემოებათაგან ვერცერთის არსებობა ვერ დაადასტურა, პირს პასუხისმგებლობა ზოგადი წესის მიხედვით ეკისრება, ანუ იგი ვალდებულია აუნაზღაუროს შეზღუდვის ინიციატორს მატერიალური ზიანი სრულად, ხოლო მორალური ზიანი, ასეთის მოთხოვნის შემთხვევაში, გონივრული ოდენობით. მორალური ზიანის ოდენობასთან დაკავშირებით სასამართლო გადაწყვეტილებით დადგენილი ჩარევა უნდა იყოს თანაზომიერი, ეფექტიანი, ეკონომიური და აღსრულებადი. ამასთან, გამოხატვის თავისუფლებაში ჩარევის შეზღუდვა მოსარჩელის პატივისა და ღირსების დაცვის მიზნით აუცილებელი უნდა იყოს და კანონიერ მიზანს უნდა ემსახურებოდეს<sup>75</sup>.

## 7. დიფამაციისათვის პასუხისმგებელი სუბიექტები

„სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით<sup>76</sup>, პირს უფლება აქვს სარჩელით მიმართოს სასამართლოს ამ კანონით აღიარებული და დაცული უფლებების ხელყოფის თავიდან აცილების ან აღკვეთის, აგრეთვე უკანონო ზემოქმედებისა და ჩარევის შედეგად დარღვეული უფლების აღდგენის მოთხოვნით. მედიაში ჟურნალისტის მიერ გამოქვეყნებულ ცილისწამებასთან დაკავშირებული სასამართლო დავისას მოპასუხეა მედიის მესაკუთრე. ცილისწამების თაობაზე სასამართლო დავისას არასათანადო მოპასუხეა პირი, რომელიც არ არის განცხადების ავტორი ან რედაქტორი, ან პირი, რომელმაც ტექნიკურად უზრუნველყო განცხადების გავრცელება, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ის აშკარად და პირდაპირ უჭერს მხარს განცხადებას. ამდენად, ცილისწამებისათვის პასუხისმგებელია ჟურნალისტი, მედიის მესაკუთრე, განცხადების ავტორი ან რედაქტორი. ნიშნადობლივია, რომ აღნიშნული პირების **პასუხისმგებლობის სახე არის სოლიდარული**, რა შემთხვევაშიც, მედიის მესაკუთრის პასუხისმგებლობის საფუძველია კანონით დადგენილი დანაწესი მისი ბრალის გარეშე პასუხისმგებლობასთან დაკავშირებით. ამასთან, საგულისხმოა, რომ ინფორმაციის ტექნიკური გამავრცელებელი, მაგალითად სტამბა, პასუხისმგებელი არ არის, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც არსებობს მტკიცებულებები, რომლითაც დასტურდება, რომ იგი აშკარად და პირდაპირ მხარს უჭერს განცხადებას. რაც შეეხება პასუხისმგებლობის სოლიდარულ ბუნებას, შეზღუდვის ინიციატორის უფლებამოსილია სარჩელი აღძრას როგორც ჟურნალისტის, ასევე მედიის მესაკუთრის

<sup>75</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2012 წლის 3 აპრილის №ას-1477-1489-2011 განჩინება

<sup>76</sup> „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლი

მიმართ ერთად ან ცალ-ცალკე, ანუ ისინი შეზღუდვის ინიციატორის მიმართ სოლიდარულად არის პასუხისმგებელი, ხოლო ერთმანეთს შორის კი პასუხისმგებლობა ბრალის ხარისხის მიხედვით რეგრესის წესით რეგულირდება.

### განსხვავებული აზრი

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 243-ე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, მოსამართლეს, რომელიც არ ეთანხმება უმრავლესობას, შეუძლია წერილობით ჩამოაყალიბოს თავისი განსხვავებული აზრი. განსხვავებული აზრი დაერთვის საქმეს, მაგრამ სასამართლო სხდომის დარბაზში არ გამოცხადდება.

გამოვხატავ რა ღრმა პატივისცემას კოლეგების მიმართ, სამოქალაქო საქმეზე №2ბ/5068-13 (ზ-ლ მ-სა და ე-რ ა-ის სააპელაციო საჩივრის გამო - მოწინააღმდეგე მხარე ნ-ზ რ-ძე) მიღებულ გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით, გამაჩნია განსხვავებული აზრი, რაც მდგომარეობს შემდეგში:

საქმეში წარმოდგენილი ფაქტების სამართლებრივი კვალიფიკაციის მიზნებისათვის აუცილებელია შემდეგ შეკითხვებს გაეცეს პასუხი, კერძოდ, ვინ ითხოვს? ვისგან? რას? რის საფუძველზე? განსახილველ შემთხვევაში ზ-ლ მ-ძე და ე-რ ა-ძე -ზ რ-გან ითხოვენ ნ-ზ რ-თვის **სესხის სახით გადაცემული თანხის უკან დაბრუნებას** (იხ. ზ-ლ მ-სა და ე-რ ა-ის განცხადება ფაქტობრივი გარემოებების დაზუსტებისა და სასარჩელო მოთხოვნის შემცირების შესახებ).

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 623-ე მუხლის შესაბამისად, სესხის ხელშეკრულებით გამსესხებელი საკუთრებაში გადასცემს მსესხებელს ფულს ან სხვა გვაროვნულ ნივთს, ხოლო მსესხებელი კისრულობს დააბრუნოს იმავე სახის, ხარისხისა და რაოდენობის ნივთი. ამდენად, მხარეთა შორის არსებული სამართალურთიერთობის სესხის ხელშეკრულებად კვალიფიკაციის მიზნებისათვის აუცილებელია შემდეგი კუმულაციური წინაპირობების არსებობა, კერძოდ, **გამსესხებლის მიერ მსესხებლისათვის ფულის ან სხვა გვაროვნული ნივთის საკუთრებაში გადაცემა, ხოლო მსესხებლის მხრიდან ვალდებულების აღება მასზედ, რომ იგი დააბრუნებს იმავე სახის, ხარისხისა და რაოდენობის ნივთს.** შესაბამისად, თანხის მიმღები და მსესხებელი სხვადასხვა სუბიექტები შეიძლება იყვნენ. ფაქტების მითითებული კონსტალაცია სახეზეა მაშინ, როდესაც თანხის მიმღები არ არის თანხის განმკარგავი და შესაბამისად, თანხის დაბრუნებაზე ვალდებული პირი, რაც იმთავითვე გაცნობიერებული აქვს თანხის გამცემსა და თანხის მიმღებს. ნიშანდობლივია, რომ აღნიშნული პირობები წარმოადგენს სასესხო სამართალურთიერთობების **არსებით პირობებს**, რომელთაგან ერთ-ერთის დაუდგენლობის შემთხვევაში, სამართალურთიერთობა სესხად ვერ დაკვალიფიცირდება. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 327-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, ხელშეკრულება დადებულად ითვლება, თუ მხარეები მის ყველა არსებით პირობაზე შეთანხმდნენ საამისოდ გათვალისწინებული ფორმით. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით კი, არსებითად ჩაითვლება ხელშეკრულების ის პირობები,

რომლებზედაც ერთ-ერთი მხარის მოთხოვნით მიღწეულ უნდა იქნეს შეთანხმება, ანდა რომლებიც ასეთად მიჩნეულია კანონის მიერ.

როგორც ზემოთ აღინიშნა, **თანხის მიმღები და** მსესხებელი ყოველთვის იდენტური ცნებები არ არის, ისევე, როგორც, თანხის გადაცემა ყოველთვის სესხის ხელშეკრულების დადებას არ ნიშნავს, პირველ რიგში იმიტომ, რომ თანხის გადაცემის შემადგენლობის მატარებელია სხვა სამოქალაქო სამართლებრივი გარიგებებიც, როგორცაა, ნასყიდობა, ჩუქება და ა. შ. შესაბამისად, ორმხრივი სამართალურთიერთობა უნდა შეფასდეს ორმხრივად გამოვლენილი ნების განმარტების შედეგად. ამდენად, თუ დადასტურებულად მივიჩნევთ ზ-ლ მ-სა და ე-რ ა-ს მიერ ნ-ზ რ-ის თანხის გადაცემის ფაქტს<sup>1</sup>, მხოლოდ აღნიშნულ ფაქტზე დაყრდნობით არ დასტურდება, რომ **თანხის მიმღები ნ-ზ რ-ი მსესხებელია**, ანუ სწორედ ის პირია, ვინც თანხა საკუთრებაში მიიღო და შესაბამისად, აღნიშნული თანხის დაბრუნების ვალდებულება იკისრა. შესაბამისად, არ დასტურდება ნ-ზ რ-ის, როგორც მსესხებლის სამართლებრივი სტატუსი ე-რ ა-სა და ზ-ლ მ-ან სამართალურთიერთობაში. აღნიშნული ფაქტობრივი გარემოების დადგენის მიზნით განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება მხარეთა მიერ გამოვლენილი სუბიექტური ნების შეფასებას მასზედ, თუ ვინ ვისთან დებდა სამართლებრივი შედეგის წარმომშობ გარიგებას. ნიშანდობლივია, რომ სესხის ხელშეკრულების სუბიექტთა დადგენის მიზნებისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს, თუ ვის აძლევს გამსესხებელი თანხას საკუთრებაში (თავისუფალი განკარგვის მიზნით) და არა მფლობელობაში (თანხის გადატანის, გადაცემის მიზნით)<sup>2</sup>. მიმაჩნია, რომ ე-რ ა-ესა და ზ-ლ მ-ს გაცნობიერებული ჰქონდათ, რომ თანხას ამხანაგობაში დებდნენ და შესაბამისად, აღნიშნულ თანხებზე დარიცხული პროცენტის გადახდას ამხანაგობის თავმჯდომარე უზრუნველყოფდა. მითითებული დასკვნა ემყარება საქმეში არსებულ მტკიცებულებათა ერთობლიობას, კერძოდ, მითითებულ გარემოებას ადასტურებს თავად ზ-ლ მ-ის განცხადება, რომლითაც მან პროკურატურას მიმართა. განცხადებაში ზ-ლ მ-მ აღნიშნავს, რომ `... გვესტუმრა ჩვენი ოჯახის ახლობელი ნ-ზ რ-ე, რომელმაც შემომთავაზა, რომ თანხა ჩამედო სამშენებლო ბიზნესში, კერძოდ, მის მეგობარს, ნ-რ დ-ს ჰქონდა სამშენებლო კომპანია `---, რომელიც აშენებდა საცხოვრებელ სახლს ---- 49<sup>ბ</sup>-ში... მან ასევე მითხრა, რომ აღნიშნული მშენებლობის

<sup>1</sup> თანხის გადაცემის ფაქტთან დაკავშირებით იხილეთ საქმეში წარმოდგენილ მტკიცებულებათა, კერძოდ, ხელნაწერის, ფარული ჩანაწერისა და მოწმეთა ჩვენებების შეფასებითი ანალიზი.

<sup>2</sup> მაგალითისათვის, თუ თანხის სესხება მთხოვა ნათესავმა, რაზეც დავთანხმდი და თანხა, მეზობელს გავატანე ნათესავისათვის გადასაცემად, რაღა თქმა უნდა, თანხა ნათესავს ვასესხე და არა მეზობელს. შესაბამისად, თანხის დაბრუნებაზე ვალდებული პირი ნათესავია და არა მეზობელი. ამასთან, ნათესავისთვის თანხის სესხებამდე, ისიც გავანალიზე, რომ იგი სანდო და კეთილსინდისიერი გადამხდელი იყო, ამიტომაც დავთანხმდი თანხის სესხებაზე. მსესხებელი უშულოდ თანხის მიმღები ჩემი მეზობელი რომ ყოფილიყო, თანხას არ ვასესხებდი, რადგან არ აქვს შესაბამისი ქონებრივი შესაძლებლობა სესხის დროულად დაბრუნების. მიუხედავად ამისა, თანხას მეზობელს ვატან, თუმცა, ვატან იმ იმედით, რომ თანხის მიმღები მსესხებელი არ არის, ის თანხის დანიშნულების ადგილამდე მიმტანია. შესაბამისად, ის არც თანხის დაბრუნებაზე პასუხისმგებელი სუბიექტია.

ამხანაგობის წევრები იყვნენ გ-ი ა-ე, კ-ა ო-ი და ა-ლ გ-ია და რაიმე საშიში ან საპრობლემო არ იქნებოდა. ... ამის შემდეგ ჩვენ კვლავ მივაკითხეთ ნ-ზ რ-ს, რომელმაც გაგვიცხადა, რომ ნ-რ და-ი ე-რ ა-ს გაუფორმებდა ნოტარიულად ვალის ხელშეკრულებას, სადაც დაფიქსირდებოდა 119 000 აშშ დოლარი, მაგრამ როდესაც გამოვცხადდით ნოტარიუსთან ნ-რ დ-ლი არ მოვიდა (ტ 1. ს.ფ. 47-48)~. სესხის ხელშეკრულების სუბიექტთა გარკვევის მიზნით ასევე მნიშვნელოვანია **ზ-ლ მ-ის გამომძიებელთან გასაუბრების ოქმი**, რომლის შესაბამისადაც „ზ-ლ მ-ის ცნობილი იყო, რომ მისი თანხა ხმარდებოდა სწორედ და-ის სამშენებლო საქმიანობას, შესაბამისად, სარგებელსაც იხდიდა დ-ი. 2008 წლის აგვისტოს მოვლენების შემდეგ დ-ი ადასტურებდა თანხის მიღებას, თუმცა, არ აკონკრეტებდა თანხას, ასევე აფიქსირებდა, რომ იგი აღნიშნულ და მისი დანარჩენი ვალების სანაცვლოდ ფართებს გადაუფორმებდა რ-ს, რომლის რეალიზაციის შემდეგ სწორედ რ-ე გამისტუმრებდა ყველას~ (ტ. 1, ს.ფ. 108). სესხის ხელშეკრულების სუბიექტების დადგენის მიზნით, ასევე საგულისხმოა **ნ-ზ რ-ს გამომძიებელთან გასაუბრების ოქმი**, რომლის მიხედვითაც, `2007 წელს მისი ნაცნობი ნ-რ დ-ი აშენებდა რა კორპუსს, ქ.თბილისში, --- იგი კერძო პირებისაგან სესხულობდა სარგებლიან თანხებს მშენებლობისათვის, ხოლო უზრუნველყოფის მიზნით კი, რადგან მშენებარე კორპუსი არ იყო დარეგისტრირებული, იგი გამსესხებლებთან შეთანხმებით, მათ თავიანთი სესხების უზრუნველყოფის მიზნით უფორმებდა ფართებს, ამხანაგობის კრების ოქმების მიხედვით, მშენებარე კორპუსში. ანალოგიური მიზნით, ნ-ზ რ-მ და ნ-ზ მ-მ, დაახლოებით, 15 ადამიანი დააკავშირეს დ-ს, რომლებმაც საერთო ჯამში ნ-ზ რ-ს და ნ-ზ მ-ს კუთვნილ თანხებთან ერთად, დ-ს გადასცეს 1 000 000 აშშ დოლარი, მათ შორის, ასევე ზ-ლ მ-ემ თავისი ინიციატივით გაასესხა სარგებლიანი თანხა დ-ზე...~ (ტ.1, ს.ფ. 106-107). ამდენად, ზემოაღნიშნულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით, **რომლებიც მოსარჩელების შუამდგომლობის საფუძველზეა გამოთხოვილი** (ტ 1, ს.ფ. 93, 100), მიმაჩნია, დასტურდება, რომ **ზ-ლ მ-ა და ე-რ ა-ეს სესხის ხელშეკრულება ნ-ზ რ-ესთან არ გაუფორმებიათ და არც ზეპირ სასესხო ურთიერთობაში შესულან ამ უკანასკნელთან**. მათ იმთავითვე იცოდნენ, რომ თანხას ამხანაგობაში დებდნენ, იცოდნენ, რომ სარგებელს ნ-რ დ-გან (ამხანაგობის თავმჯდომარისაგან) იღებდნენ. თანხის ჩადებამდე გარკვეულ ამხანაგობის დამფუძნებლები, რითაც ამხანაგობის საქმიანობის მიმართ სტაბილურობისა და საიმედოობის მეტი გაცნადა შეიქმნეს. საპროცენტო სარგებლის მიღების შეწყვეტისთანავე ვალის აღიარების ხელშეკრულების გაფორმება ნ-რ დ-საგან მოითხოვეს. რის შემდეგაც ნ-რ დ-სა და ზ-ლ მ-ეს შორის ფიზიკურ დაპირისპირებასაც კი ჰქონდა ადგილი (იხ. მხარეთა ახსნა განმარტებები, თბილისის სააპელაციო სასამართლოს სხდომის ოქმები).

ზ-ლ მ-ე და ე-რ ა-ე ნ-ზ რ-ან სესხის ხელშეკრულების არსებობის დადასტურების მიზნებისათვის აპელირებენ **ხელწერილზე** (ტ 1, ს.ფ. 168-169). მიმაჩნია, რომ აღნიშნული მტკიცებულება სესხის ხელშეკრულების დადებას ვერ დაადასტურებს იმ შინაარსის გათვალისწინებით, რაც ხელწერილშია ასახული. ნიშანდობლივია, რომ ხელწერილი შეიცავს მხოლოდ რიცხვების მათემატიკურ გაანგარიშებას, მხარეთა მითითების გარეშე. შესაბამისად, ხელწერილიდან არ ირკვევა გარიგების მხარეები, მათი ნება, არსებითი პირობები. ამდენად,

ხელნაწერი დოკუმენტი, თავისი შინაარსის გათვალისწინებით, იმდენად ბუნდოვანია, რომ მხარეთა ნების გამოვლენის დადასტურების მიზნებისათვის ვერ გამოდგება. შესაბამისად, მიმაჩნია, რომ აღნიშნული ხელწერილი, სესხის ხელშეკრულების დამადასტურებელ მტკიცებულებას არ წარმოადგენს. იგი ასეთად ვერ განიხილება ვერც სხვა მტკიცებულებებთან ერთობლიობაში.

ე-რ ა-ე და ზ-ლ მ-მე ნ-ზ რ-ის სესხის სახით თანხის გადაცემის დადასტურების მიზნით აპელირებენ ასევე მოწმეთა ჩვენებებზე. პირველ რიგში, აღსანიშნავია, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 623-ე მუხლის შესაბამისად, სესხის ზეპირი ხელშეკრულების დროს მისი ნამდვილობა არ შეიძლება დადგინდეს მხოლოდ მოწმეთა ჩვენებებით. განსახილველ შემთხვევაში, სხვა მტკიცებულებათა არასარწმუნოდ მიჩნევის პირობებში<sup>3</sup>, მოწმეთა ჩვენება რჩება ერთადერთი მტკიცებულება, რომლითაც მოსარჩელები ნ-ზ რ-თვის თანხის გადახდას ადასტურებენ, რაც მოქმედი კანონმდებლობით, დაუშვებელია. მიუხედავად ამისა, მაინც მიზანშეწონილად მივიჩნევ განვმარტო, რომ საქმეში წარმოდგენილი მოწმეთა ჩვენებებითაც არ დასტურდება, რომ ნ-ზ რ-ემ ე-რ ა-სა და ზ-ლ მ-გან თანხა ისესხა. მოწმეთა ჩვენებებით დასტურდება, რომ ნ-ზ რ-ე გარკვეული პერიოდულობით ე-რ ა-სა და ზ-ლ მ-ან გარკვეულ თანხებს იღებდა, თუმცა, თვით მოსარჩელეთა მიერ წარმოდგენილი მოწმეები ადასტურებენ, რომ ე-რ ა-მ და ზ-ლ მ-მ თანხა ამხანაგობაში ჩადეს, მითითებულ თანხებს ისინი ნ-ზ რ-ის გადასცემდნენ, თუმცა, ამით თანხებს ამხანაგობაში დებდნენ. ნ-ზ რ-ე ე-რ ა-სა და ზ-ლ მ-თვის თანხების დაბრუნებას ფართების გაყიდვის გზით პირდებოდა (იხ. -ა ნ-ას ჩვენება, 2013 წლის 3 აპრილის სხდომის ოქმი 10:22:11-10:47:29 სთ. / დ-ი ა-ს ჩვენება 2013 წლის 3 აპრილის სხდომის ოქმი 10:49:07-11:02:30 სთ. / გ-ნ მ-ის ჩვენება 2013 წლის 15 აპრილის სხდომის ოქმი 10:50:15-11:00:50 სთ. / ი-ა გ-ის ჩვენება 2013 წლის 3 აპრილის სხდომის ოქმი 10:10:25-10:19:51 სთ.). უფრო მეტიც, მოწმე ლ-ნა თ-ს განმარტებით, „...მისი ინფორმაციით, ნ-ზ რ-ს ე-ს და ზ-ს პირადი ვალი არ აქვს. ნ-ზ რ-მ მასაც შესთავაზა მშენებლობაში თანხის ჩადება და მანაც ჩადო 40 000 ევრო. მისი მიზანი იყო საცხოვრებელი ფართის აშენება ქალიშვილისათვის, მაგრამ შემდგომ მშენებლობას შეექმნა პრობლემები“. .... მას შემდეგ, რაც მოსარჩელებსა და მოპასუხეს დაეძაბათ ურთიერთობა, მას ჰქონდა საუბარი ნ-ზ რ-ან და მან უთხრა, რომ მოსარჩელები უარს აცხადებენ თანხის მიღებაზე და კატეგორიულად ითხოვდნენ თანხას“ (იხ. 2013 წლის 3 აპრილის სხდომის ოქმი 11:06:06-11:15:40 სთ).

როგორც ზემოთ აღინიშნა, მხოლოდ მოწმეთა ჩვენებებზე დაყრდნობით სესხის სახით თანხის გადაცემის ფაქტის დადგენა დაუშვებელია. კანონი აპელირებს მხოლოდ მოწმეთა ჩვენებებზე, რაც იმას ნიშნავს, რომ სხვა მტკიცებულებებთან ერთობლიობაში მოწმეთა

<sup>3</sup> ხელწერილი არ შეიცავს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 327-ე მუხლის კონტექსტში გარიგების ნამდვილობისათვის აუცილებელ არსებით პირობებს, ხოლო რაც შეეხება ფარულ ჩანაწერს, აღნიშნული არ შეიძლება განხილულ იქნეს ე.წ. „ვარგის“, შესაბამისი „სამართლებრივი შედეგების წარმომშობ“ მტკიცებულებად სამოქალაქო სამართლებრივი გარიგების არსებობის დადასტურების მიზნებისათვის.

ჩვენებებზე დაყრდნობით სესხის სახით თანხის გადაცემის ფაქტის დადგენა შესაძლებელია. განსახილველ შემთხვევაში კი **სახეზეა მხოლოდ მოწმეთა ჩვენებები**, ვინაიდან ხელწერილი არ შეიცავს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 327-ე მუხლის კონტექსტში გარიგების ნამდვილობისათვის აუცილებელ არსებით პირობებს, ხოლო რაც შეეხება ფარულ ჩანაწერს, აღნიშნული არ შეიძლება განხილულ იქნეს ე.წ. „ვარგის“, შესაბამისი „სამართლებრივი შედეგების წარმომშობ“ მტკიცებულებად სამოქალაქო სამართლებრივი გარიგების არსებობის დადასტურების მიზნებისათვის.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 103-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, კანონის დარღვევით მოპოვებულ მტკიცებულებებს იურიდიული ძალა არა აქვთ. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი არ აკონკრეტებს, თუ რა სახით მოპოვებული მტკიცებულება ჩაითვლება კანონის დარღვევით მოპოვებულ მტკიცებულებად, შესაბამისად, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში უნდა შეფასდეს მტკიცებულების მოპოვება ხომ არ ეწინააღმდეგება რაიმე კანონს.

საქართველოს კონსტიტუციის მე-20 მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, ყოველი ადამიანის პირადი ცხოვრება, პირადი საქმიანობის ადგილი, პირადი ჩანაწერი, მიმოწერა, საუბარი სატელეფონო და სხვა სახის ტექნიკური საშუალებით, აგრეთვე ტექნიკური საშუალებებით მიღებული შეტყობინებანი ხელშეუხებელია. აღნიშნული უფლებების შეზღუდვა დაიშვება სასამართლოს გადაწყვეტილებით ან მის გარეშე, კანონით გათვალისწინებული გადაუდებელი აუცილებლობისას.

საქართველოს კონსტიტუციის მე-20 მუხლით დაცულია სამართლებრივი სიკეთე - კომუნიკაციის თავისუფლება, რაც გულისხმობს კომუნიკაციის დაცვას გარეშე პირთა არასასურველი მონაწილეობისაგან. კომუნიკაციის თავისუფლება ინდივიდს აძლევს შესაძლებლობას, თავად განსაზღვროს კომუნიკაციის შინაარსი და პარტნიორი, რაც უზრუნველყოფს ადამიანის იმგვარ თავისუფალ თვითგამოსახვას, რომელიც თავისუფალია გარეშე წამკითხველისა და მარეგისტრირებელი სუბიექტის ჩარევით განპირობებული თავშეკავებისაგან<sup>4</sup>.

აზრის თავისუფლების ძირითადი უფლებით დაცულია არამხოლოდ **აზრის გამოხატვა, არამედ მისი ადრესატამდე მისვლაც**. შესაბამისად, აზრის თავისუფლება დაცული უნდა იყოს მესამე პირთა მხრიდან მათი შინაარსის გაცნობისაგან. ადამიანის უფლებები ირღვევა, როდესაც ინდივიდი ცხოვრობს იმის შეგრძნებით, რომ მისი ნებისმიერი სიტყვა, რაიმე, თუნდაც, გაუაზრებელი და სპონტანური აზრის გამოხატვა, განვითარების პროცესში

---

<sup>4</sup> H.Krüger, M.Pagenkopf, Art.10, in: M. Sachs (Hrsg.), Grundgesetz: Kommentar, München 2003, Rn.13 უშუალო წყარო: ი.კობახიძე, საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი, მეორე თავი, საქართველოს მოქალაქეობა. ადამიანის ძირითადი უფლებები და თავისუფლებანი, თბილისი, 2013, გვ.181

არსებული დიალოგისას გამოთქმული წინასწარი პოზიცია, ან რაიმე ფორმულირება, რომლის ნამდვილი შინაარსის გაგება მხოლოდ კონკრეტული სიტუაციის ცოდნის შემთხვევაშია შესაძლებელი, სხვა გარემოებებში და სხვა კონტექსტი შეიძლება იქნეს გამოყენებული. **ინდივიდმა კერძო საუბრები უნდა აწარმოოს იმის ეჭვისა და შიშის გარეშე, რომ საიდუმლო ჩანაწერს ვინმე მისი ნებართვის გარეშე და ნების საწინააღმდეგოდ გამოიყენებს<sup>5</sup>.**

კომუნიკაციის ხელშეუხებლობის ძირითადი უფლებით დაცულია კომუნიკაციის მონაწილე ყველა პარტნიორი, როგორ გარე, ასევე შიდა ჩარევისაგან, რაც იმას ნიშნავს, რომ კომუნიკაციის ხელშეუხებლობის ძირითადი უფლებით დაცულია არა მხოლოდ მესამე პირთა მეშვეობით განხორციელებული ჩარევა, არამედ, კომუნიკაციის ერთ-ერთი მონაწილის მხრიდან პირადი კომუნიკაციის განსაჯაროვება, დანარჩენ მონაწილეთა თანხმობის გარეშე.

განსახილველ შემთხვევაში, საქმე ეხება პირადი შეხვედრისას განხორციელებული საუბრების ფარულ აუდიოჩანაწერებს. აუდიოჩანაწერები გაკეთებულ იქნა ფარულად და სასამართლოში წარმოდგენილ იქნა მტკიცებულებად მასზე, რომ ნ-ზ რ-ეს ე-რ ახ-სა და ზ-ლ მ-აგან თანხა აქვს ნასესხები.

პირველ რიგში, მიმაჩნია, რომ მითითებული ჩანაწერი კანონდარღვევითაა მოპოვებული და, შესაბამისად, დაუშვებელია საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 103-ე მუხლის კონტექსტში. მითითებული დასკვნის საფუძველს კი წარმოადგენს ის გარემოება, რომ პირადი საუბრის ფარული ჩაწერა, ხოლო შემდეგ სასამართლოში მტკიცებულების სახით წარდგენა, ეწინააღმდეგე საქართველოს კონსტიტუციის 30-ე მუხლით გარანტირებულ პირადი ცხოვრებისა და პირადი კომუნიკაციის ხელშეუვალობას, ასევე კონსტიტუციის მე-16 მუხლს, რომელიც პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლებას ეხება.

ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის N1165 რეზოლუციაში „Right to Privacy“ (1998) განმარტებულია, რომ „ევროპული კონვენციის მე-8 მუხლმა უნდა დაიცვას ინდივიდის პირადი ცხოვრება არამარტო საჯარო ხელისუფლების, არამედ კერძო პირების მხრიდანაც“. თუმცა, იმისდა მიხედვით, თუ პირადი ცხოვრების რომელ სფეროს შეეხება საქმე, დაცულობის ხარისხი განსხვავებულია. განსახილველ შემთხვევაში სახეზე არ არის **ინტიმური სფერო, რომელიც აბსოლუტური დაცვით სარგებლობს**. მოცემულ შემთხვევაში საქმე ეხება **კერძო საუბარს, რომელიც კერძო სფეროს განეკუთვნება და რომელიც, არ სარგებლობს აბსოლუტური პრივილეგიით**, რაც იმას ნიშნავს, რომ მისი შეზღუდვა დასაშვებია, ანუ მასში ჩარევა შესაძლებელია საამისო დაცვის ღირსი ინტერესისა და

<sup>5</sup> იხ. გერმანიის საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება: BVerfGE 34, 238 (246 f); უმუშაო წყარო: ი.კობახიძე, საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი, მეორე თავი, საქართველოს მოქალაქეობა. ადამიანის ძირითადი უფლებები და თავისუფლებანი, თბილისი, 2013, გვ.181

კანონიერი მიზნის არსებობის პირობებში. შესაბამისად, კერძო სფეროში ჩარევის დროს, ჩარევის მართლზომიერების დადგენის მიზნით, უნდა შეფასდეს, არსებობს თუ არა ისეთი დაცვის ღირსი ინტერესი, რომელიც პირადი ცხოვრებისა და პირადი კომუნიკაციის ხელშეუხებლობის კონსტიტუციით გარანტირებულ უფლებაზე უფრო მაღლა დგას.

მიმაჩნია, რომ სამოქალაქო სამართალურთიერთობის ფარგლებში **სამოქალაქოსამართლებრივი გარიგების დადასტურების მიზნით მტკიცებულების შესაქმნელად პირად სფეროში ჩარევა და ამით პირადი ცხოვრებისა და პირადი კომუნიკაციის უფლების შეზღუდვა გამართლებული არ არის.** ამგვარი დასკვნა, პირველ რიგში, გამომდინარეობს სახელშეკრულებო თავისუფლების პრინციპიდან, რომელიც თავის მხრივ, სამოქალაქო უფლება-მოვალეობების მიმართ გარკვეულ პასუხისმგებლობას გულისხმობს. სამოქალაქო უფლება-მოვალეობათა მატარებელი სუბიექტები თავისუფალნი არიან სამოქალაქო ურთიერთობებში, შესაბამისად, ისინი ვალდებული არიან, გამოიჩინონ შესაბამისი სამოქალაქო სამართლებრივი წინდახედულობა და მტკიცებულება პირთა თანასწორობაზე დამყარებული ურთიერთობის ფარგლებში მოიპოვონ. მხოლოდ იმიტომ, რომ მხარე სათანადოდ არ უზრუნველყოფს სამართალურთიერთობას მტკიცებულებებით, აღნიშნული არ ნიშნავს იმას, რომ მას **შემდგომ აღნიშნული მტკიცებულების შექმნის შესაძლებლობა მეორე მხარის პირად ცხოვრებაში ჩარევის გზით აქვს.** ამგვარი სახით მოპოვებულ მტკიცებულებათა ლეგიტიმაციის პირობებში მივიღებთ არა სამოქალაქო პასუხისმგებლობაზე დამყარებულ საზოგადოებას, არამედ კონსტიტუციურ ღირებულებათა დაუშვებელ ხელყოფას, რა დროსაც, განსაკუთრებით, პირადი ცხოვრებისა და პირადი კომუნიკაციის ხელშეუვალობის უფლება იქნება შეზღუდული, რაც დაუშვებელია. ამგვარი შეზღუდვა (ჩარევა) გამართლებულია მხოლოდ მაშინ, როდესაც **პირი თვითდახმარების ან „თვითდახმარებასთან მიახლოვებულ“ ფარგლებში მოქმედებს<sup>6</sup>.** მაგალითისათვის, თუ ფარული ჩანაწერი ერთადერთი გზაა საკუთარი უფლების დასაცავად, იმის გამო, რომ სხვაგვარად საკუთარ უფლებას ვერ დაიცავ ან არსებობს რეალური საშიშროება ყველა სხვა მტკიცებულების განადგურების, ასეთ ვითარებაში ფარული ჩანაწერის გზით მტკიცებულების შექმნა დასაშვებია. ამდენად, თუ პირზე ხორციელდება ზეწოლა, მუქარა შანტაჟი, საკუთარი უფლებების დაუშვებელი ხელყოფის თავიდან ასაცილებლად, კონსტიტუციურ ღირებულებათა მრავალმხრივი აწონ-დაწონვის შედეგად, შეიძლება გამართლებულად ჩაითვალოს სხვის პირად სფეროში ჩარევა, თუმცა, აღნიშნული დაუშვებელია მაშინ, როდესაც სხვის პირად სფეროში ჩარევა **თვითდახმარებას კი არ ემსახურება, არამედ მეორე მხარისათვის სამოქალაქო სამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრებას.** პირად სფეროში ჩარევა კი საჭირო გახდა მხოლოდ იმიტომ, რომ უფლება-მოვალეობათა კრედიტორმა თავის დროზე არ იზრუნა შესაბამისი მტკიცებულების (ხელშეკრულების, ხელწერილის, და ა. შ.) შექმნაზე<sup>7</sup>. ასეთ ვითარებაში, როდესაც

<sup>6</sup> BGH NJW 1988,1016

<sup>7</sup> BGH NJW 1982, 277; NJW 1988, 1016

გაუმართლებელია ჩარევა პირად სფეროში, ამგვარი გზით მოპოვებული მტკიცებულება, დაუშვებელი მტკიცებულებაა. მისი დაშვება შესაძლებელია მხოლოდ მეორე მხარის თანხმობით, ამასთან, თანხმობა უნდა ეხებოდეს არა მტკიცებულების ფორმალურ დასაშვებობას, არამედ იმას, რომ მტკიცებულების შინაარსი სასამართლომ გადაწყვეტილებას დაუდოს საფუძვლად. ამგვარი თანხმობის არარსებობის პირობებში, დაუშვებელია ფარულ ჩანაწერს გადაწყვეტილება დაეფუძნოს, მაშინაც კი, თუ ფარული ჩანაწერიდან უტყუარად დასტურდება ის გარემოება, რომლის დადასტურების მიზანსაც ფარული ჩაწერა (კერძო სფეროში ჩარევა) ემსახურებოდა<sup>8</sup>.

განსახილველ შემთხვევაში, სწორედ ისეთ სამართლებრივ ვითარებასთან გვაქვს საქმე, რომ ე-რ ა-მ და ზ-ლ მ-მ ნ-ზ რ-ისა, თუ ამხანაგობისათვის ფულადი სახსრების გადაცემის დროს შესაბამისი მტკიცებულებები არ შექმნეს, რაც იმით კი არ იყო განპირობებული, რომ არსებობდა მტკიცებულებათა შექმნის შეუძლებლობა, არამედ სახეზე იყო სამოქალაქო სუბიექტების მიმართ „გადამეტებული ნდობა“, რაც არ შეიძლება გავაიგივოთ „თვითდახმარების მდგომარეობასთან“. „გადამეტებული ნდობის“ საფუძვლით მტკიცებულებათა შეუქმნელობა არ ქმნის მეორე მხარის პირად სფეროში ჩარევის დაცვის ღირსს ინტერესს. შესაბამისად, მიმაჩნია, რომ წარმოდგენილი მტკიცებულება მოპოვებულია კანონდარღვევით და იგი გადაწყვეტილებას საფუძვლად არ უნდა დაედოს. თუმცა, მიუხედავად აღნიშნული მოსაზრებისა, მაინც მიზანშეწონილად მივიჩნევ მივუთითო, რომ აღნიშნული მტკიცებულება კიდევ, რომ დასაშვებ მტკიცებულებად იქნეს მიჩნეული, მტკიცებულებიდან არ ჩანს, რომ ზ-ლ მ-სა და ე-რ ა-ან თანხა ნ-ზ რ-მ ისესხა. ხელწერილიდან ცალსახად არ ირკვევა, რომ ნ-ზ რ-ე თანხებს, როგორც მსესხებელი ისე იღებდა. ნ-ზ რ-მე ფარული ჩაწერის დროსაც არაერთგზის იმეორებს, რომ „ყველამ იცოდა ფულს, რომ ნ-რ დ-ი იღებდა და პროცენტსაც ის იხდიდა“. საუბარი მთავრდება იმით, რომ ნ-ზ რ-მე ეუბნება ზ-ლ მ-ეს - „ცემა კი არა, ფართი წაგერთვა იმისათვის“.

ამდენად, მიმაჩნია, რომ საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებებით ერთი მხრივ, ნ-ზ რ-ა და მეორე მხრივ, ე-რ ა-ა და ზ-ლ მ-ს შორის სესხის ხელშეკრულების ფაქტი არ დასტურდება. უფრო მეტიც, კიდევ, რომ მხარეთა შესაბამისი ნების კვლევის გარეშე, მხოლოდ თანხის გადაცემით მივიჩნით სესხის ხელშეკრულება დადებულიად, საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებებით საკმარისად არ დასტურდება ასევე კონკრეტული (ზუსტი ოდენობით) ნ-ზ რ-ს მიერ ე-რ ა-ისა და ზ-ლ მ-ან თანხის მიღების ფაქტი. ნიშანდობლივია, რომ თანხის გადაცემისა და გადაცემული თანხის ოდენობის მტკიცების ვალდებულება, მტკიცების ტვირთის ობიექტური და სამართლიანი გადანაწილების ფარგლებში, მოსარჩელეებს ეკისრებათ. ამ მხრივ კი საგულისხმოა, რომ მოსარჩელეები ნ-ზ რ-ნ, ჯერ სესხად გადაცემული თანხის სახით 119 000 აშშ დოლარს ითხოვდნენ, შემდეგ მათ აღნიშნული თანხა ჯერ 92 000 აშშ დოლარამდე შეამცირეს, ხოლო შემდეგ 71 000 აშშ დოლარამდე, შესაბამისად,

<sup>8</sup> OLG Stuttgart, 18.11.2009

მოსარჩელებს არ წარმოუდგენიათ მტკიცებულება, რომლითაც დადასტურდება კონკრეტული ოდენობით თანხის გადაცემა. ამ მხრივ საგულისხმოა ხელწერილი, რომელშიც არაერთი გაურკვეველი რიცხვი ფიგურირებს, ასევე ფარული ჩანაწერი, სადაც საუბარია, როგორც 56 000 აშშ დოლარზე, ასევე 21 000 აშშ დოლარზე, ასევე 70 000 აშშ დოლარსა და 119 000 აშშ დოლარზე, შესაბამისად, კიდევ, რომ დადგინდეს სესხის ხელშეკრულების სუბიექტები, საქმეში არსებული მტკიცებულებებით ცალსახად არ დგინდება გადაცემული თანხების ოდენობა.

კიდევ ერთი გარემოება, რაზეც ყურადღება უნდა გამახვილდეს, არის ფაქტობრივი გარემოება ნ-არ დ-ის მიერ ნ-ზ რ-ს ფართების გადაფორმების თაობაზე. საქმეში არსებული მტკიცებულებებით დასტურდება, რომ ნ-არ დ-მა ნ-ზ რ-ს მსესხებლების, გარკვეულწილად, დაკმაყოფილების მიზნით 888 კვ.მ. ფართი გადაუფორმა. ნიშანდობლივია, რომ ამ დროისათვის მოზიდული მსესხებლებისაგან მიღებული თანხები, დაახლოვებით, 1 000 000 აშშ დოლარს შეადგენდა, ხოლო გადაფორმებული 888 კვ.მ. ფართი კი, იპოთეკით იყო დატვირთული (ტ 1, ს.ფ. 106, ნუგზარ დათიკაშვილის ჩვენება). აღნიშნული ფაქტობრივი გარემოების შეფასების შედეგად ნათლად დასტურდება, რომ თანხები ამხანაგობაში იღებოდა და შესაბამისად, ნ-არ დ-მა ნ-ზ რ-ეს თავისი (ამხანაგობის) ვალდებულებების დასაფარად გადაუფორმა ფართები, რაც კიდევ ერთხელ მოწმობს, რომ აღნიშნულ სამართალურიერთობაში **ნ-ზ რ-მე მსესხებელი არ იყო**. შესაბამისად, ერთადერთი სამართლებრივი გზა, რა დროსაც მესამე პირი მოვალის ვალდებულებებისათვის არის პასუხისმგებელი, **ვალის გადაკისრებაა**. ამდენად, მითითებული ფაქტის შეფასების გზით (ფართების გადაცემა) უნდა გაეცეს კითხვას პასუხი, **გაფორმდა თუ არა ნ-რ დ-სა და ნ-ზ რ-ს შორის ვალის გადაკისრების ხელშეკრულება**.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 203-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, მოთხოვნის მფლობელთან დადებული ხელშეკრულებით ვალი შეიძლება თავის თავზე აიღოს მესამე პირმაც (ვალის გადაკისრება). ასეთ შემთხვევაში მესამე პირი დაიკავებს თავდაპირველი მოვალის ადგილს.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 203-ე მუხლი აწესრიგებს ისეთ შემთხვევას, როდესაც ვალის გადაკისრებას ადგილი აქვს კრედიტორსა და მესამე პირს შორის დადებული გარიგების საფუძველზე, სადაც ცალსახაა კრედიტორის ნება მესამე პირის მიერ ვალდებულების საკუთარ თავზე აღების თაობაზე. აღნიშნული გარიგების სამართლებრივი შედეგია ის, რომ მესამე პირი იკავებს მოვალის ადგილს, რაც იმას ნიშნავს, რომ აღნიშნული გარიგებით თავდაპირველი მოვალის მიმართ ვალდებულება წყდება და შესაბამისად, კრედიტორს თავდაპირველი მოვალის მიმართ მოთხოვნის უფლება აღარ გააჩნია. შესაბამისად, მესამე პირსა და კრედიტორს შორის ურთიერთობის ვალის გადაკისრებად კვალიფიკაციის მიზნებისათვის აუცილებელია ცალსახად და არაორაზროვნად დადგინდეს მესამე პირის ნება მასზედ, რომ **მოვალის ადგილი დაიკავოს**. განსახილველ შემთხვევაში,

საქმის მასალებით არ დასტურდება კრედიტორსა და მოვალეს შორის რაიმე ხელშეკრულების არსებობა.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 204-ე მუხლის მიხედვით, თუ ვალის გადაკისრების შესახებ შეთანხმდნენ მესამე პირი და მოვალე, მაშინ გადაკისრების ნამდვილობა დამოკიდებულია მოთხოვნის მფლობელის თანხმობაზე. განსახილველ შემთხვევაში, არც მესამე პირსა და მოვალეს შორის დასტურდება ვალის გადაკისრების თაობაზე შეთანხმება.

ნიშანდობლივია, რომ ვალის გადაკისრება უნდა განვასხვავოთ მესამე პირის მიერ ვალდებულების შესრულებისაგან. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 371-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, თუ კანონიდან, ხელშეკრულებიდან ან ვალდებულების ბუნებიდან არ გამომდინარეობს, რომ მოვალემ პირადად უნდა შეასრულოს ვალდებულება, მაშინ ეს ვალდებულება შეიძლება შეასრულოს მესამე პირმაც. ვალის გადაკისრება მესამე პირის მიერ ვალდებულების შესრულებისაგან იმით განსხვავდება, რომ მესამე პირი უფლებამოსილია კრედიტორის მიმართ ვალდებულების შესრულების თაობაზე, თუმცა, მოვალეს, ვალის გადაკისრების გარეშე, მესამე პირის მიმართ მოთხოვნა არ წარმოეშობა. განსახილველ შემთხვევაში, არ დასტურდება რა ვალის გადაკისრების კანონით გათვალისწინებული წინაპირობების არსებობა, შესაბამისად, ნ-რ დ-ის განმარტების საფუძველზე მასზე, რომ მან გარკვეული ფართები გადასცა ნ-ზ რ-ეს მოვალეთა დასაკმაყოფილებლად, კონკრეტული მოვალეების იდენტიფიცირებისა და ასევე კონკრეტული ვალდებულების განსაზღვრის გარეშე, მესამე პირი, ნ-ზ რ-ე ზ-ლ მ-სა და ე-რ ა-ს მიმართ შესრულებაზე ვალდებულ პირად ვერ განიხილება. საწინააღმდეგო დასკვნის გაკეთების პირობებში მივიღებთ შემდეგ სამართლებრივ შედეგს: ვალის გადაკისრების თაობაზე ხელშეკრულების გარეშე, თუ მხოლოდ ფართების გადაცემით მიიჩნევა ნ-ზ რ-მე ამხანაგობის კრედიტორების წინაშე ვალდებულ პირად, ასეთ შემთხვევაში, იმის გათვალისწინებით, რომ გადაცემული ფართი არასაკმარისია მთლიანი ვალდებულების შესასრულებლად, ნ-ზ რ-ე მთელი თავის ქონებით ხდება დარჩენილი ვალდებულებების მიმართ პასუხისმგებელი. ამგვარი სამართლებრივი შედეგის დაშვება კი ვალის გადაკისრების წინაპირობების არსებობის გარეშე, დაუშვებელია.

ზემოაღნიშნული მსჯელობის გათვალისწინებით, ხაზგასმით აღვნიშნავ, რომ განსახილველი დავის კვლევის საგანი არ ყოფილა ამხანაგობა „ჩ--ა“ და ნ-რ დ-ის ვალდებულ პირებად მიჩნევა. განსახილველი დავის საგანი იყო, წარმოადგენდა, თუ არა ნ-ზ რ-ე, სესხის ხელშეკრულებიდან გამომდინარე, ე-რ ა-ისა და ზ-ლ მ-ის მიმართ პასუხისმგებელ სუბიექტს. განსხვავებული აზრის შემაჯამებელი დასკვნა მასზე, რომ არასაკმარისი მტკიცებულებების პირობებში, ნ-ზ რ-ე არ შეიძლება მიჩნეულ იქნეს ე-რ ახ-სა და ზ-ლ მა-ნ სამართალურთიერთობაში მსესხებლად, ავტომატურად არ ნიშნავს იმას, რომ ამით დგინდება ამხანაგობა „ჩ--“ და ნ-რ დ-ის უპირობო პასუხისმგებლობა. საგულისხმოა, რომ სამოქალაქო სამართალურთიერთობებში მხოლოდ მხარეთა მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებები ქმნის

სარჩელის დაკმაყოფილების წინაპირობას. შესაბამისად, ნ-ზ რ-ს პასუხისმგებლობის გამორიცხვა, არ ნიშნავს ავტომატურად ამხანაგობა „ჩ--“ და ნ-რ დ-ის პასუხისმგებლობას. ამგვარი პასუხისმგებლობის დადგენა ცალკე სასარჩელო წარმოების საგანი შეიძლება გახდეს და მხოლოდ მტკიცებულებათა ერთობლიობით შეიძლება დადგინდეს.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, კიდევ ერთხელ გამოვხატავ პალატის მიერ მიღებული გადაწყვეტილების მიმართ ღრმა პატივისცემას, თუმცა, მიმაჩნია, რომ ზ-ლ მ-სა და ე-რ ა-ის სარჩელი ნ-ზ რ-ს მიმართ არ უნდა დაკმაყოფილდეს და უცვლელად უნდა დარჩეს თბილისის საქალაქო სასამართლოს 2013 წლის 17 ივლისის გადაწყვეტილება.

მოსამართლე

ქეთევან მესხიშვილი



საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

ქ თბილისი № 1/197

“ 23 ” თებერვალი 2014 წ.

ბ ა დ ა ნ ი ს ტ რ ა ტ ი ვ ე რ ა ტ ი ა

ქ. მესხიშვილის თბილისის სააპელაციო სასამართლოს მოსამართლედ დანიშვნის შესახებ

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 37-ე მუხლის შესაბამისად, ქეთევან მესხიშვილი გათავისუფლდეს სოხუმისა და გაგრა-გუდაუთის რაიონული სასამართლოს მოსამართლის თანამდებობიდან და თავისი სამოსამართლო უფლებამოსილების ვადის ფარგლებში დაინიშნოს თბილისის სააპელაციო სასამართლოს მოსამართლედ, 2012 წლის 1 იანვრიდან.

კონსტანტინე კუბლაშვილი  
საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე  
საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე



საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

ქ. თბილისი № 1/235

„29“ ნოემბერი 2010წ

გ ა ღ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

ქ. მესხიშვილის სოხუმისა და გაგრა-გუდაუთის რაიონული სასამართლოს მოსამართლედ დანიშვნის შესახებ

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 34-ე მუხლის პირველი პუნქტისა და 36-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, დაინიშნოს ქეთევან მესხიშვილი სოხუმისა და გაგრა-გუდაუთის რაიონული სასამართლოს მოსამართლედ, 2010 წლის 1 დეკემბრიდან.

კონსტანტინე კუბლაშვილი  
საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე  
საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე



საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

ქ. თბილისი № 1/236

29 ნოემბერი 2010წ.

ბ ა დ ა ნ ი ს უ მ ი ტ ი ლ ე ბ ა

სოხუმისა და გაგრა-გუდაუთის რაიონული სასამართლოს მოსამართლე ქ. მესხიშვილის თბილისის სააპელაციო სასამართლოში მივლინების შესახებ

„საერთო სასამართლოებში საქმეთა განაწილებისა და უფლებამოსილების სხვა მოსამართლისათვის დაკისრების წესის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, 2010 წლის 1 დეკემბრიდან:

1. სოხუმისა და გაგრა-გუდაუთის რაიონული სასამართლოს მოსამართლე ქეთევან მესხიშვილი მივლინებულ იქნას თბილისის სააპელაციო სასამართლოში მოსამართლის უფლებამოსილების განსახორციელებლად.

2. ქეთევან მესხიშვილმა, საჭიროების შემთხვევაში, იმავდროულად სამოსამართლო უფლებამოსილება განახორციელოს სოხუმისა და გაგრა-გუდაუთის რაიონულ სასამართლოში.

ვალერი ცერცვაძე  
საქართველოს იუსტიციის  
უმაღლესი საბჭოს მდივანი

სტატისტიკური ინფორმაცია თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა  
პალატის მოსამართლის ქეთევან მესხიშვილის საქმიანობის შესახებ

(2017 წლის 1 ნოემბერი - 2020 წლის 1 ნოემბერი)

**I განხილულ საქმეთა რაოდენობა**

საანგარიშო პერიოდში<sup>1</sup> ქეთევან მესხიშვილის წარმოებაში არსებულ სააპელაციო საჩივრების რაოდენობამ შეადგინა 476. არსებული 476 საქმიდან მოსამართლემ დაასრულა 409, დასრულებულ საქმეთაგან 247 დასრულდა გადაწყვეტილების გამოტანით, 126 - გადაწყვეტილების გამოტანის გარეშე, 31 მორიგების პირობების დამტკიცებით და 5 დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანით; საანგარიშო პერიოდის ბოლოს მოსამართლის ნაშთად დარჩენილ საქმეთა რაოდენობამ შეადგინა 67.

გარდა აღნიშნულისა, საანგარიშო პერიოდში მოსამართლეს წარმოებაში ჰქონდა 270 კერძო საჩივარი, საიდანაც განიხილა 264 და ნაშთად დარჩა 6; ასევე 191 არბიტრაჟთან დაკავშირებული საქმე, საიდანაც დაასრულა 190, ხოლო ნაშთად დარჩა 1.

საერთო ჯამში, ქეთევან მესხიშვილის საქმიანობა მოცემულ საანგარიშო პერიოდში უნდა შეფასდეს დადებითად. თუ ავიღებთ ყველა კატეგორიის საქმეს, მოსამართლეს 916 დღეში დასრულებული აქვს 863 საქმე (დღეში საშუალოდ 1 საქმე), რაც კარგი მაჩვენებელია.

**II საქმის განხილვის საპროცესო ვადების დაცვა - ვადის დაცვით 73,8%, ვადის დარღვევით 26,2%**

საანგარიშო პერიოდში მოსამართლე ქეთევან მესხიშვილმა დაასრულა 409 საქმე, საიდანაც 302 საქმე განიხილა საპროცესო ვადის დაცვით, ხოლო 107 ვადის დარღვევით.

**III გადაწყვეტილების მომზადების ვადების დაცვა - ვადის დაცვით 75%, ვადის დარღვევით 25%**

საანგარიშო პერიოდში მოსამართლე ქეთევან მესხიშვილმა გადაწყვეტილება მოამზადა 364 საქმეზე, 273 მათგანზე ვადის დაცვით და 91 მათგანზე ვადის დარღვევით.


<sup>1</sup> შესაფასებელი საანგარიშო პერიოდი მოიცავს 1095 დღეს, საიდანაც მოსამართლე სამოსამართლო უფლებამოსილებას ახორციელებდა 916 დღის განმავლობაში (73 კ/დ შვებულება და 106 კ/დ მივლინება). შესაბამისად, წარმოდგენილი სტატისტიკური ინფორმაცია ასახავს მოსამართლის საქმიანობას 916 დღის განმავლობაში.

#### IV გასაჩივრებულ გადაწყვეტილებათა სტაბილურობა - უცვლელი 90,2%, შეცვლილი 9,8%

საანგარიშო პერიოდში ზემდგომ ინსტანციაში გასაჩივრებულ იქნა მოსამართლე ქეთევან მესხიშვილის მიერ განხილული 118 საქმე, საიდანაც 27 დატოვებული იქნა განუხილველად; 68 ცნობილ იქნა დაუშვებლად; 8 დარჩა უცვლელი, 5 გაუქმდა და დაუბრუნდა სასამართლოს ხელახალი განხილვისთვის, 2 შეწყდა, 2 დამთავრდა მორიგებით, 6 გაუქმდა; აგრეთვე 45 კერძო საჩივარი, საიდანაც 1 დაკმაყოფილდა, ხოლო 44 დარჩა უცვლელი.

სასამართლო მენეჯმენტის დეპარტამენტის თავმჯდომარე

ირაკლი გოცირიძე



<sup>1</sup> <sup>1</sup> შენიშვნა: გასაჩივრებულ გადაწყვეტილებათა სტაბილურობის მაჩვენებლები შესაძლოა არ დაემთხვეს უშუალოდ შესაფასებელი მოსამართლის „ამოსარჩევ საქმეთა ნუსხაში“ მითითებულ მონაცემებს შემდეგ მიზეზთა გამო:

1. შეცვლილი ან გაუქმებული გადაწყვეტილება საანგარიშო პერიოდის მიღმაა;
2. ზედა ინსტანციის ინფორმაცია ქვედა ინსტანციის სასამართლოს კანცელარიას არ აქვს მიღებული;
3. სააპელაციო სასამართლოს მიერ უცვლელად დატოვებული ან შეცვლილი გადაწყვეტილება გასაჩივრდა უზენაეს სასამართლოში.



# სამართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

№ 2078-03

„16“ 08 2005 წ.

## ც ნ ო ბ ა

ედლევა ქეთევან მესხიშვილს მასზედ, რომ მან 2005 წლის 18 ივნისს ჩააბარა მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდა სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართლის სპეციალიზაციაში.



გუგულიკო ორთოიძე

საკვალიფიკაციო გამოცდების ორგანიზებისა და  
საკადრო საკითხთა განყოფილების უფროსი

## 6. იუსტიციის უმაღლესი სკოლის კურსდამთავრებული – ქეთევან მესხიშვილი

ქეთევან მესხიშვილი არის დისციპლინირებული, სტაჟირების გავლის პერიოდში იცავდა ეთიკური ქცევის წესებს. სასწავლო კურსის გავლის პერიოდში მის მიმართ არ გამოყენებულა დისციპლინური პასუხისმგებლობის ღონისძიება.

პიროვნული თვისებებით იგი ხასიათდება, როგორც კომუნიკაბელური, მიზანდასახული, შრომისმოყვარე და მაღალი პასუხისმგებლობის მქონე.

პროფესიული უნარ-ჩვევების განვითარების კუთხით გამოავლინა ანალიტიკური და ლოგიკური აზროვნების უნარი.

სისხლის სამართლის დარგში სტაჟირების გავლისას გამოავლინა საფუძვლიანი თეორიული ცოდნა, თუმცა, ეფექტურად ვერ შეძლო მისი პრაქტიკულ საქმიანობაში გამოყენება. ზედმეტად ჰუმანურობიდან გამომდინარე, პირის მსჯავრდების საკითხებთან დაკავშირებით იღებდა არასწორ გადაწყვეტილებებს.

სამოქალაქო სამართლის დარგში მიცემულ დავალებებს ასრულებდა ხარისხიანად და მაქსიმალურად მცირე დროში. ამ დარგში გაცნობილია სასამართლო პრაქტიკას. ამომწურავად განსაზღვრავდა საქმეზე დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს და მათ აძლევდა სწორ სამართლებრივ შეფასებას. იგივე შეილება ითქვას ადმინისტრაციულ დარგზეც.

მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდაში მიღებული ქულა – 69,5

თეორიულ გამოცდაში მიღებული ქულა – 96

სტაჟირების გავლისას მიღებული ქულა – 86,04

სკოლის დამამთავრებელი გამოცდის ქულა – 90

რიგითი ნომერი საკვალიფიკაციო სიაში – მეორე

### შ ე ფ ა ს ე ბ ა:

„იუსტიციის უმაღლესი სკოლის შესახებ“ საქართველოს კანონის 31-ე მუხლის საფუძველზე, შეფასების ყველა კრიტერიუმის შეჯერების შედეგად, იუსტიციის უმაღლესი სკოლის დამოუკიდებელი საბჭო მიიჩნევს, რომ ქეთევან მესხიშვილი აკმაყოფილებს მოსამართლის თანამდებობის დასაკავებლად კანონმდებლობით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეების შერჩევის პროცესში ქეთევან  
მესხიშვილის კანდიდატურის მხარდაჭერის

წერილი

საქართველოს დემოკრატიული და თავისუფალი სახელმწიფოს ჩამოყალიბების პროცესში დამოუკიდებელი სასამართლოს განვითარება კვლავ მნიშვნელოვან გამოწვევად რჩება, დამოუკიდებელ სასამართლოს კი პირველ რიგში დამოუკიდებელი მოსამართლეები ქმნიან.

რადგან გვჯერა, რომ სამართლებრივი სახელმწიფოს შექმნა მხოლოდ სათანადო პროფესიული ცოდნის და პიროვნული თვისებების მქონე გამორჩეულ იურისტებს შეუძლიათ, ვფიქრობთ, რომ ერთ-ერთი ასეთი მოსამართლე პროფესორი ქეთევან მესხიშვილია.

ქალბატონი ქეთევანი მისი მოღვაწეობის შედეგად კოლეგებს შორის ცნობილია როგორც გამორჩეულად დამოუკიდებელი, მაღალი პროფესიული და ეთიკური სტანდარტის მქონე მოსამართლე და კეთილსინდისიერი ადამიანი.

ქალბატონი ქეთევან მესხიშვილი მოსამართლეობის პარალელურად თბილისის თავისუფალ უნივერსიტეტის პროფესორია 2014 წლიდან და კერძო სამართალს ასწავლის და იკვლევს. ის არაერთი აკადემიური ნაშრომის და მონოგრაფიის ავტორია და ახალგაზრდა იურისტების, ადვოკატების და მოსამართლეების პროფესიული განათლების კურსებსაც უძღვება. ასევე, სისტემატიურად მონაწილეობს უნივერსიტეტში არსებული ბიზნესის სამართლის ეროვნული ცენტრის სამეცნიერო კონფერენციებსა და კვლევით პროექტებში.

ჩვენი თვალსაზრით, დემოკრატიულ სახელმწიფოში მოსამართლეს ორი მნიშვნელოვანი ფუნქცია აკისრია. პირველი სამართლის სისტემის თანმიმდევრულობის შენარჩუნებაა, რაც ხელს უწყობს საზოგადოების და სამართლის სისტემის ინტეგრაციას. ეს არის მოქალაქეების პრობლემების სამართლებრივი გადაჭრის პროცესი, სადაც მოსამართლე კანონების ნორმებს განმარტავს და მისი განმარტებებით სამართლის სისტემას გასაგები და თანმიმდევრული წესების ერთიანობად წარმოაჩენს. მეორე ფუნქცია კი კონსტიტუციის და დემოკრატიის დაცვაა. სადაც მოსამართლემ, რომელიც ხელისუფლების სასამართლო შტოს წარმოადგენს, ადამიანის უფლებების და კონსტიტუციური მმართველობის პრინციპების დაცვისთვის კონსტიტუციით მინიჭებული უფლებამოსილება უნდა გამოიყენოს. მოსამართლის საქმიანობაში ეს ორივე ფუნქცია გაერთიანებულია. ამ ორივე ამოცანას ქალბატონი ქეთევან მესხიშვილი წარმატებით ასრულებს თბილისის სააპელაციო სასამართლოში და მისი პროფესიული საქმიანობის და პიროვნული თვისებების გათვალისწინებით დარწმუნებულები ვართ, რომ წარმატებით შეასრულებს საქართველოს უზენაეს სასამართლოში, თუ კი მას ამის შესაძლებლობა მიეცემა.

1738

ამიტომ ხელმომწერი ორგანიზაციები რეკომენდაციას ვუწევთ ქალბატონი ქეთევან მესხიშვილის კანდიდატურას საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობის დასაკავებლად.

თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის რექტორი


საქართველოს უნივერსიტეტის რექტორი

საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის რექტორი

ნიუ-ვიჟენ უნივერსიტეტის რექტორი

კავკასიის უნივერსიტეტის რექტორი

სულხან საბა ორბელიანის უნივერსიტეტის რექტორი



Handwritten signatures and names of the listed rectors, including names like 'მ. მამუკაძე', 'მ. მჭედია', and 'მ. მელიქიძე'.


საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისათვის წარსადგენი სამოსამართლო გამოცდილების მქონე მოსამართლეობის კანდიდატის შეფასების ფორმა

მოსამართლეობის კანდიდატის ქეთევან მესხიშვილის შეფასების შედეგი:

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით		
მოსამართლეობის კანდიდატი არ აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	<input type="checkbox"/>	
მოსამართლეობის კანდიდატი აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	<input type="checkbox"/>	
მოსამართლეობის კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	<input checked="" type="checkbox"/>	
მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით		
კრიტერიუმი	მიღებული ქულა	მაქსიმალური ქულა
სამართლის ნორმების ცოდნა	18	20
სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია	19	20
წერის უნარი	20	20
ზეპირი კომუნიკაციის უნარი	14	15
პროფესიული თვისებები, მათ შორის, ქცევა სასამართლო დარბაზში	14	15
აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა	5	5
პროფესიული აქტივობები	5	5
ქულათა ჯამი	95	100

სახელი, გვარი: თეა ლეონიძე

თარიღი: 28.05.2021

თ. 

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატთა შესარჩევ  
პროცედურაში მონაწილე კანდიდატის

ქეთევან მესხიშვილის

შეფასების დასაბუთება

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 34<sup>1</sup>, 36<sup>3</sup>, 36<sup>4</sup> მუხლის მე-8 ნაწილის საფუძველზე განვახორციელებ კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების მახასიათებლების და კომპეტენტურობის მახასიათებლების გათვალისწინებით. ჩემი შეფასება ეფუძნება კანდიდატის მიერ წარმოდგენილ და იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ მოძიებულ ინფორმაციას, ასევე საჯარო მოსმენის შედეგად მიღებულ მონაცემებს.

**ზოგადი ინფორმაცია კანდიდატზე:** ქეთევან მესხიშვილი - დაბადებული: 1981 წლის 5 დეკემბერს, უმაღლესი იურიდიული განათლებით, მაგისტრთან გათანაბრებული თსუ, მინიჭებული აქვს დოქტორის აკადემიური ხარისხი 2010 წელი საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მოსამართლე, სპეციალობით მუშაობის გამოცდილება 15 წელი, მათ შორის მოსამართლედ მუშაობის გამოცდილება 10 წელი.

**მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით:**

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 35<sup>1</sup> მუხლის მე-15 ნაწილის თანახმად კეთილსინდისიერების კრიტერიუმით მოსამართლეობის კანდიდატის შეფასებისას გაითვალისწინება ამ მუხლით განსაზღვრული კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მახასიათებლები. ამ მახასიათებლების ანალიზისა და შეჯერების შედეგად ვიღებ ერთ-ერთ დასკვნას:

- ა) მოსამართლეობის კანდიდატი არ აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს;
- ბ) მოსამართლეობის კანდიდატი აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს;
- გ) მოსამართლეობის კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს;

**1. პიროვნული კეთილსინდისიერება და პროფესიული სინდისი:**

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 36<sup>3</sup> მუხლის მესამე პუნქტის თანახმად პიროვნული კეთილსინდისიერებისა და პროფესიული სინდისის მახასიათებლით მოსამართლის შეფასებისას გაითვალისწინება პირის - როგორც მოსამართლისა და მოქალაქის - პატიოსნება, კეთილსინდისიერება, მოვალეობებისა და პასუხისმგებლობის შესაბამისი შეგნება, სიმართლისმოყვარეობა, გამჭვირვალობა კორექტულობა და სიზუსტე სამსახურებრივი თუ სხვა მოვალეობების, ფინანსური თუ სხვა ვალდებულებების შესრულებისას (მაგალითად, ქონებრივი დეკლარაციის შევსებისას, ბანკის ან სხვა ვალის, კომუნალური ან სხვა გადასახადის გადახდისას, საგზაო მოძრაობის წესების დარღვევისათვის ჯარიმის გადახდისას) და სხვა.

კანდიდატის მიერ წარმოდგენილი და იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ მოძიებული ინფორმაციის, ასევე საჯარო მოსმენის შედეგად მიღებული მონაცემების საფუძველზე დგინდება, რომ კანდიდატი ქეთევან მესხიშვილს აქვს დადებითი საკრედიტო ისტორია, მცირედი ჯარიმებით, სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართ დავალიანება არ ერიცხება, ქეთევან მესხიშვილის მიმართ არ დაწყებული დისციპლინური დევნა, რეკომენდატორები გამოარჩევენ კანდიდატის გულისხმიერებას, კომუნიკაბელურობას.

აღნიშნულიდან გამომდინარე, მივიჩნევ, რომ კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს ამ მახასიათებელს.

## **2. დამოუკიდებლობა, მიუკერძოებლობა და სამართლიანობა:**

დამოუკიდებლობის, მიუკერძოებლობისა და სამართლიანობის მახასიათებლით მოსამართლის შეფასებისას გაითვალისწინება მისი პრინციპულობა, გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღების უნარი და ზეგავლენის მიმართ მედეგობა, პიროვნული სიმყარე და შეუვალობა, პოლიტიკური ან სხვა ნიშნით მიუკერძოებლობა, სამართლიანობა და სხვა.

მოპოვებული მონაცემებით დგინდება, რომ კანდიდატი ქეთევან მესხიშვილი არ ყოფილა არცერთი პოლიტიკური პარტიის წევრი, მხარდამჭერი ან შემომწირველი, მის მიერ განხილულ იქნა საქმე, რომელიც მოექცა მედიის ყურადღების ქვეშ. რეკომენდატორები გამოთქვამენ მოსაზრებებს კანდიდატის სამართლიანობის, მიუკერძოებლობის და დამოუკიდებლობის შესახებ.

შესაბამისად, მივიჩნევ, რომ კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს ამ მახასიათებელს.

## **3. პიროვნული და პროფესიული ქცევა:**

პიროვნული და პროფესიული ქცევის მახასიათებლით მოსამართლის შეფასებისას გაითვალისწინება მის მიერ სამოსამართლო ეთიკის დაცვა, მისი კორექტულობა კოლეგებთან და სხვა პირებთან ურთიერთობისას, მოსამართლის მაღალი წოდების შესაბამისი ქცევა და იმიჯი, თავდაჭერილობა, საკუთარი ემოციების მართვის უნარი, ქცევა მის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების მიმდინარეობისას, მხარედ მისი მონაწილეობით სასამართლოში წარმართული დავები, მის წინააღმდეგ სისხლისსამართლებრივი ბრალდებების არსებობა და სხვა.

მონაცემების მიხედვით, კანდიდატი - ქეთევან მესხიშვილი იყო მოპასუხე მხარე ადმინისტრაციულ საქმეზე. კანდიდატი დაზარალებულად არ ყოფილა ცნობილი. არ მოიპოვება რაიმე ინფორმაცია სასამართლოში დავის წარმართვისას მისი მხრიდან რაიმე არაკორექტული ან მოსამართლის მაღალი წოდებისათვის შეუსაბამო ქცევის შესახებ. მისი გარეგნული იერსახე სრულად შეესაბამება მოსამართლის მაღალ თანამდებობას.

შესაბამისად, მივიჩნევ, რომ კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს ამ მახასიათებელს.

## **4. პიროვნული და პროფესიული რეპუტაცია:**

პიროვნული და პროფესიული რეპუტაციის მახასიათებლით მოსამართლის შეფასებისას გაითვალისწინება მისი საქმიანი და მორალური რეპუტაცია და ავტორიტეტი იურიდიულ

წრებსა და საზოგადოებაში, იურიდიულ წრებთან ურთიერთობის ხასიათი და ხარისხი და სხვა.

კანდიდატი ქეთევან მესხიშვილი ეწევა პედაგოგიურ საქმიანობას, არის არაერთი სახელმძღვანელოს, სტატიისა და სამეცნიერო პუბლიკაციის ავტორი. რეკომენდატორები გამოარჩევენ მის მაღალ პიროვნულ და პროფესიულ ავტორიტეტს.

შესაბამისად, მივიჩნევ, რომ კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს ამ მახასიათებელს.

#### 5. ფინანსური ვალდებულება:

ფინანსური ვალდებულების მახასიათებლით მოსამართლის შეფასებისას გაითვალისწინება ინფორმაცია მისი შემოსავლის წყაროს, აქტივების, საკუთრებაში ან/და სარგებლობაში არსებული ქონების და ამ ქონებისა და შემოსავლის შესაბამისი ვალისა და ვალდებულების შესახებ. ფინანსური ვალდებულების შემოწმების მიზანია, შეფასდეს, არსებობს თუ არა საფუძველი მოსამართლის ქონებრივი ინტერესების მართლმსაჯულების ინტერესებთან დაპირისპირებისა, რამაც შესაძლოა საფრთხე შეუქმნას მოსამართლის მიუკერძოებლობას.

კანდიდატი ქეთევან მესხიშვილს აქვს დადებითი საკრედიტო ისტორია, მცირედი ჯარიმებით, სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართ არ ერიცხება დავალიანება, კანდიდატს საკუთრებაში არ აქვს უძრავი ქონება. კანდიდატის შემოსავლების დაუსაბუთებლობის ან უკანონობის ნიშნები არ გამოვლენილა.

შესაბამისად, მივიჩნევ, რომ კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს ამ მახასიათებელს.

აღნიშნული მახასიათებლების გათვალისწინებით მივიჩნევ, რომ კანდიდატი ქეთევან მესხიშვილი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს.

#### მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის

##### კრიტერიუმის მიხედვით:

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 36<sup>4</sup> მუხლის მე-8 ნაწილის თანახმად, კომპეტენტურობის კრიტერიუმით, მოსამართლეობის კანდიდატი ფასდება ქულებით. კომპეტენტურობის კრიტერიუმის მახასიათებლის მნიშვნელობიდან გამომდინარე თითოეული მახასიათებლის მიხედვით მოსაპოვებელ ქულათა მაქსიმალური რაოდენობაა:

ა) სამართლის ნორმების ცოდნა - 20 ქულა;

ბ) სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია - 20 ქულა;

გ) წერის უნარი - 20 ქულა;

დ) ზეპირი კომუნიკაციის უნარი - 15 ქულა;

ე) პროფესიული თვისებები, მათ შორის, ქცევა სასამართლო დარბაზში - 15 ქულა;

ვ) აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა - 5 ქულა;

ზ) პროფესიული აქტივობა - 5 ქულა.

## 1. სამართლის ნორმების ცოდნა:

სამართლის ნორმების ცოდნის მახასიათებლით მოსამართლის შეფასებისას გაითვალისწინება მატერიალური და საპროცესო კანონმდებლობების, ადამიანის უფლებების სამართლის, მათ შორის, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის, ცოდნის დონე. ამ მახასიათებლით მოსამართლის შეფასების მიზნით შემფასებელი ითვალისწინებს მოსამართლის მიერ განხილულ საქმეებზე გამოტანილ გადაწყვეტილებებში სამართლის ნორმების, მათ შორის, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის, გამოყენების სისწორეს. აღნიშნული მახასიათებლით მოსამართლის შესაფასებლად შემფასებელი აგრეთვე გამოითხოვს მოსამართლის მიერ ჩაბარებული მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდის შედეგებს და იუსტიციის უმაღლესი სკოლის დამოუკიდებელი საბჭოს შეფასებას.

კანდიდატის მიერ წარმოდგენილი და იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ მოპოვებულ მონაცემებზე დაყრდნობით შეიძლება ითქვას, რომ კანდიდატი ქეთევან მესხიშვილი სრულყოფილად ფლობს საქართველოს სამოქალაქო სამართლის როგორც მატერიალურ, ისე საპროცესო კანონმდებლობას. ქეთევან მესხიშვილს ჩაბარებული აქვს მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდა, მინიჭებული აქვს დოქტორის აკადემიური ხარისხი, არის ავტორი სახელმძღვანელოებისა „კერძო სამართლის აქტუალური საკითხები“; „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლება“; თანაავტორი საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარისა; „ურთიერთობები სასამართლო სხდომის დარბაზში“ და სხვა.

კანდიდატის მიერ წარმოდგენილ იქნა თბილისის სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებანი ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების თაობაზე, ბრძანების ბათილად ცნობის და სამუშაოზე აღდგენის თაობაზე. გადაწყვეტილებათა გაცნობის შედეგად ირკვევა, რომ აპელანტის და მოწინააღმდეგე მხარის მოთხოვნები გადმოცემულია სრულყოფილად.

კანდიდატის მიერ ასევე წარმოდგენილია პუბლიკაცია „დიფამაცია ქართული და ევროპული პრაქტიკის მიხედვით“.

კანდიდატ ქეთევან მესხიშვილის მიერ სამართლის ნორმების ცოდნის შესაფასებლად ასევე ვიხელმძღვანელებ სტატისტიკური მონაცემებით ზემდგომი ინსტანციის სასამართლოში გადაწყვეტილებების სტაბილურობის თაობაზე, რაც შეადგენს - 90,2 %;

აღნიშნულის გათვალისწინებით კანდიდატ ქეთევან მესხიშვილს სამართლის ნორმების ცოდნას ვაფასებ 18 ქულით.

## 2. სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია:

სამართლებრივი დასაბუთების უნარისა და კომპეტენციის მახასიათებლით მოსამართლის შეფასებისას გაითვალისწინება მის მიერ განხილულ საქმეებზე მიღებული გადაწყვეტილებების დასაბუთებულობა და დამაჯერებლობა, მოსამართლის ანალიტიკური აზროვნების უნარი და პროფესიული გამოცდილება.

კანდიდატს გააჩნია მრავალწლიანი პროფესიული გამოცდილება, მისი გადაწყვეტილებები გამოირჩევა დასაბუთების მაღალი ხარისხით. საგულისხმოა, რომ კანდიდატს შეუძლია

სამართლებრივი პრობლემის არსის სწორად დანახვა, ძირითად საკითხებზე კონცენტრირება და მისი ანალიზი. მის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებში განსაკუთრებით გამოვარჩევი უნარს სამართლებრივი პრობლემის ყოველმხრივ წარმოჩენის და შეფასების. კანდიდატის გადაწყვეტილებებში ევროსასამართლოს და უზენაესი სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებები მოხსენებულია საჭიროებისამებრ და არ არის გადატვირთული. კანდიდატის გასაუბრების მიმდინარეობისას მის მიერ გაცემული პასუხები იყო დასაბუთებული, თუმცა გასაუბრებისას შეკითხვაზე, მეუღლეთა ქონებრივ უფლებებთან დაკავშირებით, გამოიკვეთა, რომ კანდიდატი დასაშვებად მიიჩნევს ნორმის იმდაგვარად განმარტებას, რაც საჭიროებს საკანონმდებლო ცვლილებას.

აღნიშნულის გათვალისწინებით კანდიდატ ქეთევან მესხიშვილის სამართლებრივი დასაბუთების უნარს და კომპეტენციას ვაფასებ 19 ქულით.

### 3. წერის უნარი:

წერის უნარის მახასიათებლით მოსამართლის შეფასებისას გაითვალისწინება აზრის ნათლად და გასაგებად გადმოცემის, ლოგიკური მსჯელობისა და ანალიზის უნარი.

კანდიდატის მიერ წარმოდგენილი გადაწყვეტილებების გაცნობის შემდეგ, ვასკენი, რომ აზრს ნათლად და გასაგებად გადმოსცემს, სასვენი ნიშნები გამოყენებულია სწორად. გადაწყვეტილება სტრუქტურულად აგებულია კანონის მოთხოვნათა დაცვით.

აღნიშნულის გათვალისწინებით კანდიდატ ქეთევან მესხიშვილის წერის უნარს ვაფასებ 20 ქულით.

### 4. ზეპირი კომუნიკაციის უნარი:

ზეპირი კომუნიკაციის უნარის მახასიათებლით მოსამართლის შეფასებისას გაითვალისწინება გამართული მეტყველების უნარი, სხვისი აზრის მოთმინებით მოსმენის უნარი, ღიაობა, განსხვავებული აზრის მოსმენის შესაძლებლობა და სხვა.

ზეპირი კომუნიკაციის უნარის შეფასებისას მხედველობაში მივიღე კანდიდატის გასაუბრება, გასაუბრების მიმდინარეობისას კანდიდატი ძირითად შემთხვევებში ინარჩუნებდა სიმშვიდეს, აზრს გადმოსცემდა გასაგებად. იძლეოდა განსხვავებული აზრის მოსმენის შესაძლებლობას.

აღნიშნულის გათვალისწინებით კანდიდატ ქეთევან მესხიშვილის ზეპირი კომუნიკაციის უნარს ვაფასებ 14 ქულით.

### 5. პროფესიული თვისებები, მათ შორის, ქცევა სასამართლო დარბაზში:

პროფესიული თვისებების, მათ შორის, სასამართლო დარბაზში ქცევის, მახასიათებლით მოსამართლის შეფასებისას გაითვალისწინება მისი პუნქტუალურობა, საქმის ჯეროვნად და პასუხისმგებლობით მომზადება, ქცევა სასამართლო დარბაზში და სასამართლო სხდომის სათანადოდ წარმართვის უნარი, ქცევა მხარეებთან ურთიერთობისას, გულმოდგინება და შრომისმოყვარეობა, გადაწყვეტილების დაუხმარებლად მიღებისა და დამოუკიდებელი აზროვნების უნარი, სტრესულ სიტუაციაში მუშაობის უნარი, მიზანდასახულობა,

პროდუქტიულობა და სისწრაფე, საპროცესო ვადების დაცვა, მენეჯერული უნარ-ჩვევები და სხვა.

მოპოვებული ინფორმაციის თანახმად კანდიდატ ქეთევან მესხიშვილის მონაცემებში საქმის განხილვის საპროცესო ვადები, გადაწყვეტილების მომზადების ვადები ძირითადად დაცულია. გასაუბრებისას გამოიკვეთა კანდიდატის დამოუკიდებელი აზროვნების უნარი, მიზანდასახულობა, სტრესულ სიტუაციაში მუშაობის უნარი.

აღნიშნულის გათვალისწინებით კანდიდატ ქეთევან მესხიშვილის პროფესიულ თვისებებს, მათ შორის, ქცევას სასამართლო დარბაზში ვაფასებ 14 ქულით.

#### 6. აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა:

აკადემიური მიღწევებისა და პროფესიული წვრთნის მახასიათებლით მოსამართლის შეფასებისას გაითვალისწინება სიახლეების მიმართ მისი ღიაობა, თვითგანვითარების უნარი, საოფისე კულტურა, ახალი ცოდნისა და უნარების შეძენის ინტერესი, პროფესიული წვრთნის პროგრამებში მონაწილეობა, შეძენილი ცოდნისა და უნარების პრაქტიკულ საქმიანობაში გამოყენება და სხვა.

კანდიდატ ქეთევან მესხიშვილს მინიჭებული აქვს დოქტორის აკადემიური ხარისხი, მონაწილეობა აქვს მიღებული არაერთ ტრენინგსა და სასწავლო კურსში, მათ შორის: შრომის სამართლის საერთაშორისო სტანდარტები, მომხმარებელთა უფლებები ევროკავშირის სამართლის მიხედვით - ევროპის მოსამართლეთა სასწავლო ქსელი, სამოქალაქო სამართლის აქტუალური საკითხები - სასამართლო (გერმანია. დრეზდენი), დისტანციური სწავლების მეთოდოლოგია, ხორვატიის სამოსამართლო სწავლების ცენტრი, ბუნდოვანი სამოქალაქო სამართლებრივი საკითხების ანალიზი გერმანული პერსპექტივით - დრეზდენის უმაღლესი სამხარეო სასამართლო - სტაჟირება, ადამიანის უფლებათა სტანდარტები ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს პრაქტიკის მიხედვით, სამეწარმეო სამართალი, ინტელექტუალური სამართალი და სასამართლო პრაქტიკა, სამოსამართლო ეთიკა, ბავშვზე ზრუნვისა და კეთილდღეობის სამართლებრივი ასპექტები და სხვა.

აღნიშნულიდან გამომდინარე მივიჩნევ, რომ კანდიდატი პრაქტიკულ საქმიანობას უთავსებს ახალი ცოდნისა და უნარების შეძენას, რაც ხელს უწყობს კვალიფიკაციის ამაღლებაში.

აღნიშნულის გათვალისწინებით კანდიდატ ქეთევან მესხიშვილს აკადემიურ მიღწევებს და პროფესიულ წვრთნას ვაფასებ 5 ქულით.

#### 7. პროფესიული აქტივობა:

პროფესიული აქტივობის მახასიათებლით მოსამართლის შეფასებისას გაითვალისწინება სამართლებრივი სისტემისა და მართლმსაჯულების საკითხებზე სხვადასხვა ფორმატის დისკუსიებში, შეხვედრებსა და სემინარებში მისი მონაწილეობა, საკუთარი პოზიციისა და შეხედულებების ღიად და თავისუფლად გამოხატვა, ინიციატივის გამოჩენის უნარი, იდეებისა და წინადადებების წამოყენება, სამეცნიერო და სხვა სახის პუბლიკაციები, დამსახურება იურიდიული პროფესიისა და საზოგადოების წინაშე და სხვა.

კანდიდატი ქეთევან მესხიშვილი ეწევა პედაგოგიურ საქმიანობას კერძოდ, დღემდე არის იუსტიციის უმაღლესი სკოლის მასწავლებელი და თავისუფალი უნივერსიტეტის სრული პროფესორი კერძო სამართლის მიმართულებით. ქეთევან მესხიშვილი არის მოწვეული ექსპერტი (ორგანიზაციები: GIZ, EWMI PROloG, OSGF, CoE, HSOJ, თავისუფალი უნივერსიტეტი და სხვა), უძღვება სემინარებს იუსტიციის უმაღლეს სკოლაში.

ქეთევან მესხიშვილი არის ავტორი შემდეგი პუბლიკაციებისა: „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლება“, თბილისი, 2020; „დიფამაცია“ ქართული და ევროპული სასამართლო პრაქტიკის მიხედვით ჟურნალი ბიზნეს სამართლის მიმოხილვა, 2017 წელი; „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის მცდელობა ქართული და ევროპული პერსპექტივით“ ჟურნალი ბიზნეს სამართლის მიმოხილვა 2017 წელი; „თავდებობის სამართლებრივი ასპექტები, თეორია და სასამართლო პრაქტიკა“ ჟურნალი ბიზნეს სამართლის მიმოხილვა 2017 წელი; „წინასახელშეკრულებო ურთიერთობა, წინარე ხელშეკრულება, ბე, შედარებით სამართლებრივი ანალიზი“ ჟურნალი ბიზნეს სამართლის მიმოხილვა 2017 წელი; „ფარული ჩანაწერი როგორც მტკიცებულება სამოქალაქო სასამართლო სამართალწარმოების ფარგლებში“ ჟურნალი ბიზნეს სამართლის მიმოხილვა 2015 წელი და სხვა.

კანდიდატი ქეთევან მესხიშვილი სახელმძღვანელოს თანაავტორი: შრომის სამართლის სახელმძღვანელო თბილისი 2016 წელი, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარები 2016 წელი, „გადახდის უუნარობის სამართალი“, თბილისი, 2020 წელი და სხვა.

მივიჩნევ, რომ კანდიდატი პროფესიულად არის საკმაოდ აქტიური.

აღნიშნულის გათვალისწინებით კანდიდატ ქეთევან მესხიშვილის პროფესიულ აქტივობას ვაფასებ 5 ქულით.

კანდიდატის საბოლოო შეფასება:

კანდიდატ ქეთევან მესხიშვილს კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით ვანიჭებ 95 ქულას.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი

საბჭოს წევრი თეა ლეონიძე

თარიღი: 28.05.2021

01


საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისათვის წარსადგენი სამოსამართლო გამოცდილების მქონე მოსამართლეობის კანდიდატის შეფასების ფორმა

მოსამართლეობის კანდიდატი ქეთევან მესხიშვილის შეფასების შედეგი:

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით		
მოსამართლეობის კანდიდატი არ აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	<input type="checkbox"/>	
მოსამართლეობის კანდიდატი აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	<input type="checkbox"/>	
მოსამართლეობის კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	<input checked="" type="checkbox"/>	
მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით		
კრიტერიუმი	მიღებული ქულა	მაქსიმალური ქულა
სამართლის ნორმების ცოდნა	18	20
სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია	20	20
წერის უნარი	20	20
ზეპირი კომუნიკაციის უნარი	15	15
პროფესიული თვისებები, მათ შორის, ქცევა სასამართლო დარბაზში	13	15
აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა	4	5
პროფესიული აქტივობები	5	5
<b>ქულათა ჯამი</b>	<b>95</b>	<b>100</b>

სახელი, გვარი : ნიკოლოზ მარსაგიშვილი

თარიღი: 28/05-2021 წელი





საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი ნიკოლოზ მარსაგიშვილი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის შესარჩევ კონკურსში მონაწილე კანდიდატის

ქეთევან მესხიშვილის შეფასების დასაბუთება

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის შესარჩევ კონკურსში მონაწილე კანდიდატის ქეთევან მესხიშვილის შეფასების დასაბუთების შედეგის პროცესში ვიხელმძღვანელებ „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 34<sup>1</sup> მუხლის მე-11 პუნქტით დადგენილი წესით.

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით		კომენტარი
მოსამართლეობის კანდიდატი არ აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	<input type="checkbox"/>	კანდიდატი ქეთევან მესხიშვილი გამოირჩევა გაწონასწორებულობით, პრინციპულობით, შეუვალობითა და გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღების უნარით. ამასთან, იგი არის კორექტული, თავშეკავებული და გააჩნია საკუთარი ემოციების მართვისა და სხვისი მოსაზრების მოთმინებით მოსმენის შესაძლებლობა. აღსანიშნავია, რომ კანდიდატს სწორად აქვს გაანალიზებული მისთვის დაკისრებული პასუხისმგებლობა და ცდილობს სამსახურებრივი თუ სხვა სახის
მოსამართლეობის კანდიდატი აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	<input type="checkbox"/>	

<p>მოსამართლეობის კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს</p>	<input checked="" type="checkbox"/>	<p>მოვალეობები მათ შორის ფინანსური ან სხვა ხასიათის ვალდებულებები (ქონებრივი დეკლარაციის შევსება, საგზაო მოძრაობის წესების დარღვევისათვის ჯარიმის გადახდა და სხვ.) შეასრულოს ჯეროვნად. მნიშვნელოვანია, რომ იგი კოლეგებში სარგებლობს კარგი საქმიანი და მორალური რეპუტაციით და გამოკითხული რეკომენდატორები და მასთან პირად თუ სამსახურებრივ ურთიერთობაში მყოფი პირები ქეთევან მესხიშვილს აფასებენ დადებითად. აგრეთვე, მის მიმართ დისციპლინური დევნა არ ყოფილა დაწყებული.</p>	
<p>მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით</p>		<p>კომენტარი</p>	
<p>კრიტერიუმი</p>	<p>მიღებული ქულა</p>	<p>მაქსიმალური ქულა</p>	
<p>სამართლის ნორმების ცოდნა</p>	<p>18</p>	<p>20</p>	<p>ქეთევან მესხიშვილი სამოქალაქო სამართლის მიმართულებით სიღრმისეულად ფლობს მატერიალურ და საპროცესო კანონმდებლობას. ასევე, მასთან გამართული საჯარო მოსმენის შედაგად ნათელი გახდა, რომ კანდიდატი იცნობს ქართული სამართლის ისტორიას, საქართველოს კონსტიტუციის ნორმებსა და საერთაშორისო სამართლებრივ აქტებს. აგრეთვე, იგი სისტემატიურად ეცნობა საქართველოს უზენაესი სასამართლოს პრაქტიკასა და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ სამართალს. აღსანიშნავია, რომ ქეთევან მესხიშვილს ჩაბარებული აქვს მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდა (სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართლის სპეციალიზაცია). იგი იყო საქართველოს იუსტიციის უმაღლესი სკოლის III ჯგუფის მსმენელი და იუსტიციის მსმენელთა საერთო საკვალიფიკაციო სიაში დაიკავა - 48-ე ადგილი.</p>
<p>სამართლებრივი დასაბუთების უნარი და</p>	<p>20</p>	<p>20</p>	<p>კანდიდატს აქვს ხანგრძლივი პროფესიული, მათ შორის,</p>

<b>კომპეტენცია</b>			მოსამართლის თანამდებობაზე მუშაობის 10-წლიანი გამოცდილება. ამასთან, იგი გამოირჩევა არგუმენტირებული მსჯელობითა და დასაბუთების უნარით.
<b>წერის უნარი</b>	20	20	ქეთევან მესხიშვილის მიერ წარმოდგენილი სამართლებრივი დოკუმენტების <sup>1</sup> შესწავლის საფუძველზე შესაძლებელია ითქვას, რომ იგი გამოირჩევა კარგი წერის უნარით. აგრეთვე, კანდიდატი მის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებში ნათლად აანალიზებს ფაქტებსა და სამართლებრივ საკითხებს. მის მიერ მოყვანილი არგუმენტები არის თანმიმდევრული, გასაგები და არაორაზროვანი.
<b>ზეპირი კომუნიკაციის უნარი</b>	15	15	კანდიდატს აქვს გამართული მეტყველების უნარი, იგი ღიად, ნათლად და თავისუფლად გადმოსცემს საკუთარ პოზიციასა და შეხედულებებს.
<b>პროფესიული თვისებები, მათ შორის, ქცევა სასამართლო დარბაზში</b>	13	15	ქეთევან მესხიშვილი გამოირჩევა შრომისმოყვარეობით, მიზანდასახულობით და გააჩნია გადაწყვეტილების დაუხმარებლად მიღებისა და დამოუკიდებელი აზროვნების უნარი. ამასთან, 2017 წლის 1 ნოემბრიდან - 2020 წლის 1 ნოემბერამდე პერიოდში, კანდიდატის წარმოებაში არსებულ საქმეთა განხილვის სტატისტიკური ინფორმაციის თანახმად, დაბალია მის მიერ საპროცესო ვადების დაცვით განხილულ

<sup>1</sup> სასამართლო გადაწყვეტილება: საქმე №28/6095-18, დავის საგანი: ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულება, საქმე №28/6870-13, დავის საგანი: ბრძანების ბათილად ცნობა, სამუშაოზე აღდგენა, სამეცნიერო/სხვა სახის პუბლიკაციები: დიფამაცია ქართული და ევროპული სასამართლო პრაქტიკის მიხედვით, განსხვავებული აზრი საქმეზე №28/5068-13 სესხის ხელშეკრულების პასუხისმგებელი სუბიექტის შესახებ.

			საქმეთა პროცენტული მაჩვენებელი - 73,8%, უცვლელად დატოვებულ გასაჩივრებულ გადაწყვეტილებათა პროცენტული მაჩვენებელი კი შეადგენს - 90,2%-ს.
<b>აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა</b>	4	5	კანდიდატს აქვს თვითგანვითარების, ახალი ცოდნისა და უნარების შეძენის ინტერესი და მონაწილეობას იღებს სხვადასხვა ადგილობრივ თუ საერთაშორისო სემინარში, სასწავლო კურსსა და ტრენინგში.
<b>პროფესიული აქტივობა</b>	5	5	ქეთევან მესხიშვილის პროფესიულ აქტივობასთან დაკავშირებით შესაძლებელია ითქვას, რომ იგი ხშირად იღებს მონაწილეობას მართლმსაჯულების საკითხებზე გამართულ სხვადასხვა ღონისძიებაში. ამასთან, კანდიდატი არაერთ უნივერსიტეტში, ორგანიზაციასა და სასწავლო დაწესებულებაში ეწევა პედაგოგიურ საქმიანობას. აგრეთვე, წარმოადგენს სხვადასხვა სახელმძღვანელოს, სტატიისა თუ სამეცნიერო პუბლიკაციის ავტორს/თანაავტორს.
<b>ქულათა ჯამი</b>	95	100	
<b>დასაბუთება</b>	<p><b>უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მახასიათებლების მიხედვით</b></p> <p>„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის თანახმად, იმის დასადგენად თუ რამდენად აკმაყოფილებს კანდიდატი ქეთევან მესხიშვილი კეთილსინდისიერების კრიტერიუმს, წინამდებარე დასკვნაში წარმოდგენილი და გაანალიზებულია მისი შეფასება აღნიშნული კრიტერიუმის თითოეულ მახასიათებელთან მიმართებით. კერძოდ, პიროვნული კეთილსინდისიერება და პროფესიული სინდისი; დამოუკიდებლობა, მიუკერძოებლობა და სამართლიანობა; პიროვნული და პროფესიული ქცევა; პიროვნული და პროფესიული რეპუტაცია; ფინანსური ვალდებულება.</p>		

აღსანიშნავია, რომ კეთილსინდისიერების კრიტერიუმით ქეთევან მესხიშვილის შეფასება დაეყრდნო კანდიდატების შესახებ მოძიებულ ინფორმაციას, რა დროსაც სხვადასხვა უწყებიდან მოხდა მის შესახებ შემდეგი სახის ინფორმაციის გამოთხოვა: საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროდან მონაცემები ადმინისტრაციული სამართალდარღვევების შესახებ, სს „კრედიტინფო საქართველოდან“ სრული პერსონალური საკრედიტო ინფორმაცია, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურიდან ცნობა შემოსავლების შესახებ, საჯარო სამსახურის ბიუროდან ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაცია, კანდიდატის სამუშაო ადგილიდან ინფორმაცია დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ, ქეთევან მესხიშვილის დახასიათების მიზნით მასთან სამსახურებრივ და პირად ურთიერთობაში მყოფი პირებისგან შევსებული სპეციალური ფორმის რეკომენდაციები, კითხვარები და სხვ. ამასთან, მნიშვნელოვანია, აღინიშნოს ისიც, რომ ქეთევან მესხიშვილის შეფასებისას გათვალისწინებულ იქნა მის მიერ განაცხადის შევსებისას მითითებული ინფორმაცია და საჯარო მოსმენისას კანდიდატის მხრიდან გამოვლენილი სხვადასხვა თვისებები, მახასიათებლები და სხვ.

ზემოაღნიშნულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, კანდიდატთან დაკავშირებით პიროვნული კეთილსინდისიერებისა და პროფესიული სინდისის მახასიათებლის თაობაზე შესაძლებელია ითქვას, რომ ქეთევან მესხიშვილის პირად თვისებებს რეკომენდატორები და გამოკითხული პირები, რომლებიც კარგად იცნობენ კანდიდატს და მასთან აქვთ სამსახურებრივი თუ პირადი ხასიათის ურთიერთობა, აფასებენ დადებითად. ამასთან, რეკომენდატორები აღნიშნავენ, რომ იგი გამოირჩევა გულისხმიერებით, კეთილსინდისიერებითა და კომუნიკაბელურობით. უნდა აღინიშნოს, ისიც, რომ კანდიდატი საჯარო მოსმენაზე გამოირჩეოდა გაწონასწორებულობითა და კორექტულობით. მნიშვნელოვანია, რომ ქეთევან მესხიშვილს გააჩნია მოვალეობებისა და პასუხისმგებლობის შესაბამისი შეგნება და სამსახურებრივ თუ სხვა სახის მოვალეობებს, მათ შორის, ფინანსურ ან სხვა ხასიათის ვალდებულებებს (ქონებრივი დეკლარაციის შევსება, საგზაო მოძრაობის წესების დარღვევისათვის ჯარიმის გადახდა და სხვ.) უმეტესად ასრულებს ჯეროვნად. ეს ყველაფერი კი ცხადყოფს, რომ კანდიდატს სწორად აქვს შეგნებული და გაანალიზებული პირადი და პროფესიული მოვალეობები.

რაც შეეხება დამოუკიდებლობის, მიუკერძოებლობისა და სამართლიანობის მახასიათებელს, მოძიებული ინფორმაციის საფუძველზე შესაძლებელია ითქვას, რომ ქეთევან მესხიშვილი არის პიროვნულად მყარი, შეუვალი, ზეგავლენის მიმართ მედეგი და

გააჩნია გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღების უნარი. კანდიდატის დახასიათებისას გამოკითხული რეკომენდატორები უთითებენ, რომ იგი გამოირჩევა დამოუკიდებლობით, მიუკერძოებლობით, პრინციპულობითა და პიროვნული სიმტკიცით. რაც შეეხება, მის პოლიტიკურ ან სხვა ნიშნით მიუკერძოებლობის საკითხს, ამის თაობაზე შესაძლებელია ითქვას, რომ კანდიდატი არ ყოფილა არცერთი პოლიტიკური პარტიის წევრი/მხარდამჭერი, შემომწირველი და საჯარო მოსმენაზეც მისი მხრიდან არ გამოვლენილა პოლიტიკური ან სხვაგვარი მიკერძოებულობის ნიშნები.

პიროვნული და პროფესიული ქცევის მახასიათებელთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ ქეთევან მესხიშვილმა საჯარო მოსმენაზე სხვადასხვა სამართლებრივ თუ ზოგად საკითხებზე მსჯელობისას გამოავლინა, რომ იგი არის თავდაჭერილი, თავდაჯერებული და გააჩნია საკუთარი ემოციების მართვის უნარი. მნიშვნელოვანია, რომ კანდიდატი იცავს სამოსამართლო ეთიკის წესებს, კოლეგებთან თუ სხვა პირებთან ურთიერთობისას არის კორექტული და გამოირჩევა მოსამართლის მაღალი წოდების შესაბამისი ქცევითა და იმიჯით. ამასთან, რეკომენდატორები მას ახასიათებენ როგორც გაწონასწორებულ და მშვიდ პიროვნებას. აღსანიშნავია, რომ კანდიდატის წინააღმდეგ დისციპლინური დევნა, სისხლისამართლებრივი წარმოება არ დაწყებულა და იგი დაზარალებულად ცნობილი არ ყოფილა. რაც შეეხება ქეთევან მესხიშვილის სასამართლოში წარმართულ დავებში მხარედ მონაწილეობის საკითხს ამის თაობაზე უნდა ითქვას, რომ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სასამართლო მენეჯმენტის დეპარტამენტის მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, კანდიდატი მხარედ/დაზარალებულად წარმოდგენილი იყო ერთ ადმინისტრაციულ საქმეში, დავის საგანს წარმოადგენდა ზიანის ანაზღაურება. თუმცა, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მოსამართლემ 2019 წლის 21 ივნისს მიიღო განჩინება ხარვეზის შეუვსებლობის გამო სარჩელის წარმოებაში მიღებაზე უარის თქმის შესახებ.

პიროვნულ და პროფესიულ რეპუტაციის მახასიათებელს რაც შეეხება, კანდიდატის პიროვნულ თვისებებს, ისევე როგორც მის პროფესიულ მიღწევებს რეკომენდატორები და გამოკითხული პირები აფასებენ დადებითად. ამასთან, ერთ-ერთი რეკომენდატორი აღნიშნავს, რომ ქეთევან მესხიშვილი გამოირჩევა მაღალი პროფესიონალიზმით და იგი სარგებლობს კარგი პიროვნული და პროფესიული ავტორიტეტით. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საზოგადოებასთან და მედიასთან ურთიერთობის მენეჯერის მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, ინტერნეტ სივრცეში კანდიდატის შესახებ ძირითადად

ხელმისაწვდომია ინფორმაცია მის მიერ განხილულ საქმეებთან დაკავშირებით. ასევე, მედიამ გააშუქა მისი მონაწილეობა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მოსამართლეთა შესარჩევ კონკურსში და სხვ. იურიდიულ წრეებთან ურთიერთობის ხასიათთან და ხარისხთან დაკავშირებით კი უნდა ითქვას, რომ კანდიდატი აქტიურად იღებს მონაწილეობას მართლმსაჯულების საკითხებზე გამართულ სხვადასხვა ღონისძიებაში და ეწევა პედაგოგიურ საქმიანობას.

*ფინანსური ვალდებულების მახასიათებლის* შესახებ, შესაძლებელია აღინიშნოს, რომ ქეთევან მესხიშვილს აქვს დადებითი საკრედიტო ისტორია (მცირედი ჯარიმებით) და მას სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართ დავალიანება არ ერიცხება. ამასთან, იგი მეწარმეთა და არასამეწარმეო იურიდიულ პირთა რეესტრში რეგისტრირებული არ არის. ამრიგად, კანდიდატის ფინანსური ვალდებულებების შემოწმების შედეგად, გამოიკვეთა, რომ არ არსებობს მისი ქონებრივი ინტერესების მართლმსაჯულების ინტერესებთან დაპირისპირების საფუძველი, რამაც შესაძლოა შემდგომში საფრთხის ქვეშ დააყენოს მოსამართლის მიუკერძოებლობა.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, დასკვნის სახით, შესაძლებელია ითქვას, რომ ვინაიდან არ გამოკვეთილა ისეთი გარემოება, რომელიც ეჭვქვეშ დააყენებდა კანდიდატის კეთილსინდისიერების საკითხს, მიმაჩნია, რომ იგი სრულად აკმაყოფილებს აღნიშნულ კრიტერიუმს.

**უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მახასიათებლების მიხედვით**

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის თანახმად, კომპეტენტურობის კრიტერიუმის საფუძველზე ქეთევან მესხიშვილის შეფასებისას მხედველობაში იქნა მიღებული აღნიშნული კრიტერიუმის თითოეული მახასიათებელი. კერძოდ, სამართლებრივი ნორმების ცოდნა; სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია; წერის უნარი; ზეპირი კომუნიკაციის უნარი; პროფესიული თვისებები, მათ შორის, ქცევა სასამართლო დარბაზში; აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა; პროფესიული აქტივობა. აღსანიშნავია, რომ კომპეტენტურობის კრიტერიუმით კანდიდატის შეფასება დაეყრდნო კანდიდატის შესახებ მოძიებულ ინფორმაციას, მათ შორის, მის მიერ წარმოდგენილ სამართლებრივ დოკუმენტებს და საჯარო მოსმენის

	<p>შედეგად შექმნილ შთაბეჭდილებას.</p> <p>კანდიდატის მიერ <u>სამართლებრივი ნორმების ცოდნის</u> კუთხით უნდა აღინიშნოს, რომ ქეთევან მესხიშვილი სამოქალაქო სამართლის მიმართულებით სიღრმისეულად ფლობს მატერიალურ და საპროცესო კანონმდებლობას. ასევე, მასთან გამართული საჯარო მოსმენის შედეგად ნათელი გახდა, რომ კანდიდატი იცნობს ქართული სამართლის ისტორიას, საქართველოს კონსტიტუციის ნორმებსა და საერთაშორისო სამართლებრივ აქტებს. აგრეთვე, იგი სისტემატიურად ეცნობა საქართველოს უზენაესი სასამართლოს პრაქტიკასა და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ სამართალს. აღსანიშნავია, რომ კანდიდატს ჩაბარებული აქვს მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდა (სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართლის სპეციალიზაცია). იგი იყო იუსტიციის უმაღლესი სკოლის III ჯგუფის მსმენელი და იუსტიციის მსმენელთა საერთო საკვალიფიკაციო სიაში დაიკავა - 48-ე ადგილი.</p> <p>იუსტიციის უმაღლესი საბჭოს თითოეული წევრის მიერ კანდიდატების შესახებ მოძიებული ინფორმაციის შესწავლის შემდეგ, 2020 წლის 29 დეკემბერს ქეთევან მესხიშვილთან გაიმართა საჯარო მოსმენა.<sup>2</sup> იგი იყო თავდაჯერებული, მშვიდი, პრერეზენტაბელური და გაწონასწორებული. ქეთევან მესხიშვილი სხვადასხვა აქტუალურ და პრობლემურ სამართლებრივ საკითხებზე მსჯელობისას ავლენდა კრიტიკული აზროვნების უნარის, ამასთან, იგი საკუთარ პოზიციასა და შეხედულებებს გადმოსცემდა ღიად, ნათლად, თანმიმდევრულად, არგუმენტირებულად და დამაჯერებლად. აღსანიშნავია, რომ კანდიდატი უმეტესად ამომწურავად პასუხობდა დასმულ შეკითხვებს.</p> <p>კანდიდატის <u>სამართლებრივი დასაბუთების, კომპეტენციისა და წერის უნართან</u> დაკავშირებით შესაძლებელია ითქვას, რომ კანდიდატს აქვს ხანგრძლივი პროფესიული, მათ შორის, მოსამართლის თანამდებობაზე მუშაობის 10-წლიანი გამოცდილება. იგი ამჟამად არის თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მოსამართლე. ქეთევან მესხიშვილის მიერ წარმოდგენილი სამართლებრივი დოკუმენტების<sup>3</sup> შესწავლის საფუძველზე კი უნდა აღინიშნოს, რომ იგი გამოირჩევა კარგი</p>
--	---

<sup>2</sup> იხ. ქეთევან მესხიშვილთან გამართული საჯარო მოსმენის ვიდეოჩანაწერი: <https://www.youtube.com/watch?v=0jmHEDLI0FY>

<sup>3</sup> სასამართლო გადაწყვეტილება: საქმე №28/6095-18, დავის საგანი: ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულება, საქმე №28/6870-13, დავის საგანი: ბრძანების ბათილად ცნობა, სამუშაოზე აღდგენა, სამეცნიერო/სხვა სახის პუბლიკაციები: დიფამაცია ქართული და ევროპული სასამართლო პრაქტიკის მიხედვით, განსხვავებული აზრი საქმეზე №28/5068-13 სესხის ხელშეკრულების პასუხისმგებელი სუბიექტის შესახებ.

წერის უნარით. აგრეთვე, კანდიდატი მის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებში ნათლად აანალიზებს ფაქტებსა და სამართლებრივ საკითხებს. მისი არგუმენტები არის თანმიმდევრული, გასაგები და არაორაზროვანი. დოკუმენტები მომზადებულია გამართული ენით და მასში რაიმე თვალსაჩინო გრამატიკული ხასიათის შეცდომა არ გამოვლენილა.

კანდიდატის ზეპირი კომუნიკაციის უნართან დაკავშირებით უნდა ითქვას, რომ ქეთევან მესხიშვილი გამოირჩევა გამართული მეტყველების უნარით, როგორც უკვე აღვნიშნე, იგი ღიად, ნათლად და თავისუფლად გადმოსცემს საკუთარ პოზიციასა და შეხედულებებს.

ქეთევან მესხიშვილის პროფესიული თვისებების, მათ შორის, სასამართლო დარბაზში ქცევასთან დაკავშირებით, კანდიდატის შესახებ მოძიებული ინფორმაციითა და მის წარმოებაში არსებულ საქმეთა განხილვის სტატისტიკური ინფორმაციის თანახმად, შესაძლებელია ითქვას, რომ იგი გამოირჩევა შრომისმოყვარეობით, პუნქტუალურობით, მიზანდასახულობით, გულმოდგინებით და გააჩნია მხარეებთან სათანადოდ მოქცევისა და სასამართლო სხდომის კარგად წარმართვის უნარი. ასევე, შემექმნა შთაბეჭდილება, რომ კანდიდატს აქვს სტრესულ სიტუაციაში მუშაობის, გადაწყვეტილების დაუხმარებლად მიღებისა და დამოუკიდებელი აზროვნების შესაძლებლობა. უშუალოდ კანდიდატის წარმოებაში არსებულ საქმეთა განხილვის სტატისტიკური ინფორმაციის თაობაზე კი უნდა აღინიშნოს, რომ 2017 წლის 1 ნოემბრიდან - 2020 წლის 1 ნოემბრამდე პერიოდში, დაბალია მის მიერ საპროცესო ვადების დაცვით განხილულ საქმეთა პროცენტული მაჩვენებელი - 73,8%, უცვლელად დატოვებულ გასაჩივრებულ გადაწყვეტილებათა პროცენტული მაჩვენებელი კი შეადგენს - 90,2%-ს.

კანდიდატის აკადემიური მიღწევების, პროფესიული წვრთნისა და პროფესიული აქტივობის შესახებ შეიძლება ითქვას, რომ იგი არის ღია სიახლეების მიმართ და გააჩნია თვითგანვითარების, ახალი ცოდნისა და უნარების შეძენის ინტერესი. ქეთევან მესხიშვილი აქტიურად იღებს მონაწილეობას მართლმსაჯულების საკითხებზე გამართულ სხვადასხვა ღონისძიებაში. ამასთან, მას ჩაბარებული აქვს ადვოკატთა ტესტირება და პროკურატურის მუშაკთა საკვალიფიკაციო გამოცდა. აღსანიშნავია, რომ იგი არაერთ უნივერსიტეტში, ორგანიზაციასა და სასწავლო დაწესებულებაში ეწევა პედაგოგიურ საქმიანობას. აგრეთვე,

კანდიდატი წარმოადგენს სხვადასხვა სახელმძღვანელოს, სტატიისა თუ სამეცნიერო პუბლიკაციის ავტორს/თანაავტორს.

**შეჯამება**

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, კანდიდატ ქეთევან მესხიშვილის დაკავშირებით შესაძლებელია ითქვას, რომ იგი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს. ამასთან, კომპეტენტურობის კრიტერიუმის თითოეულ მახასიათებელთან მიმართებით კანდიდატის შეფასებისას გათვალისწინებულ იქნა მისი ცოდნა, კომპეტენცია, გამოცდილება, პროფესიული თვისებები, უნარ-ჩვევები და სხვა მნიშვნელოვანი მახასიათებლები. აღნიშნული ინფორმაციის შეჯერებისა და შეფასების საფუძველზე კი დადგინდა, რომ მის მიერ დაგროვილ ქულათა ჯამი მაქსიმალური 100 ქულიდან შეადგენს 95 ქულას. შესაბამისად, კანდიდატის ცოდნის, პროფესიული გამოცდილებისა და მის მიერ გამოვლენილი უნარ-ჩვევების გათვალისწინებით, მიმაჩნია, რომ მას შესწევს უნარი ღირსეულად შეასრულოს უზენაესი სასამართლოს, მართლმსაჯულების განხორციელების უმაღლესი და საბოლოო ინსტანციის საკასაციო სასამართლოს, მოსამართლისთვის დაკისრებული რთული და საპასუხისმგებლო საქმიანობა.

სახელი, გვარი: ნიკოლოზ მარსაგიშვილი

ხელმოწერა:

თარიღი:

28/05-2024 წ/წ

